

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

**გობა სივსივაძე**

**მეორე თაობის ზოგიერთი ანტიფსიქოზური საშუალების  
ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი**

**დისერტაცია**

**ფარმაციის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

**თბილისი**

**2017**

## **ნაშრომი შესრულებულია:**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტში.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში.

შპს „ჯი ემ ფარმაცევტიკალს“-ის ფარმაცევტული საწარმოს ლაბორატორიაში.

## **სამეცნიერო ხელმძღვანელები:**

თამაზ მურთაზაშვილი - ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.

**მაღლამ ჯოხაძე** - ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ, ფარმაკოგნოზიის და ბოტანიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

## **ექსპერტები**

1. **დავით ჭინჭარაძე** – ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ, ფარმაკოგნოზიის და ბოტანიკის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი.
2. **თამაზ ჭუმბურიძე** – ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, თსსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
3. **მაღლამ გეთია** - ფარმაციის აკადემიური დოქტორი, თსსუ, იოველ ქუთათელადის ფარმაკეიმიის ინსტიტუტის ფარმაცევტული ანალიზის და სტანდარტიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (ვაჟა-ფშაველას გამზ. 29).

დისერტაციის დაცვა შედგება 2017 წლის 15 ივნისს 16.00 საათზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. 33 (თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, პირველი სართული).

# სარჩევი

შესავალი ----- 7

<b>თავი I. კვლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები, სამეცნიერო სიახლე, პრაქტიკული მნიშვნელობა</b>	9
1.1 კვლევის აქტუალობა	9
1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები	10
1.3 კვლევის სამეცნიერო სიახლე	11
1.4 კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	12
<b>თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა</b>	14
2.1 შიზოფრენია	14
2.2 შიზოფრენიის სამკურნალო საშუალებები, კლასიფიკაცია	15
2.3 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებები	21
2.3.1 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების ზოგადი დახასიათება	21
2.3.2 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების მოქმედების მექანიზმი	21
2.3.3 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების გვერდითი ეფექტები და სხვა მედიკამენტებთან ურთიერთქმედება	22
2.4 ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის დახასიათება	24
2.5 ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ანალიზში გამოყენებული ექსტრაქციის მეთოდები	41
2.5.1 სითხე-სითხე ექსტრაქცია	41
2.5.2 მყარფაზური ექსტრაქცია	43
2.6 ქრომატომასსპექტრომეტრული ანალიზის მეთოდების მნიშვნელობა ქიმიურ- ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაში	45
2.7 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების იზოლირების და თვისობრივ-რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები ქიმიურ- ტოქსიკოლოგიური ანალიზში	49
<b>თავი III. კვლევის დიზაინი, ობიექტები, მასალები და მეთოდები</b>	53
3.1 კვლევის დიზაინი	53
3.2 კვლევის ობიექტები და მასალები	54
3.3 კვლევის მეთოდები	56

<b>თავი IV. მიღებული შედეგები და მათი განხილვა</b>	<b>58</b>
4.1 ბიოლოგიური ობიექტების სკრინინგი ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არსებობაზე ჰეტეროგენული იმუნოფერმენტული ანალიზის (ELISA) მეთოდით	58
4.2 ადამიანის შარდიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სითხე-სითხე ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების შერჩევა--61	61
4.3 ადამიანის სისხლიდან და პლაზმიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მყარფაზური ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების შერჩევა	65
4.4 ბიოლოგიურ ობიექტებში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივი ანალიზის მასსპექტრომეტრული პარამეტრების შერჩევა	70
4.5 ადამიანის შარდში და სხვადასხვა საგანმატარებლებში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ერთდროული თვისობრივი ანალიზის გაზურ ქრომატოგრაფიული-მასსპექტრომეტრული(GC-MS) მეთოდის შემუშავება	71
4.6 გარდაცვლილი ადამიანის შარდში კლოზაპინის თვისობრივი ანალიზი გაზურ ქრომატოგრაფიული - მასსპექტრომეტრული (GC-MS) მეთოდით	77
4.7 ადამიანის სისხლში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის შემუშავება	80
4.8 ადამიანის პლაზმაში და შარდში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით	89
4.9 გარდაცვლილი ადამიანის სისხლში ოლანზაპინის და რისპერიდონის ერთდროული თვისობრივი ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული-ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით	96
4.10 ფარმაცევტული წარმოების პროცესში გამოყენებულ დანადგარებზე აქტიური ნივთიერების ნარჩენი კონტამინაციის განსაზღვრა სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით	99

4.11 საგანმატარებლებში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით -----	103
4.12 ადამიანის სისხლში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის სითხურ ქრომატოგრაფიულ - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის ვალიდაცია -----	108
<b>თავი V. დასკვნები -----</b>	<b>140</b>
<b>თავი VI. Thesis of Dissertation -----</b>	<b>141</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა -----</b>	<b>149</b>
<b>დანართი №1 -----</b>	<b>167</b>
ტერმინთა განმარტებები	
<b>დანართი №2 -----</b>	<b>168</b>
გამოქვეყნებული შრომები	

## **მადლობა**

მადლობას ვუხდით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო  
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის  
დეპარტამენს და შპს „ჯი ემ ფარმაცევტიკალს”-ის ფარმაცევტული საწარმოს  
გაწეული მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერისათვის.

## შესავალი

ფსიქოაქტიური საშუალებების ანალიზისათვის, მაღალი მგრძნობელობის და სპეციფიური მეთოდების შემუშავება თანამედროვე ფარმაციის, ნარკოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის აქტუალური ამოცანაა. ბოლო წლებში აღნიშნული პრობლემა დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა, რადგანაც მკვეთრად გაიზარდა აღნიშნული ჯგუფის მედიკამენტების როგორც, სამედიცინო, ასევე არასამედიცინო მიზნით მოხმარება, იმატა მწვავე და სასიკვდილო მოწამვლების შემთხვევებმა.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი მოიცავს მწვავე მოწამვლების დადგენას, ნარკოტიკული და ტოქსიკომანური თრობის დიაგნოსტიკას, გვამის და სხვა საგანმატარებლების სასამართლო-ქიმიურ გამოკვლევას. აღნიშნული პლავა ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებით, რაც გასათვალისწინებელია ანალიზის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური მეთოდების შემუშავების დროს.

მწვავე ქიმიური მოწამვლებისას განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სწრაფი, სპეციფიური, მაღალი მგრძნობელობის და სელექციური ანალიზის მეთოდების შემუშავება, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის მრავალი ნაერთის ინდივიდუალური და ერთდროული განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

მეორე თაობის (ატიპიური) ანტიფსიქოზური საშუალებების მიმართ ჩვენი ინტერესი განაპირობა მოცემული ჯგუფის პრეპარატების გამოყენების მკვეთრმა ზრდამ.

ატიპიური ანტიფსიქოზური საშუალებები წარმოადგენს პირველი რიგის პრეპარატებს შიზოფრენიის მკურნალობისათვის, რომელიც ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ფსიქოპათოლოგიებს შორის.

ანტიფსიქოზური პრეპარატებით მკურნალობისას მნიშვნელოვანია დოზა-კონცენტრაციის მონიტორინგი, რადგანაც პაციენტის დამოკიდებულება სამკურნალო საშუალებებთან არის ინდივიდუალური.

ამასთან, რამოდენიმე ანტიფსიქოზური საშუალების ერთდროული გამოყენებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის სინერგიზმს, განსაკუთრებით საყურადღებოა პოტენცირებული სინერგიზმი, რომელიც განაპირობებს ტოქსიკურობის ზრდას და შესაძლოა იყოს ლეტალური შედეგის მიზეზი.

მცირე რაოდენობის საკვლევი ანტიფსიქოზური საშუალებების იდენტიფიკაცია და რაოდენობრივი ანალიზი ბიოლოგიური და არაბიოლოგიური წარმოშობის

ობიექტებში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ზემოთ აღნიშნული  
პრობლემატიკის ეფექტურ გადაწყვეტას.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მეორე თაობის  
ანტიფსიქოზური საშუალებების ინდივიდუალური და ერთდროული ქიმიურ-  
ტოქსიკოლოგიური ანალიზის მეთოდების შემუშავებას.

## I

### პგლევის აქტუალობა, მიზანი და ამოცანები, სამეცნიერო სიახლე, პრაქტიკული მნიშვნელობა

#### 1.1 პგლევის აქტუალობა

შიზოფრენია წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ ფსიქიატრიულ დაავადებას, რომელიც იწვევს ადამიანების გონიერივი და სოციალური ფუნქციების დაქვეითებას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით შიზოფრენით დაავადებულია 21 მილიონზე მეტი ადამიანი [178].

1950 წლიდან შიზოფრენიის სამკურნალოდ გამოიყენებოდა "ტიპიური" (პირველი თაობის) ანტიფსიქოზური პრეპარატები, ხოლო 1990 წლიდან სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგა "ატიპიური" (მეორე თაობის) ანტიფსიქოზური საშუალებები [128].

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რისპერიდონი, ოლანზაპინი, ქვეტიაპინი და კლოზაპინი წარმოადგენს ყველაზე ხშირად გამოყენებად მედიკამენტებს ატიპიურ ანტიფსიქოზურ საშუალებებს შორის [13, 46, 3, 70].

მეორე თაობის ანტიფსიქოზურ საშუალებებს, ინდივიდუალური და კომბინრებული გამოყენებისას, თერაპიული უფასტურობის გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში (დოზის გადაჭარბება, შეცდომით მიღება, სუიციდალური მოწამვლები) ახასიათებს ადამიანის ორგანიზმები ტოქსიკური ზემოქმედება, რომელიც ხშირად არის ლეტალური შედეგის მიზეზი [95].

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიების, ნარკოლოგიური დისპანსერების და ტოქსიკოლოგიური ცენტრების მონაცემების მიხედვით აღწერილია მოცემული ჯგუფის მედიკამენტებით გამოწვეული მწვავე მოწამვლების მრავალი შემთხვევა. ინტოქსიკაციის განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ხშირია გ.წ „უეცარი სიკვდილის“ სინდრომის განვითარება. ასვე მნიშვნელოვან გართულებას წარმოადგენს უეცარი კარდიალური შეტევა და ავთვისებიანი ნეიროლეპტიური სინდრომი. მოცემული შემთხვევების 15 - 25% სრულდება ლეტალური გამოსავლით [108, 112, 186].

ხშირია ბავშვთა ასაკში აღნიშნული ჯგუფის მედიკამენტებით მოწამვლის შემთხვევები [167].

მედიკამენტების არასამედიცინო დანიშნულებით გამოყენება წარმოადგენს უკანასკნელი წლების მწვავე პრობლემას: საყურადღებოა ტოქსიკომანიის

მზარდი შემთხვევები მოზარდებში, რომლებიც გამოიყენებენ მოცემული ჯგუფის პრეპარატებს ნარკოტიკული თრობისათვის. აღნიშნულ შემთხვევებშიც ასევე მაღალია მწვავე მოწამვლების და გარდაცვალების რისკი.

საყურადღებოა ანტიფსიქოზური საშუალებების (განსაკუთრებით ატიპიური ანტიფსიქოზური მედიკამენტები) მიღება კ.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის” მიზნით, რაც არის მნიშვნელოვანი სოციალურ პრობლემა.

ასევე გახშირდა ატიპიური ანტიფსიქოზური საშუალებებით კრიმინალური მოწამვლების შემთხვევები, რა დროსაც გამოიყენება ერთდროულად რამდენიმე ანტიფსიქოზური მედიკამენტი ან კომბინირებულად სხვა ფსიქოაქტიურ საშუალებებთან [16, 163].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შიზოფრენის მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებებით რაციონალური და უსაფრთხო ფარმაკოთერაპიის უზრუნველყოფის მიზნით, დეტოქსიკაციის ღონისძიებების ეფექტურობის გაზრდისათვის, კლინიკურ-ლაბორატორიული ანალიზისათვის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეფექტური ჩატარებისათვის, მნიშვნელოვანია, რისპერიდონის, ოლანზაპინის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მაღალი მგრძნობელობის, სპეციფიური, ექსპრეს ანალიზის მეთოდების შემუშავება, მით უმეტეს, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არ არის მონაცემები რისპერიდონის, ოლანზაპინის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის შესახებ მათი ბიოლოგიურ ობიექტებში და საგანმატარებლებში ერთდროული არსებობისას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ატიპიური ანტიფსიქოზური საშუალებების: რისპერიდონის, ოლანზაპინის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის, ბიოლოგიურ სითხეებში (შარდი, სისხლი, პლაზმა) და სხვა ობიექტებში კვლევისა და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის არსებული მეთოდების უნიფიცირება, სრულყოფა და ახალი, ეფექტური მეთოდების შემუშავება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე ტოქსიკოლოგიისათვის.

## 12 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბიოლოგიური და არაბიოლოგიური წარმოშობის ობიექტებში მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების - ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის მეთოდების სრულყოფა, ახალი ეფექტური მეთოდების შემუშავება და ვალიდაცია.

## **მიზნის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანები:**

- ბიოლოგიური ობიექტებიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სითხე-სითხე ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების შემუშავება.
- ბიოლოგიური ობიექტებიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მყარფაზური ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების შერჩევა.
- ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის ქრომატო-მასპექტრომეტრული (GC-MS, LC-MS/MS) მეთოდების შემუშავება.
- ანალიზის შემუშავებული მეთოდების ვალიდაცია სწორხაზოვნების, სელექციურობის, სისწორის, აღმოსაჩენი და განსასაზღვრავი მინიმუმის, ექსტრაქციის ხარისხის, მატრიცის ეფექტის და სტაბილურობის დასადგენად.
- მოწოდებული მეთოდების აპრობაცია გარდაცვლილი ადამიანის ბიოლოგიურ სითხეებში, საგანმატარებლებზე და საწარმოო აპარატურაზე სამიზნე ნივთიერებების ნარჩენი კონტამინაციის დასადგენად.

## **1.3 კვლევის სამუცნიერო სიახლე**

- თეორიულად დასაბუთებულია და ექსპერიმენტალურად დადასტურებულია ბიოლოგიური ობიექტებიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ექსტრაქციის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები მათი ერთდროული იზოლირებისას.
- მოწოდებულია სითხე-სითხე და მყარფაზური ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ოთხივე სამიზნე ნივთიერების მაქსიმალურ ექსტრაქციას სხვადასხვა კომპლექსური ბიოლოგიური ობიექტიდან.
- შემუშავებულია ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის გაზურ ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული მეთოდით ანალიზის ოპტიმალური პირობები. მოწოდებული მეთოდი გამოირჩევა ექსპრესულობით და შესაძლებელია ოთხივე სამიზნე ნივთიერების ერთდროული ანალიზი ბიოლოგიური და არაბიოლოგიური წარმოშობის ობიექტებში.

- მოწოდებულია ოლანზაპინის, რისკერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის ორიგინალური, ვალიდირებული, ოპტიმალური პირობები, სითხური ქრომატოგრაფია-ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდისათვის. მოწოდებული მეთოდი უზრუნველყოფს ოთხივე სამიზნე ნივთიერების ერთდროულ განსაზღვრას, როგორც ბიოლოგიურ ობიექტებში, ასევე სხვადასხვა საგანმატარებლებში (ცარიელი ბლისტერი, ფლაკონი, ანაწმენდი, ტაბლეტები).

#### **1.4 კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა**

- ექსპერიმენტის საფუძველზე მოწოდებულია ოლანზაპინის, რისკერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სხვადასხვა ბიოლოგიურ მატრიცაში ინდივიდუალური და ერთდროული იზოლირების სითხე-სითხე ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები, რომლის საშუალებით შესაძლებელია ექსტრაქცია მაღალი ხარისხით, 80-85% ფარგლებში.
- კვლევების შედეგების საფუძველზე დადგენილია რისკერიდონის, ოლანზაპინის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მყარფაზური ექსტრაქციის ოპტიმალური პირობები, რომლის საშუალებით შესაძლებელია საკვლევი ნივთიერების მაქსიმალური გასუფთავება და 91-94%-ის იზოლირება.
- მოწოდებულია ოლანზაპინის, რისკერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მეცნიერულად დასაბუთებული, ვალიდირებული, სწრაფი ანალიზის ქრომატო-მასპექტრომეტრული (აირად და თხევად ფაზებში) მეთოდის პირობები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს:
  1. სასამართლო - ქიმიურ ექსპერტიზაში გვამური ობიექტების ანალიზისათვის;
  2. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის, ცოცხალ პირებში მწვავე და ქრონიკული მოწამვლების დიაგნოსტიკისათვის;
  3. პაციენტებში თერაპიული დოზის მონიტორინგისათვის;
  4. სხვადასხვა სახის ნივთმტკიცებულების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის;
  5. ფარმაცევტულ საწარმოში გამოყენებულ დანადგარებზე მცირე რაოდენობის აქტიური ნივთიერების ნარჩენი კონტამინაციის დადგენისათვის;

- კვლევის მასალები შესაძლებელია გამოყენებული იყოს სტუდენტებისათვის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის თანამედროვე მეთოდების სრულფასოვანი სწავლებისათვის.

### **პვლევის შედეგების აპრობაცია**

ექსპერიმენტის საფუძველზე შემუშავებული მეთოდები აპრობირებულია სხივ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში და „შპს „ჯგუფარმაცევტიკალს“ ფარმაცევტული საწარმოს ლაბორატორიაში.

სადისერტაციო ნაშრომის მასალები მოხსენიებულია:

XXX International Symposium of Chromatography (ISC-2014), Salzburg 2014;

II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ფარმაცევტული მეცნიერებები XXI საუკუნეში“, თბილისი, 2014;

III International Conference on Pharmaceutical Science (ICPS -2015), Tbilisi, 2015;

### **პვლევის შედეგების პუბლიკაცია**

სადისერტაციო მასალების ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომში.

### **დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა**

დისერტაციის ტექსტი წარმოდგენილია 148 ნაბეჭდ გვერდზე, მოიცავს შესავალს, აქტუალობას, მიზანს, ამოცანებს, სამეცნიერო სიახლეს, პრაქტიკული მნიშვნელობას, ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის ობიექტებს და მეთოდებს, კვლევის შედეგების განხილვას და დასკვნებს. ნაშრომი ილუსტრირებულია 35 ცხრილით და 73 სურათით, ბიბლიოგრაფია მოიცავს 224 წყაროს. კვლევასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული შრომები წარმოდგენილია დანართის სახით.

## თავი II

### ლიტერატურის მიმოხილვა

#### 2.1 შიზოფრენია

შიზოფრენია ფსიქოპათოლოგიის მწვავე ფორმაა, რომელიც ხასიათდება ემოციური გასადავებით, აზროვნებისა, აღქმის და ინტეგრირებული პიროვნული ფუნქციონირების დარღვევით. შიზოფრენია რთული სინდრომია, რომელსაც ინდივიდის ყოველდღიური სოციალური ცხოვრების საგრძნობი გაუარესება ახლავს თან [13, 89, 207].

მსოფლიო ჯანდაცის ორგანიზაციის მონაცემებით შიზოფრენით დაავადებულია 21 მილიონზე მეტი ადამიანი, აქედან 12 მილიონი მამაკაცი და 9 მილიონი ქალი. შიზოფრენიით დაავადებული პაციენტები ნაკლებად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებას, ამ შემთხვევაში 2-2.5 ჯერ მეტია გარდაცვალების რისკი ვიდრე ადამიანებში, რომლებიც არ არიან დაავადებული შიზოფრენიით [84,178].

ჩვეულებრივ, შიზოფრენია „პროდრომული“ პერიოდით იწყება, რომელსაც ახასიათებს პიროვნების ფუნქციონირების გაუარესება. ამ პერიოდის სიმპტომები შეიძლება მოიცავდეს მესხიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, სოციალურ იზოლაციას, უცნაურ ქცევას, მოტივაციისა და ინტერესების დაქვეითებას. პროდრომულ ფაზას ჩვეულებრივ მოჰყვება მწვავე ფაზა, რომელსაც ახასიათებს ბოდვა, ჰალუცინაცია, ქცევითი დარღვევები. მკურნალობის შედეგად პაციენტი გამოდის მწვავე მდგომარეობიდან, თუმცა ზოგჯერ რჩება მოტივაციისა და ინტერესების ნაკლებობა, სოციალური იზოლაცია. მესამე ფაზაში, რომელიც შეიძლება წლები გაგრძელდეს, ხშირად ვითარდება ეგზაცერბაციები(გამწვავება), რომელიც, დამატებით ინტერვენციას საჭიროებს [35, 68, 71, 185, 205].

ისტორიულად, შიზოფრენიული აშლილობანი პირველად აღწერილ იქნა ფრანგი ფსიქიატრის მორელის (Benedict Morel, 1809-1873) მიერ, რომელმაც მოზარდობის ასაკში განვითარებულ ფსიქიკურ დარღვევებს უწოდა Demence Precoce (ფრანგულიდან - ნაადრევი ჭკუასუსტობა) [60]. კალბაუმმა (Kahlbaum) პირველად აღწერა კატატონური სიმპტომები, ჰეკერმა (Hecker) კი ჰებეფრენიის დროს პაციენტთა ქცევის თავისებურებანი [110]. მოგვიანებით აღნიშნული სიმპტომები კრეპელინმა (Emil Kraepelin, 1856-1926) ერთ ნოზოლოგიად გააერთიანა და უწოდა Dementia Praecox [73, 111].

შიზოფრენია მსოფლიოში უნარშეზღუდულობის გამომწვევ 10 წამყვან სამედიცინო აშლილობებს შორის არის დასახელებული. შიზოფრენიით დაავადებულ პირებს შორის მაღალია სიკვდილიანობა, რაც ნაწილობრივ განპირობებულია თვითმკვლელობით (დაახლოებით 10%) და ძალადობრივი სიკვდილით. ასევე დადასტურებულია კავშირი შიზოფრენიის სიმპტომების გამომჟღვნებასა და ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას შორის [36, 39, 99, 148, 155, 220].

## 2.2 შიზოფრენიის სამკურნალო საშუალებები, კლასიფიკაცია

სადღეისოდ შიზოფრენიის სამკურნალოდ ძირითადად გამოიყენება ანტიფსიქოზური საშუალებები. მედიკამენტური მკურნალობა მეტად ეფექტურია პოზიტიური სიმპტომებისათვის (ბოდვა, ჰალუცინაცია და სხვა), ნაკლებად ეფექტურია ნეგატიური და კოგნიტური სიმპტომებისთვის. ანტიფსიქოზური მედიკამენტების ეფექტურობა შესაძლოა შესამჩნევი გახდეს რამდენიმე კვირის შემდეგ, რადგანაც მოქმედება ხორციელდება თანდათანობით [51, 100, 101, 115].

### სამკურნალო საშუალებების კლასიფიკაცია

შიზოფრენიის სამკურნალო საშუალებები იყოფიან 2 ძირითად ჯგუფად:

- „ტიპიური“ - პირველი თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტები
- „ატიპიური“ - მეორე თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტები

მოცემული ტერმინები ხშირად გამოიყენება კლინიკურ პრაქტიკაში. ტერმინი დაფუძნებულია მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების ატიპიურ თვისებებზე, როგორიც არის ექსტრაპირამიდალური სიმპტომების განვითარების რისკის ნაკლებობა პირველი თაობის ანტიფსიქოზურ საშუალებებთან შედარებით. შესაბამისად, რომ არ მომხდარიყო აღრევა, მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ მოხდა დეფინიცია და პირველი თაობის მედიკამენტებს ეწოდა ტიპიური ანტიფსიქოზური საშუალებები, ხოლო მეორე თაობის მედიკამენტებს ატიპიური ანტიფსიქოზური საშუალებები [30, 66, 123, 201].

“ტიპიური” (პირველი თაობის) ანტიფსიქოზური პრეპარატები (ცხრილი 1) გამოიყენება შიზოფრენიის სამკურნალოდ 1950 წლიდან. “ატიპიური” (მეორე თაობის) ანტიფსიქოზური საშუალებები (ცხრილი 2) სტანდარტულ სამედიცინო პრაქტიკაში შემოვიდა 1990 წლიდან [78, 120, 128, 180].

**ცხრილი 1. „ტიპიური” - პირველი თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტები**

პრეპარატი	ჯგუფი
ქლორპრომაზინი	
ფლუფენაზინი	ფენოთიაზინები
ლევომეპრომაზინი	
პერფენაზინი	
თიორიდაზინი	
ქლორპროტიქსანი	
თიოთიქსანი	თიოქსანტინები
ზუპლოფენოფენოლი	
კლოტიაპინი	
ჰალოპერიდოლი	
ლოქსაპინი	სხავადასხვა
მოლონდონი	
პიმოზიდი	

**ცხრილი 2: მეორე თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტები**

პრეპარატი	ჯგუფი
არიპიპრაზოლი	ქინოლინის წარმოებული
კლოზაპინი	დიბენზოდიაზეპინი
ოლანზაპინი	თიოენობენზოდიაზეპინი
პალიპერიდონი	ბენზიზოქსაზოლის წარმოებული
ქვეტიაპინი	დიბენზოთიაზეპინი
რისპერიდონი	ბენზისოქსაზოლის წარმოებული
სერტინდოლი	ფენილინდოლის წარმოებული

მეორე თაობის (ატიპიური) ანტიფსიქოზური პრეპარატების მთავარი უპირატესობაა, რომ ნაკლებად იწვევენ ექსტრაპირამიდულ გართულებებს და მოგვიანებით დისკინეზიას (მოძრაობის უნარის დარღვევა), მაგრამ მათ სხვა გვერდითი ეფექტები აღმოჩნდათ, როგორიცაა წონის მატება და მეტაბოლური პრობლემები, რომლებიც II ტიპის დიაბეტის და გულსისხლძარღვთა დაავადების განვითარების რისკს ზრდის. ასევე ანტიფსიქოზური მედიკამენტების მნიშვნელოვან გვერდით ეფექტს მიეკუთვნება სისხლის შრატში პროლაქტინის დონის მატება. მკურნალობის მიმართ რეზისტენტული პაციენტებისათვის ერთადერთი რეკომენდებული პრეპარატია კლოზაპინი. სხვა არც ერთი ატიპიური პრეპარატი არ ხასიათდება ასეთი ეფექტურობით [45, 65, 72, 77, 86, 176].

## *შიზოფრენიის მკურნალობა*

მიუხედავად იმისა, რომ ანტიფსიქოზური პრეპარატები წარმოადგენს სხვადასხვა ნაერთების ჯგუფს, მათი პირველადი ფარმაკოლოგიური მოქმედება ძირითადად მსგავსია და განპირობებულია დოფამინ D<sub>2</sub> რეცეპტორებზე ანტაგონისტური მოქმედებით [33, 154].

ანტიფსიქოზური პრეპარატები ასევე გამოიყენებიან სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში, როგორიცაა ანტიკონვულსანტები, ანტიდეპრესანტები და ბენზო დიაზეპინები[47]. კლინიკისტებმა აღნიშნული პრეპარატები ანტიფსიქოზურ მედიკამენტებთან კომბინაციაში შეიძლება გამოიყენონ შემდეგ შემთხვევებში:

- ანტიფსიქოზური პრეპარატი მონოთერაპიის სახით არ არის ეფექტური;
- ქცევის კონტროლისთვის;
- ანტიფსიქოზური მედიკამენტების გვერდითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად;
- მეორადი ფსიქიატრიული პრობლემების (როგორიცაა დეპრესია და შფოთვა) სამკურნალოდ [65, 69, 113, 117].

## *ანტიფსიქოზური პრეპარატების დანიშვნის ზოგადი პრინციპები*

მკურნალობისათვის საჭყის ეტაპზე რეკომენდებულია ერთი პრეპარატის დანიშვნა (გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა). ანტიფსიქოზური საშუალებების კომბინაციაში დანიშვნა საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ანტიფსიქოზური პრეპარატით მკურნალობისას (მათ შორის კლოზაპინზე) გამოხატულია არაადექვატური შედეგი.

ზოგიერთ შემთხვევაში ანტიფსიქოზური პოლიფარმაცია წარმოადგენს უეცარი კარდიალური შეტევის და სიკვდილის რისკს. ანტიფსიქოზური პოლიფარმაციის არაეფექტურობის შემთხვევაში უნდა გაგრძელდეს მონოთერაპია [118, 130, 194, 223].

## *ანტიფსიქოზური პრეპარატების დოზები*

ანტიფსიქოზური მედიკამენტების „სტანდარტული დოზა“ წარმოადგენს სამკურნალო ნივთიერების რაოდენობას, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ბალანსს თერაპიულ ეფექტსა და გვერდით მოვლენებს შორის. ანტიფსიქოზური მედიკამენტების ეპიფალენტური, მინიმალური და მაქსიმალური დოზები მოცემულია № 3-6 ცხრილებში. [13, 19, 59, 76, 91, 169].

ცხრილი 3: ანტიფსიქოზური მედიკამენტების ექვივალენტური დოზები

მედიკამენტი	ექვივალენტური დოზები	ლიტერატურაში მითითებული დოზების დიაპაზონი
ქლორპრომაზინი	100 მგ/დღ	-
ფლუფენაზინი	2 მგ/დღ	2-5 მგ/დღ
ტრიფლუოპერაზინი	5 მგ/დღ	2.5-5 მგ/დღ
ფლუპენტიქსოლი	3 მგ/დღ	2-3 მგ/დღ
ზუპლოპენტიქსოლი	25 მგ/დღ	25-60 მგ/დღ
ჰალოპერიდოლი	3 მგ/დღ	1.5-5 მგ/დღ
სულპირიდი	200 მგ/დღ	200-270 მგ/დღ
პიმოზიდი	2 მგ/დღ	2 მგ/დღ
ლოქსაპინი	10 მგ/დღ	10-25 მგ/დღ
ფლუფენაზინ-დეპო	5 მგ/კვირა	1-12.5 მგ/კვირა
პიპოტიაზინ-დეპო	10 მგ/კვირა	10-12.5 მგ/კვირა
ფლუპენტიქსოლ-დეპო	10 მგ/კვირა	10-20 მგ/კვირა
ზუპლოპენტიქსოლ-დეპო	100 მგ/კვირა	40-100 მგ/კვირა
ჰალოპერიდოლ-დეპო	15 მგ/კვირა	5-25 მგ/კვირა

ცხრილი 4: პირველი თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტების მინიმალური ეფექტური დოზა/დღეში

მედიკამენტი	პირველი ეპიზოდი	რეციდივი
ქლორპრომაზინი	200 მგ	300 მგ
ტრიფლუოპერაზინი	10 მგ	15 მგ
ჰალოპერიდოლი	2 მგ	4 მგ და მეტი
სულპირიდი	400 მგ	800 მგ

ცხრილი 5: მეორე თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტების მინიმალური ეფექტური დოზა/დღეში

მედიკამენტი	პირველი ეპიზოდი	რეციდივი
ქლორპრომაზინი	200 მგ	300 მგ
ტრიფლუოპერაზინი	10 მგ	15 მგ
სულპირიდი	400 მგ	800 მგ

მედიკამენტი	მაქსიმალური დოზა
<b>პირველი თაობის-პერორალური</b>	
ქლორპრომაზინი	1000 მგ/დღ
ფლუპენტიქსოლი	18 მგ/დღ
ტრიფლუოპერაზინი	30 მგ/დღ
ჰალოპერიდოლი	30 მგ/დღ
სულპირიდი	2400 მგ/დღ
ლევომეპრომაზინი	1000 მგ/დღ
პერიციაზინი	300 მგ/დღ
პერფენაზინი	24 მგ/დღ
პიმოზიდი	20 მგ/დღ
ზუკლოპენტიქსოლი	150 მგ/დღ
<b>მეორე თაობის-პერორალური</b>	
ამისულპირიდი	1200 მგ/დღ
არიპიპრაზოლი	30 მგ/დღ
კლოზაპინი	900 მგ/დღ
ოლანზაპინი	20 მგ/დღ
ჰალიპერიდონი	12 მგ/დღ
ქვეტიაპინი	750/800 მგ/დღ
რისპერიდონი	16 მგ/დღ
ზიპრაზიდონი	160 მგ/დღ
ზოტეპინი	300 მგ/დღ
<b>დეპო-პრეპარატები</b>	
ფლუფენაზინ-დეპო	50 მგ/კვირაში
პიპოტიაზინ-დეპო	50 მგ/კვირაში
ფლუპენტიქსოლ-დეპო	400 მგ/კვირა
ჰალოპერიდოლ-დეპო	300 მგ/ყოველ 4 კვირაში
ზუკლოპენტიქსოლ-დეპო	600 მგ/კვირა
რისპერიდონი	25 მგ/კვირა

## 2.3 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებები

### 2.3.1 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების ზოგადი დახასიათება

უკანასკნელ წლებში ფსიქოფარმაკოლოგიის განვითარების ამოცანას წარმოადგენდა ანტიფსიქოზური საშუალებების ახალი თაობის შექმნა, რომელიც იქნებოდა გაცილებით ეფექტური და მეტად უსაფრთხო არსებულ ნეიროლეპტიურ საშუალებებთან შედარებით. სამეცნიერო კვლევების საფუძველზე და ქიმიურ-ფარმაცევტული კომპანიების აქტიური ძალისხმევით შეიქმნა ახალი ანტიფსიქოზური საშუალებები, როგორიც არის რისპერიდონი, ოლანზაპინი, ქვეტიაპინი, კლოზაპინი, სერტინდოლი და სხვა, რომლებიც წარმოადგენს მეორე თაობის (ატიპიურ) ანტიფსიქოზურ საშუალებებს [78, 132, 140, 146, 184].

ატიპიური ანტიფსიქოზური საშუალებების კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებამ საშუალება მისცა ექიმებს ჰქონოდათ ფართო სპექტრი შიზოფრენიის მართვისათვის. მოცემული საშუალებები აღმოჩნდა ანტიფსიქოზური ფარმაკოლოგიური ერთგანვით სტანდარტი და წარმოადგენენ პირველი რიგის პრეპარატებს შიზოფრენიის სამკურნალოდ. მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების გამოყენება არის მნიშვნელოვანი პროგრესი ფსიქიატრიაში ეფექტურობის მხრივ [96, 98, 133, 145].

### 2.3.2 მეორე თაობის ანტიფისქოზური საშუალებების მოქმედების მექანიზმი

“ატიპიური” (მეორე თაობის) ანტიფსიქოზური საშუალებების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენება იწყება 1990 წლიდან. აღნიშნული საშუალებების თერაპიული ეფექტი განპირობებულია 5-HT<sub>2A</sub> რეცეპტორების ანტაგონიზმით და/ან 5-HT<sub>1A</sub> რეცეპტორების აგონიზმი. მოცემული ჯგუფის პრეპარატების გვერდითი მოვლენები დოზა დამოკიდებულია და სშირად გამოწვეულია პისტამინერგულ, ქოლინერგულ, ალფა-ადრენერგულ და სხვა რეცეპტორებთან ურთიერთქმედებით. შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებზე ჩატარებული კვლევების მიხედვით ოთხი ატიპიური ანტიფსიქოზური პრეპარატი (ამისულპრიდი, კლოზაპინი, ოლანზაპინი და რისპერიდონი) უფრო ეფექტური აღმოჩდა ვიდრე ზოგიერთი პირველი თაობის პრეპარატი [31, 105, 125, 128, 141, 197].

### **2.3.3 მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების გვერდითი ეფექტები და სხვა მედიკამენტებთან ურთიერთქმედება**

#### **გვერდითი ეფექტები**

ყველა ანტიფსიქოზურ პრეპარატს გააჩნია გვერდითი ეფექტები, რომელთა გამოვლინება და კლინიკური მნიშვნელობა ცვალებადია და დამოკიდებულია მედიკამენტის მიმართ პაციენტის ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე. გვერდითი ეფექტები მოიცავს შემდეგ კლინიკურ გამოვლინებებს: ექსტრაპირამიდული სინდრომი (პარკინსონის მსგავსი სინდრომი), მწვავე დისტონიური რეაქცია, აკათიზია (მოუსვენრობა მუდმივი მოძრაობისაკენ სწრაფვით), მოგვიანებითი დისკინეზია, პიპერპროლაქტინემია [144, 183, 202].

პაციენტებისათვის ყველაზე შემაწუხებელ გვერდით ეფექტებს მიეკუთვნება ექსტრაპირამიდული მოვლენები, სედაცია, წონის მატება, ერექციული დისფუნქცია და ეაპულაციის დარღვევები. კლოზაპინის, ოლანზაპინის და ქვეტიაპინისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია წონის მნიშვნელოვნად მატება, დისლიპიდემია და პიპერგლიკემია [142, 158].

საგანგაშოა გულ-სისხებარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობა შიზოფრენიის მქონე პაციენტებში ატიპიური პრეპარატების გამოყენებისას. ატიპიური საშუალებების გამოყენებისას პაციენტებში არსებობს კრუნჩხვების პროვოკირების რისკი, რომელიც ყველაზე მაღალია კლოზაპინით და ყველაზე დაბალია რისპერიდონით მკურნალობისას [43, 109].

კლოზაპინმა შესაძლოა გამოიწვიოს ნეიტროპენიის და აგრანულოციტოზის პროგრენციება, შესაბამისად მკურნალობისას საჭიროა ლეიკოციტების რუტინული მონიტორინგი. ასევე დადგენილია, რომ იზრდება გარდაცვალების რისკი მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებების გამოყენებისას დემენციის პრობლემის მქონე ხანდაზმულ პაციენტებში [131, 135, 157].

#### **სხვა მედიკამენტებთან ურთიერთქმედება**

მეორე თაობის ანტიფსიქოზური მედიკამენტები სიფრთხილით მიიღება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედ სხვა პრეპარატებთან ერთად. დვიძლის ფერმენტების ინდუქტორების გამოყენებისას მოსალოდნელია ქვეტიაპინის კლირენსის ზრდა, ხოლო ფერმენტ ციტოქრომ P450 3A ინჰიბიტორების გამოყენების შემთხვევაში პრეპარატის კლირენსის კლება. შესაძლოა


გაძლიერდეს ანტიპოპულარული საშუალებების ეფექტი. კლოზაპინს შეუძლია ალკოჰოლის და მათ-ს ინკიბიტორების ცენტრალური მოქმედების გაძლიერება [6, 160].

ატიპიურმა ანტიფსიქოზურმა საშუალებებმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატების გამოვლენის მიზნით ჩატარებულ შარდის ანალიზზე, ცრუ დადებითი შედეგის გამოვლენით. მონაცემების მიხედვით იმუნოფერმენტული მეთოდით შარდში მეტადონის ან ტრიციკლური ანტიდეპრესანტების გამოვლენის მიზნით ჩატარებულ კვლევებში დაფიქსირდა ცრუ დადებითი შედეგი პაციენტებში, რომლებიც დებულობდნენ ქვეტიაპინს [74, 179].

2.4 ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის დახასიათება

ოლანთაპინი

ოლანზაპინი წარმოადგენს თიენობენზოდიაზეპინის ნაწარმ ატიპიურ ანტიფსიქოზურ საშუალებას. ქიმიური დასახელება არის 2-მეთილ-4-(4-მეთილპიპერაზინ-1-ილ)-10H-თიენო [2,3-b] [1,5] ბენზოდიაზეპინი. მოლეკულური ფორმულა არის  $C_{17}H_{20}N_4S$ , რომელიც შეესაბამება მოლეკულურ მასას 312.44. ოლანზაპინის სტურქტურული ფორმულა მოცემულია სურათზე 1. ოლანზაპინი არის ყვითელი კრისტალური ნივთიერება, რომელიც იხსნება დიქლორმეთანში, ქლოროფორმში, აცეტონში, ნ-პროპანოლში, 2-ბუთანოლში და აცეტონიტრილში, მცირედ იხსნება მეთანოლში და ეთანოლში, პრაქტიკულად არ იხსნება წყალში[63].



სურათი 1: ოლანზაპინის სტრუქტურა

ფარმაცევტულმა კომპანიამ Eli Lilly and Company ოლანზაპინი შეიმუშავა 1996 წელს და მოახდინა მედიკამენტის სააფთიაქო ქსელში გაშვება სავაჭრო დასახელებით ზიპრექსა, რომელიც განკუთვნილი იყო შიზოფრენიის სამკურნალოდ. 2011 წელს პრეპარატი გახდა გენერიკლი. 2008 წელს ზიპრექსას გაყიდვები შეადგენდა 2.2 მილიარდ დოლარს აშშ-ში და 4.7 მილიარდ დოლარს მსოფლიოს მასშტაბით [61]. ოლანზაპინის შემცველი პრეპარატები საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოდგენილია მრავალი საფირმო სახელწოდებით: რექსეპი (Abdi Ibrahim, თურქეთი), ოლზპი (GM Pharmaceuticals Ltd, საქართველო), Egolanza® EGIS Pharmaceuticals, უნგრეთი), ოლანკლაინი (GlaxoSmithKline), ოზაპექსი (Pharmathen S.A, საბერძნეთი), ჯამში 32 პრეპარატის ოდენობით (სურათი 2, 3)[11].



სურათი 2: ოლანზაპინის ტაბლეტები



სურათი 3: ოლანზაპინის წამლის ფორმები

### მოქმედების მექანიზმი

ოლანზაპინის ახასიათებს მთელ რიგ რეცეპტორულ სისტემაზე ფართო ფარმაკოლოგიური მოქმედება, მაღალი აფინურობით უკავშირდება შემდეგ რეცეპტორებს: სეროტონინის  $5HT_{2A/2C}$ ,  $5HT_6$  ( $K_i=4, 11$  და  $5$  nM, შესაბამისად),  $5HT_3$  ( $K_i=57$  nM), მუსკარინის  $M_{1-5}$  ( $K=73, 96, 132, 32$ , და  $48$  nM, შესაბამისად), დოფამინის  $D_{1-4}$  ( $K_i=11-31$  nM), ჰისტამინის  $H_1$  ( $K_i=7$  nM) და  $\alpha_1$  ადრენერგული რეცეპტორებს ( $K_i=19$  nM). ოლანზაპინი სუსტად უკავშირდება GABA<sub>A</sub>, BZD და  $\beta$ -ადრენერგულ რეცეპტორებს ( $K>10$   $\mu$ M). დოფამინის და  $5HT_2$ -ის გარდა სხვა რეცეპტორების ანტაგონიზმი განსაზღვრავს ოლანზაპინის გარემოებრივ თერაპიულ და გეერდით ეფექტებს. ოლანზაპინის მიერ  $H1$  ჰისტამინური რეცეპტორების ანტაგონიზმი განაპირობებს პრეპარატის მიღების პერიოდში დაფიქსირებულ სედაციას [10].


### ფარმაკონეტიკა

მონოთერაპიის დროს პერიორალურად მიღებისას ოლანზაპინი კარგად შეიწყვება და მაქსიმალური კონცენტრაცია მიიღწევა დოზის მიღებიდან დაახლოებით 6 საათში. ახასიათებს „პირველი გავლის“ ეფექტი და დოზის დაახლოებით 40% მეტაბოლიზდება სისტემურ სისხლის მიმოქცევაში მოხვედრამდე. ოლანზაპინის

მთავარ მეტაბოლურ გზას წარმოადგენს პირდაპირი გლუკურონიზაცია და ციტოქრომ P450-ით (CYP) დაჟანგვა (სურათი 4). CYP2D6-ით დაჟანგვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მეტაბოლური გზაა, რადგან ოლანზაპინის კლირენსი არ მცირდება ისეთ სუბიექტებში, რომელთაც აღენიშნებათ მოცემული ფერმენტის ნაკლებობა [53, 85].

საკვები არ ახდენს გავლენას ოლანზაპინის შეწოვის სიჩქარეზე ან მოცულობაზე. ოლანზაპინის დღეში ერთჯერადი მიღებისას წონასწორული კონცენტრაცია მიიღწევა 1 კვირაში, რაც დაახლოებით ორჯერ აჭარბებს ერთჯერადი დოზის მიღებისას დაფიქსირებულ კონცენტრაციას. [139, 182].

ოლანზაპინი კარგად ნაწილდება ორგანიზმში, განაწილების მოცულობა შეადგენს დაახლოებით 1000 ლ/ს. 93% უკავშირდება პლაზმის ცილებს, ძირითადად ალბუმინს და ალფა-მჟავა გლიკოპროტეინს 7-1100 ნგ/მლ კონცენტრაციის შემთხვევაში [103].



სურათი 4: ოლანზაპინის მეტაბოლიზმის სქემა

## დანიშნულება და დოზირება

ოლანზაპინი ნაჩვენებია შიზოფრენიის, პირველი ტიპის ბიპოლარულ აშლილობასთან დაკავშირებული მწვავე მანიაკალური ან შერეული ეპიზოდების ინტენსიური მკურნალობისათვის და პირველი ტიპის ბიპოლარული აშლილობის შემანარჩუნებელი თერაპიისათვის. შიზოფრენიის ან პირველი ტიპის ბიპოლარული აშლილობის მქონე პედიატრიულ პაციენტებში პრეპარატი მიიღება მხოლოდ სრული დიაგნოსტიკური შეფასების შემდეგ და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით. პირველი ტიპის ბიპოლარულ აშლილობასთან დაკავშირებული მანიაკალური ან შერეული ეპიზოდების მკურნალობისას დამატებითი საშუალების სახით მიიღება ვალპროატოან ან ლითიუმის პრეპარატებთან ერთად. ოლანზაპინი გამოიყენება შიზოფრენიასთან ან პირველი ტიპის ბიპოლარულ მანიასთან დაკავშირებული ძლიერი შფოთვის, დეპრესიული ეპიზოდების სამკურნალოდ, ასევე რეზისტენტული დეპრესიის დროს. ოლანზაპინის პერიორალური დოზა არის 2.5-5 მგ დღეში ერთჯერ დაავადების სიმწვავის მიხედვით [162].

## გვერდითი ეფექტები

ოლანზაპინით მკურნალობას უკავშირდება შემდეგი გვერდითი ეფექტები: თავბრუსხევა, აკათიზია, პოსტურალური ჰიპოტენზია, ძილიანობა, აღელვება, წონის მატება. ასევე გამოვლენილია პლაზმაში პროლაქტინის კონცენტრაციის გამოხატული მატება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ოლანზაპინის მოხსნის გარეშე უბრუნდება ნორმას. შესაძლოა განვითარდეს პირის სიმშრალე, ყაბზობა. იშვიათად ვლინდება უსიმპტომოდ მიმდინარე დვიძლის ტრანსამინაზების მატება, ერთეულ შემთხვევაში გლუკოზის დონის ზრდა ან ეოზინოფილია [8, 121, 193].

## ტოქსიკოლოგია

ოლანზაპინის გამოყენებისას დაფიქსირებულია ჰიპერგლიკემიის, პეტოაციდოზის და გარდაცვალების შემთხვევები. ოლანზაპინის ერთჯერადი დოზა 10 მგ ტოქსიურია 12 წლამდე ბავშვებისთვის, ხოლო 25 მგ მოზარდებში 12 წლის ზემოთ. მაღალია გარდაცვალების რისკი ხანდაზმულ პაციენტებში დემენციასთან დაკავშირებული ფსიქოზით, რომლებიც მკურნალობებ ისახავენ მოზარდებით. პლაცებო კონტროლირებადი კვლევების მიხედვით 1.7 ჯერ მეტი


იყო გარდაცვალების ფაქტები პაციენტებში, რომლებიც მკურნალობდნენ თლანზაპინით ვიდრე პლაცებო ჯგუფში [167, 55].

აშშ-ს მოწამვლების მონაცემთა ეროვნული სისტემის მიხედვით (National Poison Data System) 2010 წელს დაფიქსირებულია ოლანზაპინით გარდაცვალების 445 ფაქტი [34]. კვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებული იყო აშშ-ს უსაფრთხო სამკურნალო პრაქტიკის ინსტიტუტის მიერ (Institute for Safe Medication Practices, USA) 8 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 4110 სერიოზული გვერდითი ეფექტი და 1001 სიკვდილის შემთხვევა, რომელიც გამოწვეული იყო ონალზაპინის გამოყენების შედეგად [162, 165].

### რისპერიდონი

რისპერიდონი წარმოადგენს ბენზოქსაზოლის ნაწარმ ნივთიერებას. ქიმიური დასახელება არის 3-[2-[4-(6-ფტორ - 1,2-ბენზიზოქსაზოლ-3-ილ)პიპერიდინ-1-ილ] ეთიოლ]-2-მეთიოლ-6,7,8,9-ტეტრაჰიდრო-4H-პირიდო[1,2-a] პირიმიდინ-4-ონი. მისი მოლეკულური ფორმულა  $C_{23}H_{27}FN_4O_2$ , მოლეკულური მასა 410.48. სტრუქტურული ფორმულა მოცემულია №5 სურათზე. რისპერიდონი არის თეთრი ფერის ფხვნილი, პრაქტიკულად უხსნადია წყალში, იხსნება მეთილენქლორიდში, მეთანოლში, 0.1 N ჟლორწყალბადმჟავაში [64].

რისპერიდონის შემცველი პრეპარატი პირველად შემუშავებული იქნა Janssen Pharmaceutica -ს მიერ. აშშ-ს საკვებისა და მედიკამენტების აღმინისტრაციამ 1994 წელს დაარეგისტრირა შიზოფრენიის, ხოლო მოგვიანებით კი ბიპოლარული მანიის სამკურნალოდ [191].



სურათი 5: რისპერიდონის სტრუქტურული ფორმულა

რისპერიდონი საქართველოში იწარმოება სედარექსის (GM Pharmaceuticals) სახელმწოდებით. ასევე საქართველოში რეგისტრირებულია სხვადასხვა მედიკამენტები რისპერიდონის შეცველობით, მათ შორის არის: რისპოლუქსი (Lek, სლოვენია), APO-რისპერიდონი (Apotex, კანადა), როსტალეპტ-როტა (Biofarma, თურქეთი), საერთო ჯამში 25 პოზიცია, სურათი 6, 7 [11].



სურათი 6: რისპერიდონის გაბლებები



სურათი 7: რისპერიდონის წამლის ფორმები

### მოქმედების მექანიზმი

რისპერიდონს სხვა ძირითადი ატიპიური საშუალებებისაგან განსხვავებით გააჩნია მაღალი აფინურობა ( $K_i$  0.12-7.3nM)  $5HT_2$ ,  $D_2$ ,  $\alpha_1$  და  $\alpha_2$  ადრენერგული და  $H_1$  ჰისტამინური რეცეპტორების მიმართ. პრეპარატს ახასიათებს “ძლიერი შეკავშირება” და შესაბამისად უფრო მეტია ექსტრაპირამიდული სიმპტომების განვითარების ალბათობა მაღალი დოზების მიღებისას ვიდრე სხვა საშუალებების შემთხვევაში, რომელთაც ახასიათებთ “სუსტი შეკავშირება”. პრეპარატის თერაპიული მოქმედება შიზოფრენიის დროს მიიღწევა დოფამინის 2 ტიპის ( $D_2$ ) და სეროტონინის 2 ტიპის ( $5HT_2$ ) რეცეპტორების ანტაგონიზმით. კლინიკური ეფექტი განპირობებულია რისპერიდონისა და მისი მთავარი მეტაბოლიტის, 9-ჰიდროქსირისპერიდონის კომბინირებული კონცენტრაციებით.

რისპერიდონს გააჩნია ზომიერი აფინურობა (Ki 47-253nM) სეროტონინის 5HT<sub>1C</sub>, 5HT<sub>1D</sub> და 5HT<sub>1A</sub> რეცეპტორების მიმართ. იგი სუსტი აფინურობით (Ki 620-800nM) უკავშირდება დოფამინის D<sub>1</sub> რეცეპტორებს და ჰალოპერიდოლის მიმართ მგრძნობიარე შეკავშირების ადგილებს. არ ახასიათებს აფინურობა M ქოლინერგული ან β<sub>1</sub> და β<sub>2</sub> ადრენერგული რეცეპტორების მიმართ [15, 83].

## ფარმაკონეტიკა

### შეწოვა

რისპერიდონი კარგად შეიწოვება. პერორალურად მიღების შემდეგ, აბსოლუტური ბიოშეღწევადობა შეადგენს 70%-ს (CV=25%). ხსნარის ან ტაბლეტის პერორალურად მიღების შემდეგ პლაზმაში რისპერიდონის საშუალო მაქსიმალური კონცენტრაცია ფიქსირდება 1 საათში. 9-ჰიდროქსირისპერიდონი მაქსიმალურ კონცენტრაციას აღწევს დაახლოებით 3 საათში ძლიერი მეტაბოლიზმის მქონე პირებში და 17 საათში სუსტი მეტაბოლიზმის მქონე პირებში. რისპერიდონის წონასწორული კონცენტრაცია მიიღწევა 1 დღეში ძლიერი მეტაბოლიზმის მქონე პირებში და დაახლოებით 5 დღეში სუსტი მეტაბოლიზმის მქონე პირებში. 9-ჰიდროქსირისპერიდონის წონასწორული კონცენტრაცია მიიღწევა 5-6 დღეში (ძლიერი მეტაბოლიზმის მქონე პირებში). საკვები არ ახდენს გავლენას რისპერიდონის შეწოვის სიჩქარეზე [170, 171].

### განაწილება

რისპერიდონი სწრაფად ნაწილდება, განაწილების მოცულობა შეადგენს 1-2ლ/კგ. პლაზმაში რისპერიდონი უკავშირდება ცილას და al-მჟავა გლიკოპროტეინს. რისპერიდონის შეკავშირება პლაზმის ცილებთან შეადგენს 90%-ს, ხოლო მთავარი მეტაბოლიტის 9-ჰიდროქსირისპერიდონის შემთხვევაში კი 77%-ს [82, 192].

### ძეგლაბოლიზმი


რისპერიდონი აქტიურად მეტაბოლიზდება ლვიძლები. მთავარ მეტაბოლურ გზას წარმოადგენს რისპერიდონის 9-ჰიდროქსირისპერიდონად ჰიდროქსილიზაცია ფერმენტი CYP2D6 მეშვეობით. მეორეხარისხოვანი მეტაბოლური გზა არის N-დეზალკილირება (სურათი 8). მთავარ მეტაბოლიტს 9-ჰიდროქსირისპერიდონს გააჩნია რისპერიდონის მსგავსი ფარმაკოლოგიური მოქმედება.

რისპერიდონს ახასიათებს პრეპარატებთან ურთიერთქმედების ორი ტიპი. პირველი, CYP2D6 ინჰიბიტორები ხელს უშლიან რისპერიდონის 9-

პიდროქსირისპერიდონად გარდაქმნას. მეორე, ფერმენტის მაინდუცირებელ საშუალებებთან (მაგ: კარბამაზეპინი, ფენიტოინი, რიფამპიცინი და ფენობარბიტალი) ერთად რისპერიდონის გამოყენებისას შესაძლოა აღინიშნოს რისპერიდონის და 9-პიდროქსირისპერიდონის კომბინირებული პლაზმური კონცენტრაციის შემცირება. ასევე რისპერიდონმა შესაძლოა შეაფერხოს სხვა პრეკარატების მეტაბოლიზმი, რომლებიც მეტაბოლიზდებიან CYP2D6-ით [97, 153, 172].

#### გამოყოფა

რისპერიდონი და მისი მეტაბოლიტები გამოიყოფიან შარდით და შედარებით ნაკლები მოცულობით ფენალიებით. რისპერიდონის ნახევარ-გამოყოფის პერიოდი არის 3სთ ( $CV=30\%$ ) ძლიერი მეტაბოლიზმის მქონე პირებში და 20სთ ( $CV=40\%$ ) სუსტი მეტაბოლიზმის მქონე პირებში. 9-პიდროქსირისპერიდონის ნახევარ-გამოყოფის პერიოდი შეადგენს დაახლოებით 21 საათს ( $CV=20\%$ ) ძლიერი მეტაბოლიზმის მქონე პირებში და 30 საათს ( $CV=25\%$ ) სუსტი მეტაბოლიზმის მქონე პირებში [93, 159].



სურათი 8: რისპერიდონის მეტაბოლიზმის სქემა

## დოზირება

რისპერიდონი იწარმოება 0.5 მგ, 1 მგ, 2 მგ, 3 მგ და 4 მგ ტაბლეტების, ასევე პერორალური სუსპენზიის, პირის დრუში ხსნადი ტაბლეტების და ხანგრძლივ მოქმედი საინექციო საშუალების სახით. გახანგრძლივებული მოქმედების წამლის ფორმა შედგება რისპერიდონის შემცველი პოლიმერული მიკროგრანულებისაგან, რომელიც ინექციის წინ იხსნება წყლიან გამხსნელებში. მედიკამენტის საინექციო ფორმას აქვს ფიქსირებული დოზები 25 მგ, 37.5 მგ და 50 მგ. ინექციის შეყვანის შემდეგ მიკროგრანულები რისპერიდონის გამოთავისუფლებას იწყებენ 3-4 კვირაში და კონცენტრაცია ნარჩუნდება დაახლოებით 4 კვირა.

რეკომენდებული დღიური დოზები: მოზრდილები 2 მგ - 16 მგ, მოზარდები 0.5 მგ- 6 მგ. თირკმლის ან დვიძლის მწვავე უკმარისობისას მოზრდილებში გამოიყენება მინიმალური საწყისი დოზა 0.5 მგ დღეში ორჯერ. 1.5 მგ-ზე (დღეში ორჯერ) ზემოთ დოზის გაზრდა შესაძლებელია ერთ კვირიანი ინტერვალით [9, 75].

## გვერდითი ეფექტები

კლინიკურ კელებებში ყველაზე მეტად ( $\geq 5\%$  და ორჯერ მეტი კიდრე პლაცებოს შემთხვევაში) გამოვლინდა პარკინსონიზმის მსგავსი მოვლენები, აკათიზია (მოუსვენრობა მუდმივი მოძრაობისაკენ სწრაფვით), დისტონია, კანკალი, სედაცია, თავბრუსხვევა, აღელვება, მხედველობის დაბინდვა, გულისრევა, დებინება, ეპიგასტრული ტკივილი, დისკომფორტი კუჭის არეში, დისპეფსია, ფადარათი, ჭარბი ნერწყვიანობა, ყაბზობა, პირის სიმშრალე, მადის და წონის მომატება, დადლილობა, გამონაყარი, ზედა სასუნთქი გზების ინფექციები, ნაზოფარინგიტი და ხახა-ხორხის ტკივილი. სხვა ატიპიურ ანტიფსიქოზური საშუალებების მსგავსად, რისპერიდონსაც ახასიათებს ჰიპერგლიკემიის, დიაბეტური კეტოაციდოზის, დემენციის ფონზე განვითარებული ფსიქოზის მქონე ხანდაზმულ პაციენტებში სიკვდილიანობის მომატებული რისკი [129, 161].

## ტოქსიკოლოგია

ლიტერატურის წყაროებში აღწერილია რისპერიდონით მწვავე მოწამვლის შემთხვევები, რომლიც გამოწვეულია გვერდითი ეფექტებით, როგორიცაა QT

ინტერვალის გაზრდა, ავთვისებიანი ნეიროლეპტიური სინდრომი. ასვე ფიქსირდება გარდაცვალების შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია სინუსური ბრადიკარდიით და ვენტრიკულარული არითმიით. ფიქსირდება მწვავე მოწამვლის შემთხვევები რისპერიდონის გამოყენებისას სუიციდის მიზნით, რომელიც ხშირად მთავრდება ლეტალური შედეგით. სუიციდის შემთხვევები ძირითადად ფიქსირდება პაციენტებში, რომლებიც მკურნალობები რისპერიდონით. მედიკამენტების არასისტემური გამოყენება ან მოხსნა იწვევს დაავადების გამწვავებას და თვითმკვლელობის მცდელობას [16, 174, 211].

აშშ საკვების და მედიკამენტების ადმინისტრაციის მიერ, გვერდითი ეფექტების ანგარიშის სისტემაში გამოქვეყნებულია მონაცემები 1993-2008 წლებში რისპერიდონის გამოყენებისას გვერდითი ეფექტების და გარდაცვალების ფაქტების შესახებ (ცხრილი 7) [67]


**ცხრილი 7:** გვერდითი ეფექტების და გარდაცვალების მონაცემები რისპერიდონის გამოყენებისას

ასაკი	სერიოზული გვერდითი ეფექტები	გარდაცვალების შემთხვევა
პედიატრიული	1207	48
მოზრდილი	11029	2035
უცნობი ასაკი	2867	530
შველა ასაკი	15103	2613


## ქვეტიაპინი

ქვეტიაპინი (სურათი 9) წარმოადგენს მეორე თაობის ანტიფსიქოზურ საშუალებას, რომელიც მიეკუთვნება დიბენზოდიაზეპინის წარმოებულს. ქიმიური ფორმულა არის 2-[2-(4-დიბენზო /b,f/ [1,4] თიაზეპინ-11-ილ-1-პიპერაზინილ) ეტოქსი]-ჟოანოლ. მისი მოლექულური ფორმულაა  $C_{21}H_{25}N_3O_2S$  მოლექულური მასა არის 383.51. წამლის ფორმების შემადგენლობაში ქვეტიაპინი წარმოდგენილია ფუმარატის მარილის სახით (სურათი 10), ქიმიური ფორმულა: ბის[2-(4-

დიბენზო [1,4] თიაზეპინ-11-ილ]პიპერაზინ-1-ილ]ეტოქსი]-ეთანოლ] (2 )-ბუთ-2-ენედიოატი, მოლეკულური ფორმულაა  $C_{46}H_{54}N_6O_5S_2$ , მოლეკულური მასა 883. ქვემაღლებული ფურამინის ფურამინის გრისტალურ ფენილს, რომელიც ზომიერად იხსნება წყალში, ეთანოლში და მეთანოლში [62]. ქვემაღლებული შეიმუშავა კომპანიამ AstraZeneca 1992-1996 წლებში, რომელიც იწარმოება Seroquel®-ის სახელით. ქვემაღლებული გამოიყენებო 1997 წელს აშშ-ს საკვების და მედიკამენტების სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა შიზოფრენიის და მოგვიანებით კი მწვავე ბიპოლარული მანიის სამკურნალოდ. საქართველოში ქვემაღლებული რეგისტრირებულია სხვადასხვა სავაჭრო სახელმოდებით: კეტიაპი (Polpharma, პოლონეთი), კეტილეპტი (Egis, უნგრეთი), ქვემაღლებულის ფურამინის გამოიყენები (Apotex, კანადა), საერთო ჯამში 20 პოზიცია, სურათი 11-12 [11, 160].



სურათი 9: ქვემაღლებული სტრუქტურული ფორმულა



სურათი 10: ქვემაღლებული ფურამინის გამოიყენების სტრუქტურული ფორმულა



სურათი 11: ქვეტიაპინის ტაბლეტები



სურათი 12: ქვეტიაპინის წამლის ფორმები

### მოქმედების მექანიზმი

ქვეტიაპინის ეფექტს შიზოფრენიის, ბიპოლარული დეპრესიის და მანიის შემთხვევაში განაპირობებს დოფამინის ტიპი 2 (D<sub>2</sub>) და სეროტონინის ტიპი 2 (5HT<sub>2</sub>) რეცეპტორებზე კომბინირებული ანტაგონიზმი.

ქვეტიაპინი წარმოადგენს თავის ტვინის სხვადასხვა ნეირორეცეპტორის ანტაგონისტს: სეროტონინის 5HT<sub>1A</sub> და 5HT<sub>2</sub> ( $IC_{50s}=717$  და  $148\text{ნმ}$ ), დოფამინის D<sub>1</sub> და D<sub>2</sub> ( $IC_{50s}=1268$  და  $329\text{ნმ}$ ), ჰისტამინური H<sub>1</sub> ( $IC_{50}=30\text{ნმ}$ ) a<sub>1</sub> და a<sub>2</sub> ადრენერგული რეცეპტორები ( $IC_{50s}=94$  და  $271\text{ნმ}$ ). ქვეტიაპინს არ ახასიათებს მნიშვნელოვანი აფინურობა M ქოლინერგული და ბენზოდიაზეპინის რეცეპტორების მიმართ ( $IC_{50s}>5000\text{ნმ}$ ) [4, 127].

### ფარმაკონეტიკა

#### ძებულება

ქვეტიაპინის ფუმარატი სწრაფად შეიწოვება პერიორალურად მიღების შემდეგ, პლაზმაში მაქსიმალური კონცენტრაცია მიიღწევა 1.5სთ-ში [181].

#### განაწილება


ქვეტიაპინი კარგად ნაწილდება მთელს ორგანიზმში, განაწილების მოცულობა

შეადგენს  $10\pm4$ ლ/კგ-ს. თერაპიული კონცენტრაციის შემთხვევაში 83%-ით უკავშირდება პლაზმის ცილებს. [40].

#### გეტაბოლიზმი და გამოყოფა

დოზის დაახლოებით 73% და 20% გამოიყოფა შარდში და ფექალიებში. მეტაბოლიზმის ძირითადი გზა არის სულფოდაჟანგვა მჟავა მეტაბოლიზაცია; მეტაბოლიზმი ფარმაკოლოგიურად არააქტიურია (სურათი 13).

ასაკი: ქვეტიაპინის პერორალური კლირენსი მცირდება 40%-ით ხანდაზმულებში ( $\geq 65$  წელი,  $n=9$ ) ახალგაზრდებთან შედარებით ( $n=12$ ). სქესის მხრივ ქვეტიაპინის ფარმაკოკინეტიკაზე გავლენა არ დაფიქსირებულა [32, 56].



სურათი 13: ქვეტიაპინის მეტაბოლიზმის სქემა

#### ლოზირება

ქვეტიაპინის ფუმარატი ტაბლეტების სახით მიიღება 25-800 მგ/დღეში, მკურნალი ექიმის მიერ შერჩეული სქემით, დაავადების გიპის და სიმძიმის შესაბამისად [12].

#### გვერდითი ეფექტები

ქვეტიაპინს ახასიათებს შემდგი გვერდითი ეფექტები: ავთვისებიანი ნეიროლეპტიური სინდრომი, მოგვიანებითი დისკინეზია, ორთოსტატული ჰიპოტენზია (არტერიული წნევის დაწევა), არტერიული წნევის აწევა,


ლეიკოციტების შემცირება, კატარაქტა, კრუნჩევები, პროლაქტინის დონის მომატება, დგიძლის ფერმენტების მომატება, ყლაპვის გაძნელება, ძილიანობა, თავბრუსხევა, სისუსტე, დისპეფსია, წონის მატება, პირის სიმშრალე [5, 44].

### ტოქსიკოლოგია

ქვეტიაპინის გამოყენება არ არის დაშვებული დემენციასთან დაკავშირებული ფსიქოზის სამკურნალოდ ხანდაზმულ პაციენტებში, რადგან არსებობს გარდაცვალების მაღალი რისკი. 10 კვირის განმავლობაში ჩატარებულმა პლაცებო კონტროლირებადმა კვლევამ აჩვენა, რომ 1.6 ჯერ მეტია გარდაცვალების რისკი იმ ჯგუფში, რომელშიც პაციენტები მკურნალობდნენ ქვეტიაპინით, ვიდრე პლაცებო ჯგუფში. ასევე არსებობს ქვეტიაპინით ინტოქსიკიის და სუიციდის შემთხვევები [92, 151, 163].

### კლოზაპინი

კლოზაპინი მიეკუთვნება ტრიციკლური ბენზოდიაზეპინების ჯგუფს. ქიმიური დასახელება არის 8-ქლორ-11-(4-მეთილპიპერაზინ-1-ილ)-5H-დიბენზო[b,e][1,4] დიაზეპინი. მისი მოლეკულური ფორმულაა  $C_{18}H_{19}ClN_4$ , მოლეკულური მასა 326,8. სტრუქტურული ფორმულა მოცემულია №14 სურათზე.



სურათი 14: კლოზაპინის სტრუქტურული ფორმულა

კლოზაპინი წარმოადგენს ყვითელ, კრისტალურ ფხნილს, პრაქტიკულად უხსნადია წყალში, ადვილად იხსნება მეთილენქლორიდში, იხსნება ეთანოლში, მეთანოლში და ძმარმჟავაში [38]. საქართველოში კლოზაპინი რეგისტრირებულია სხვადასხვა საგაჭრო სახელმოდებით: ლეპონექსი (Novartis, შვეიცარია), ზოპინი (Psychotropics India, ინდოეთი), აზალეპტინი (Arpimed, სომხეთი), საერთო ჯამში 6 პოზიცია, სურათი 15-16 [11].



სურათი 15: კლოზაპინის ტაბლეტები



სურათი 16: კლოზაპინის წამლის ფორმები

### მოქმედების მექანიზმი


კლოზაპინი განსხვავდება "კლასიკური" ანტიფსიქოზური სამკურნალო საშუალებებისგან. ის ახდენს სუსტ მაბლოკირებელ ზემოქმედებას დოფამინურ D1, D2-, D3- და D5-რეცეპტორებზე და არის ძალიან ძლიერი D4 რეცეპტორების ბლოკატორი. გარდა ამისა, ახასიათებს გამოხატული ადრენოლიზური, ანტიქოლინერგული, ანტიჰისტამინური და სეროტონინის საწინააღმდეგო მოქმედება. გააჩნია სწრაფი, გამოხატული სედაციური და ანტიფსიქოზური ეფექტი შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში, რომლებიც რეზისტენტულები არიან სხვა ანტიფსიქოზური პრეპარატების მიმართ. შედეგად კლოზაპინი ეფექტურია, როგორც შიზოფრენიის პროდუქტიული, ასევე ამოვარდნის სიმპტომების შემთხვევებში [6, 126, 137].

### ფარმაკოკინეტიკა

კლოზაპინის მაქსიმალური პლაზმური კონცენტრაცია მიიღწევა პრეპარატის პერიოდური მიღებიდან დაახლოებით 2 საათში. იგი მეტაბოლიზება

ძირითადად ღვიძლის მიკროსომული ფერმენტებით CYP1A2 და შედარებით ნაკლებად 3A4 და 2D6-ით, საშუალო ნახევარ-გამოყოფის პერიოდი შეადგენს ერთჯერადი დოზის მიღებიდან 8 საათს და განმეორებითი დოზის მიღებიდან 12 საათს. აქტიური მეტაბოლიტი არის ნორკლოზაპინი (სურათი 17).

სისხლში კლოზაპინის კონცენტრაციას მნიშვნელოვნად ამცირებს თამბაქოს მოხმარება და ღვიძლის ფერმენტების სხვადასხვა ინდუქტორები (მათ შორის ფენიტოინი და რიფამპიცინი), ხოლო მატებას იწვევს CYP 1A2 და 3A4 ინჰიბიტორები (მაგ: ფლუვოქსამინი და ერითრომიცინი). ზოგიერთი შემთხვევაში, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის შემდეგ შესაძლოა აღინიშნოს სისხლში კლოზაპინის კონცენტრაციის გაორმაგება სედაციის და სხვა გვერდითი ეფექტების გაუარესებით [3, 78, 166].



სურათი 17: კლოზაპინის მეტაბოლიზმის სქემა

### დოზირება

პრეპარატის დოზებს ექიმი არჩევს ინდივიდუალურად. თითოეულ პაციენტს უნდა დაენიშნოს მინიმალური ეფექტური დოზა. პიპერტენზიის, კრუნჩევების და სედაციური ეფექტის რისკების შემცირებისათვის აუცილებელია დანაწევრებული დოზირება. დოზა შეიძლება მერყეობდეს 12.5 მგ - 900 მგ დღე-დამეში. ავადმყოფების უმრავლესობისთვის პრეპარატის ანტიფსიქოზური ეფექტის მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს სადღედამისო დოზის 300 - 450 მგ რამოდენიმე ეტაპად მიღება. ზოგიერთი პაციენტისათვის შესაძლოა ეფექტური აღმოჩნდეს უფრო დაბალი დოზები, ზოგიერთს კი სჭირდებათ დოზები 600 მგ-მდე დღე-დამეში. დოზის შემცირება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. შემანარჩუნებელი მკურნალობა უნდა ჩატარდეს არანაკლებ 6 თვე. სადღედამისო დოზა შეიძლება განაწილდეს რამდენიმე არათანაბრ მიღებად. უმჯობესია

დოზის დიდი ნაწილის დანიშვნა ძილის წინ. აუცილებელია ცვლილების მოხდენა კლოზაპინთან დოზირების სქემაში თუ პაციენტები იყენებენ პრეპარატებს, როგორიცაა ბენზოდიაზეპინები ან სეროტონინის უპშებოჭვის სელექტიური ინჰიბიტორები [17, 21, 24, 37, 25].

### გვერდითი ეფექტები

კლოზაპინთან დაკავშირებულ, ყველაზე სერიოზულ გვერდით ეფექტს წარმოადგენს აგრანულოციტოზი, კრუნჩხევები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გართულებები, ციებ-ცხელება, ძილიანობა/სედაციური ეფექტი, თავბრუსხვევა, ტაქიკარდია, ყაბზობა და ჰიპერსალივაცია [6, 157].

### ტოქსიკოლოგია

ხშირად კლოზაპინით მკურნალობისას მოსალოდნელია პოტენციურად სერიოზული გვერდითი ეფექტები (მაგ: აგრანულოციტოზი, კრუნჩხევები) და შესაბამისად პრეპარატის დანიშვნისას ყურადღებით უნდა შეფასდეს მოსალოდნელი რისკი და სარგებელი. ფინეტში 2 თვიანი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა სისხლის მაჩვენებლებთან დაკავშირებული მწვავე დარღვევების 18 შემთხვევა (9 ფატალური). აგრანულოციტოზს უკავშირდებოდა სიკვდილის 8 შემთხვევა, ხოლო მეცხრე სავარაუდოდ გამოწვეული იყო ლეიკემიით. კლოზაპინის გამოყენებისას მიოკარდიტი არის მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტი. კლოზაპინით მკურნალობისას ფიქსირდება პაციენტების სუნთქვის უკმარისობით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევები. კვლევაში კლოზაპინით მკურნალობისას 503 პაციენტიდან დაფიქსირდა 29 ფატალური შემთხვევა [23, 48, 57].

ზოგიერთ ქვეყანაში კლოზაპინი შეტანილია ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების სპეციალურ სიაში, რადგანაც ხშირია კლოზაპინით კრიმინალური მოწამვლის ფაქტები. მაგალითისთვის, რუსეთის ფედერაციაში კლოზაპინით კრიმინალური მოწამვლა არის პირველ ადგილზე, ყველა სხვა საშუალებას შორის. 2003-2006 წლის მონაცემებით კრიმინალური მოწამვლების 99.7%-ში გამოიყენებოდა კლოზაპინი. აღნიშნული ფაქტების სტატისტიკა შეარდია, რომელიც 20-ჯერ გაიზარდა წინა წლებთან შედარებით [108, 112, 18].

## 2.5 ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ანალიზში გამოყენებული ექსტრაქციის მეთოდები

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიური ობიექტებიდან (სისხლი, შარდი, პლაზმა) და სხვადასხვა საგანმატარებლებიდან (ცარიელი ბლისტერი, კოლოფი, ფლაკონი, ანაწმენდი) იზოლირების მეთოდების შემუშავებას. ვინაიდან, საკვლევი ნივთიერების ექსტრაქცია ხდება რთული შემადგენლობის სხავადსხვა ბიოლოგიური მატრიცებიდან და ობიექტებიდან, მიღებული გამონაწვლილი უნდა იყოს მაქსიმალურად გასუფთავებული, რომ არ მოხდეს საკვლევი ნივთიერების მინორული რაოდენობის გადაფარვა მატრიცაში არსებული სხვადასხვა მინარევებით. იზოლირების პირობების შერჩევისას გასათვალისწინებელია საკვლევი ნივთიერების და მინარევების რაოდენობრივი თანაფარდობა [1, 138]. ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის დროს საკვლევი ნივთიერებების იზოლირებისათვის ძირითადად გამოიყენება სითხე-სითხე და მყარფაზური ექსტრაქცია.

### 2.5.1 სითხე-სითხე ექსტრაქცია

სითხე-სითხე ექსტრაქცია ემყარება საკვლევ ნივთიერებათა სხვადასხვაგავრ ხსნადობას ორ შეურევად ფაზაში, რომელთაგან ერთი საანალიზო მატრიცაა, მეორე კი შერჩეული ორგანული გამხსნელი. სითხე-სითხე ექსტრაქცია იზოლირების ერთ-ერთი ყველაზე ძველი მეთოდია, რომელიც ეფუძნება განსაცალკევებელი კომპონენტების განსხვავებულად განაწილებას ორ სითხურ ფაზას შორის. ექსტრაგირების დროს სითხეები არ უნდა შეერიოს ან შესაძლებელია ნაწილობრივ შეერიოს ერთმანეთს. ექსტრაქციის დროს ადგილი რომ არ ქონდეს დისპერსიას სითხეებს უნდა ჰქონდეთ ურთიერთგანსხვავებული სიმკვრივეები. სითხე-სითხის ექსტრაქცია წარმოადგენს უპირატეს მეთოდს, როდესაც დისტილაცია არაეფუქტურია. იზოლირების პროცესი ვარირებს მარტივი, ერთ ეტაპიანი ექსტრაქციიდან რთულ, რამოდენიმე ეტაპიან ექსტრაქციამდე [49, 119, 164].

გამხსნელის შერჩევა

ექსტრაქცია ეფუძნება ნაერთების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს. სითხე-სითხე ექსტრაქციის პროცესში გამოყენებული გამხსნელები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ ნივთიერება მაქსიმალურად გადავიდეს გამხსნელში. იგი არ უნდა იყოს

საექსტრაქციო სითხესთან შერევადი და უნდა პქონდეს მაღალი აფინურობა თხევადი ნივთიერების მოლეგულებისადმი.

სითხე-სითხის ექსტრაქციისათვის იდეალურ გამხსნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი მოთხოვნებს:

- წარმოადგენდეს კარგ გამხსნელს საანალიზო ნივთიერებისათვის.
- მნიშვნელოვანად განსხვავებული სიმკვრივე ხსნართან შედარებით.
- რეზისტენტულობა თერმული დეგრადაციის მიმართ;
- ინდიფერენტულობა ექსტრაქციის პროცესში მონაწილე ნივთიერებებთან.
- დუღილის მაღალი ტემპერატურა.
- დაბალი სიბლანტე.
- ნაკლებად ტოქსიკური.
- რეგენერაციის უნარი.
- არააალებადი.
- არ უნდა ახასიათებდეს კოროზიული მოქმედება პროცესის დროს გამოყენებულ ალტურგილობაზე.
- დაბალი ფასი.
- ნაკლებად იწვევდნენ გარემოზე ეკოლოგიური თვალსაზრისით ურყოფით ზეგავლენას.
- ფაზებს შორის განსახვავებული ზედაპირული დაჭიმულობა.

გასათვალსწინებელია, რომ ხშირ შემთხვევაში ექსტრაგენტს არ გააჩნია გამხსნელისათვის დამახასიათებებით იდეალური კრიტერიუმები, შესაბამისად საჭიროა კონკრეტული შემთხვევისათვის შერჩეული იქნეს ოპტიმალური გამხსნელი [2, 50, 114, 124, 143, 199].

სითხე-სითხე ექსტრაქციისათვის მოწოდებულია შემდეგი ორგანული გამხსნელები ტეტრაბუთილ მეთილის ეთერი, დიქლორმეთანი, ქლოროფორმი, ეტილაცეტატი, ჰექსანი, მეთანოლი, N-ჰეპტანი, იზოამილის სპირტი და სხვა [58, 116].

## 2.5.2 მყარფაზური ექსტრაქცია

მყარფაზური ექსტრაქცია წარმოადგენს იზოლირების პროცესს, რომელის დროსაც ხდება საანალიზო ნიმუშის გასუფთავება და წინასწარი კონცენტრირება. მეთოდი დაფუძნებულია სორბციის ან იონცვლითი პროცესების გავლენით სამიზნე ნივთიერების განაწილებაზე მყარ სორბენტსა და თხევად მოძრავ ფაზას შორის [215].


უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, საანალიზო ნიმუშის მომზადებისას მყარფაზური ექსტრაქცია გახდა ყველაზე გვექტური მეთოდი საპალევი ნივთიერების სწრაფი და მიზანმიმართული იზოლირებისათვის. მყარფაზური ექსტრაქცია უზრუნველყოფს თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის ეფექტურად ჩატარებას და ქრომატოგრაფირების აპარატურის ხანგრძლივ ექსპლუატაციას. ასევე სითხე-სითხე ექსტრაქციასთან შედარებით მყარფაზური ექსტრაცია გამოირჩევა რიგი უპირატესობით, როგორიცაა ფაზათა სრული დაყოფა, ექსტრაგენტის მცირე მოცულობა, სელექციურობა, ექსპრესულობა, სანალიზო ნიმუშის მცირე მოცულობა.

მყარფაზური ექსტრაქცია ძირითადად ეფექტურია არააქროლადი და ნაკლებად აქროლადი თხევადი საანალიზო ნივთიერებების და გახსნილ მდგომარეობაში მყოფი მყარი საანალიზო ნივთიერების იზოლირებისათვის [196, 210, 216].

არჩევენ შემდეგი სახის მყარფაზურ ექსტრაქციებს:

- **რევერსული** - დაფუძნებულია პოლარული მატრიცის (საანალიზო ნიმუშის) და არაპოლარული მყარი ფაზის ურთიერთქმედებაზე.
- **ნორმალური** - დაფუძნებულია პოლარული მატრიცის და არაპოლარული მოდიფიცირებული მყარი ფაზის ურთიერთქმედებაზე.
- **იონცვლითი** - დაფუძნებულია ნივთიერების (საკვლევი ობიექტი) და აბსორბენტის დამუხტული ჯგუფების ელექტროსტატიკურ მიზიდულობაზე.
- **აბსორბირებადი** - საკვლევი ნივთიერებებისა და არამოდიფიცირებული მყარ ფაზის ურთიერთქმედებაზე [42, 150].

მყარფაზური ექსტრაქცია ძირითადად შედგება ხუთი ეტაპისაგან, იხილეთ სურათი 18.



სურათი 18: მყარფაზური ექსტრაქციის ეტაპები

მყარფაზური ექსტრაქციისათვის გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სორბენტი (კარტრიჯები), როგორიცა არის C-18, LC-8, ENVI-8, LC-4, LC-Ph, HisepTM, LC-CN, LC-Diol, LC-NH2, LC-SAX, LC-SCX და სხვა. სორბენტი წინასწარი შერჩევა ხდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის საანალიზო ნივთიერება არის ექსტრაგირების ობიექტი [190].

## 2.6 ქრომატომასსპექტრომეტრული ანალიზის მეთოდების მნიშვნელობა ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაში

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის ძირითადი მიზანია მედიკამენტების ან მომწამვლელი ნივთიერებების არსებობის გამოვლენა და ამ ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრა სხვადასხვა ბიოლოგიურ ობიექტებში და საგანმატარებელზე. ანალიზის შესასრულებლად გამოიყენება სხვადასხვა სკრინინგ მეთოდები, მაგარამ შედეგების დასადასტურებლად და რაოდენობრივი განსაზღვრის მაღალი სანდოობისთვის ფართოდ არის გამოყენებული მასპექტრომეტრია [7, 54].

მასსპექტრომეტრია სპექტრალური მეთოდია, რომლითაც შესაძლებელია გამოსაკვლევი ნივთიერების მოლეკულის და მისი ფრაგმენტების მასური რიცხვის და მოლეკულის ქიმიური სტრუქტურის განსაზღვრა. მას-სპექტრზე მიღებული პიკი ასახავს მთლიანი მოლეკულის და მისი ფრაგმენტების ან იონების მასას. მასსპექტრომეტრია შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც განცალკევებით, ასევე სითხეურ ან გაზურ ქრომატოგრაფიასთან ტანდემში. მასსპექტრომეტრის დანერგვა სასამართლო ქიუმიურ ექსპერტიზაში იყო რევოლუციური ნაბიჯი, რომელმაც გადაჭრა ბევრი, ამ დარგში დასახული პრობლემები და ამოცანები [14, 41].

ვინაიდან სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის შემთხვევაში საკვლევი ობიექტების წარმოადგენს რთულ კომპლექსურ მატრიცას, მნიშვნელოვანია საკვლევი ნივთიერებების ეფექტური დაყოფა, რისთვისაც გამოიყენება სითხეური ან გაზური ქრომატოგრაფია. ქრომატოგრაფირების დროს დაყოფა ეფუძნება ნივთიერების შედარებით ხსნადობას მოძრავ და მყარ ფაზაში. ქრომატოგრაფირების დროს შესაძლოა გამოყენებული იყოს სხვადასხვა ტიპის დეტექტორი, მაგრამ მასსპექტრომეტრით დეტექტირებას გააჩნია მაღალი სპეციფიურობა და სელექციურობა. გაზურ ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრით (GC/MS) წარმოადგენს დამადასტურებელი ანალიზის უპირატეს მეთოდს, ხოლო სითხეური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრით (LC/MS) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკვლევი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. სასამართლო ექსპერტიზის და კლინიკურ ლაბორატორიებში გაზური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრია სიმარტივის, სიზუსტის, მგრძნობელობის და უნივერსალობის გამო წარმოადგენს დამადასტურებელი კვლევების “ოქროს სტანდარტს” [52, 152].

სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიებში გაზური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრული (GC/MS) მეთოდის გამოყენების რამოდენიმე მიზეზი არსებობს, როგორიც არის ელექტრონული იონიზაცია (EI), რომელიც იძლევა სტრუქტურულ ინფორმაციას საკვლევ ნივთიერებაზე. ასევე არსებობს ძიების ფუნქციის მქონე სპექტრალური ბიბლიოთეკა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საკვლევი ნივთიერებების იდენტიფიკაცია. თუმცა GC/MS-ის გამოყენება პოლარული და თერმოლაბილური საკვლევი მასალის ანალიზისათვის გარკვეულწილად შეზღუდულია, ასევე საჭიროა დერივატიზაცია ნიმუშის აქროლების ხარისხის გაზრდის მიზნით [27].

სითხური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრია (LC/MS) შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც დამადასტურებელი ანალიზისათვის, ასევე საკვლევი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის. არ არის საჭირო დერივატიზაცია, რაც ამარტივებს ნიმუშის მომზადებას. საკვლევი მასალა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ნივთიერებების პოლარულ აქტიურ მეტაბოლიტებს. ასევე შესაძლებელია საანალიზო ობიექტის გაყინვა შენახვის მიზნით და მის შემდგომი გამოყენება ანალიზისათვის, რაც ნაკლებად მისაღებია გაზური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრისათვის. სითხური ქრომატოგრაფის საშუალებით შესაძლებელია მრავალი ისეთი ნაერთის ანალიზი, რომელთა შესწავლა ვერ ხდება გაზური ქრომატოგრაფის მეშვეობით [195, 217].

სასამართლო ტოქსიკოლოგიური ანალიზის დროს დამადასტურებელი მეთოდის სახით რეკომენდებულია მას სპექტრომეტრის (MS) გამოყენება, რადგან MS განსაზღვრავს როგორც მოლეკულურ მასას, ასევე იძლევა საკვლევი ნივთიერების სტრუქტურულ ინფორმაციას. მასსპექტრომეტრის მთავარი პრინციპი არის სხვადასხვა იონიზაციის წყაროს საშუალებით იონების წარმოქმნა, აღნიშნული იონების დიფერენცირება მასის და მუხტის თანაფარდობის შესაბამისად და მათი საბოლოო დეტექტირება. ზოგადად მასსპექტრომეტრიაში არსებობს იონიზაციის ორი ტიპი, “ძლიერი” და “რბილი” იონიზაცია. “ძლიერი” იონიზაციის შემთხვევაში წარმოქმნება იონიზირებული მოლეკულები, რომლებიც მიღრეკილნი არიან ფრაგმენტაციისადმი, ხოლო “რბილი” იონიზაციის დროს კი მცირდება ეს მიღრეკილება. ელექტრონული იონიზაცია (“ძლიერი” იონიზაცია), მირითადად გამოიყენება GC/MS-ის შემთხვევაში. ელექტრონული იონიზაციის (EI) დროს წარმოქმნილი დამუხტული ფრაგმენტები იძლევიან სტრუქტურულ ინფორმაციას, რადგან მათ ჯამური მასა დამახასიათებელია საწყისი საანალიზო მოლეკულისთვის. ქიმიური იონიზაცია

(CI), “რბილი” იონიზაციის მეთოდი უფრო ეფექტურად განსაზღვრავს მოლეკულის მასას [28, 46, 87, 175].

LC/MS-ში ყველაზე ხშირად გამოიყენება ელექტრონების გაფრქვევით იონიზაცია (ESI), რომელსაც ეწოდებათ “რბილი” იონიზაციის მეთოდი. ელექტრონების გაფრქვევით იონიზაციის შემთხვევაში სითხის გაფრქვევა ხდება კაპილარული მილიდან, რომელსაც დამუხტული წვეთების ნაკადის წარმოსაქმნელად მიეწოდება მაღალი ძაბვა. ქიმიური იონიზაციის შემთხვევაში სითხე გაივლის გაცხელებულ მილში, ორთქლდება და წარმოქმნის მოლეკულებს გაზურ მდგომარეობაში, რომელთა იონიზაცია ხდება ელექტრონებით. როდესაც განიხილება თუ რა ფორმის იონიზაციის გამოყენებაა საჭირო გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც სამიზნე ნივთიერების მოლეკულური მასა, ასევე მისი პოლარობა. ელექტრონების გაფრქვევით იონიზაციის გამოყენება მიზანშეწონილია შედარებით დიდი პოლარული მოლეკულების ფრაგმენტაციისთვის, ხოლო ქიმიური იონიზაცია ძირითადად გამოიყენება მცირე მასის პოლარული მოლეკულების იონიზაციისათვის. იონიზაციის დროს შესაძლებელია წარმოიქმნას დადებითად ან უაყოფითად დამუხტული იონები[88, 94, 122, 214].

ვინაიდან სითხერი ქრომატორაფია მასსაქტრომეტრიის დროს გამოიყენება “რბილი” იონიზაცია მასსაქტრი სტანდარტულად შედგება მხოლოდ პროტონირებული მოლეკულური იონისაგან  $[M+H]^+$ . ზედმეტმა ფრაგმენტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს მგრძნობელობის დაჭვეითება მოლეკულური იონის  $[M+H]^+$ -ის შემცირებით. ასევე აღმოჩნდა, რომ ერთი და იგივე ძაბვის პირობებში ფრაგმენტაციის ხარისხი შესაძლოა ცვალებადი იყოს მოძრავი ფაზის სხვადასხვა სერიებისათვის. შესაბამისად უნდა განხორციელდეს ფრაგმენტაციის ძაბვის კონტროლი მოძრავი ფაზის სერიების ცვლილების შემთხვევაში [107, 222]. ასევე ფრაგმენტაციის ინდუცირება შესაძლებელია ტანდემურ მასსაქტრომეტრიის (MS/MS) ექსპერიმენტების შემთხვევებში, რომლის იდეალურ შესაძლებლობას წარმოადგენს ინსტრუმენტი სამმაგი კვადრუპოლით [156, 221].

გამოყენებული ზუსტი პოტენციალის მიხედვით კვადრუპოლებს გაივლიან მხოლოდ ის იონები, რომელთაც აქვთ მასის და მუხტის სპეციფიკური თანაფარდობა ( $m/z$ ). სამმაგი კვადრუპოლით მასსაქტრომეტრის MS/MS ექსპერიმენტების ჩატარებისას პირველი კვადრუპოლის გამოყენება სპანირების რეჟიმში, რაც იძლევა მასა/მუხტის სპეციფიკური თანაფარდობის მქონე იონების გატარების საშუალებას. მეორე კვადრუპოლი გამოიყენება როგორც კოლიზიური

უჯრა, სადა იონები ეჯახებიან არგონის ან აზოტის მოლეკულებს და იშლებიან შვილეულ იონებად. მესამე კვადრუპოლი კი გამოიყენება მასის და მუხტის სპეციფიკური თანაფარდობის მქონე შვილეული იონების დაღგენისა და დეტექტირებისათვის [209, 213].

მასსპექტრომეტრს სამმაგ კვადრუპოლით გააჩნია მონაცემების დამუშავების სხვადასხვა რეჟიმი, როგორიც არის (1) პროდუქტ (შვილეული) იონების სკანირება, (2) პრეკურსორ (საწყისი) იონების სკანირება, (3) ნეიტრალური ნაწილების დაკარგვის და (4) მრავალჯერადი რეაქციის მონიტორინგი (MRM). პროდუქტ იონების სკანირებისას პირველი კვადრუპოლი ფიქსირებულია და ატარებს მხოლოდ მასის და მუხტის სპეციფიკური თანაფარდობის მქონე იონებს (პრეკურსორ [წინამორბედი] იონები), შემდეგ იონები მეორე კვადრუპოლში არგონის ან აზოტის მოლეკულების გავლენით განიცდიან დისოციაციას და ბოლოს მესამე კვადრუპოლში ხდება სრული სკანირება პროდუქტ იონების ფრაგმენტების დეტექტირების მიზნით. პროდუქტ იონების სკანირების საშუალებით ეფექტურად განისაზღვრება ნაერთის სტრუქტურის ფრაგმენტაცია. პრეკურსორი (წინამორბედი) იონების სკანირება პირველ კვადრუპოლში მიმდინარეობს სრული სკანირების რეჟიმით, ხოლო მესამე კვადრუპოლში არის ფიქსირებული. პრეკურსორი (წინამორბედი) იონების სკანირებით შესაძლებელია მსგავსი სტრუქტურების მქონე ნაერთების გამოვლენა, რომლებიც წარმოქმნიან იდენტურად დამუხტულ ფრაგმენტებს. ნეიტრალური ნაწილების დაკარგვის რეჟიმში, როგორც პირველი, ასევე მესამე კვადრუპოლში ხდება სრული სკანირება. ნეიტრალური ნაწილების დაკარგვის მეთოდი გამოიყენება მსგავსი სტრუქტურების მქონე ნაერთების გამოსავლენად, რომლებიც წარმოქმნიან იდენტურ ნეიტრალურ ფრაგმენტებს [198, 208].

მრავალჯერადი რეაქციის მონიტორინგის (MRM) რეჟიმის გამოყენებისას პირველი და მესამე კვადრუპოლი ფიქსირებულია და ატარებს მხოლოდ მასისა და მუხტის (m/z) სპეციფიკური თანაფარდობის მქონე იონებს. კომპლექსური მატრიცების შემთხვევაში MRM რეჟიმში ოპერირებისას შესაძლებელია მატრიციდან ინტერფერენციის გამორიცხვა, რაც იძლევა მაღალი მგრძნობელობის მეთოდის შემუშავების შესაძლებლობას. MRM ასევე ეფექტურია ისეთი ნაერთების შემთხვევაში, რომელთა დაღგენა როგორიცაც მაგრამ პრეკურსორი და პროდუქტ იონების ტრანზაქცია არის უნიკალური, რომელიც არის კონკრეტული ნივთიერებისთვის დამახასიათებელი [177, 188].

## 2.7 მეორე თაობის ანტიფისიქოზური საშუალებების იზოლირების და თვისობრივ - რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ანალიზში

ზოგიერთი მეორე თაობის ანტიფისიქოზური საშუალების ოლანზაპინის რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებზე, როგორც პრეპარატებში ასევე ბიოლოგიურ მასალაში მრავალი ქვეყნის მეცნიერი მუშაობს. კვლევის საგანს წარმოადგენს ზემოთ მოცემული პრეპარატების თვისობრივ-რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ანალიზის შესაბამისი პირობების შერჩევა.

მრავალფეროვანია ბიბლიოგრაფიული მონაცემები ანტიფისიქოზური საშუალებების ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების შესახებ. შესაბამისად განვიხილავთ სხვადასხვა კვლევებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის, და კლოზაპინის ახალი, ორიგინალური თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის და იზოლირების ოპტიმალური პირობების შემუშავება.

რისპერიდონის სისხლის პლაზმაში განსაზღვრისათვის იყენებენ მაღალეფექტურ სითხეურ ქრომატოგრაფიას შემდეგ პირობებში: სვეტი Nucleosil-C8(150X4 მმ), ულტრაიისფერი (UV)დედექტირებით 280 ნმ სიგრძის ტალღაზე, მოძრავი ფაზა: ნატრიუმის დიპიდოროსფატის ბუფერი – აცეტონიტრილი (55:45), pH 6.0, მოძრავი ფაზის დინების სიჩქარე 1.5 მლ/წთ. აღმოსაჩენი მინიმუმია 5 ნგ/მლ [70].

სისხლის პლაზმაში რისპერიდონის განსაზღვრისათვის ჰუგრი და თანაავტორები იყენებდნენ სითხეურ ქრომატოგრაფიას/ტანდემური მას-სპექტრო-მეტრით, შემდეგ პირობებში: სვეტი Alltima-C18 (2.1×100 მმ), მოძრავი ფაზა ჭიან-ჭველმჟავა-აცეტონიტრილი (40:60) [90].

აშშ ფარმაკოპეაში ოლანზაპინის განსასაზღვრის მიზნით მოცემულია სფექტროფოტომეტრია ულტრაიისფერ უბანში, მაღალეფექტური სითხეური ქრომატოგრაფია [204].

სისხლში ოლანზაპინის ინდივიდუალური განსაზღვრისათვის ნილსენის და თანაავტორების მიერ გამოტენებული იყო LC-MS/MS მეთოდი, სვეტი Zorbax Extend C18, მოძრავი ფაზა აცეტონიტრილი-მეთანოლი-ამონიუმის პიდროქსიდი. ანალიზის დრო 15 წუთი. [147].

ქვეტიაპინის ფარმაკოკინეტიკური მაჩვენებლების განსაზღვრისას რაგანდერის და თანაავტორების მიერ გამოყენებული იყო LC-MS/MS მეთოდი სორბენტი C18,

მოძრავი ფაზა ამონიუმ ფორმატის ბუფერის, აცეტონიტრილის და მეთანოლის ნარევი, იზოკრატული მოწოდებით [168].

ნარევი და თანააგზორები ოლანზაპინის, რისპერიდონის და ქვებიაპინის ერთდროული განსაზღვრისათვის გვთავაზობენ მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიას შემდეგი პირობებით: სვეტი - Luna C18, მოძრავი ფაზა - ამონიუმის აცეტატი 20 მმოლ ( $\text{pH } 6.7 \pm 0.5$ ) და აცეტონიტრილი (50 : 50), მოძრავი ფაზის დინების სიჩქარე - 1.0 მლ/წთ, უი დეტექტორი 280ნმ სიგრძის ტალდაზე ანალიზის შედეგები იყო სწორხაზოვანი 35-65 მკგ/მლ კონცენტრაციის ფარგლებში (ოლანზაპინისთვის  $R^2 \geq 0.992$ , რისპერიდონის  $R^2 \geq 0.991$ ) [104].

ოლანზაპინის, რისპერიდონის, კლოზაპინის და მათი ძირითადი მეტაბოლიტების ადამიანის შრატში განსაზღვრისთვის ურინოვსებას და თანააგზორების მიერ შემუშავებული იყო LC-MS/MS მეთოდი, შრატის ცილების დალექვა ხებოდა რეაგენტით:  $\text{ZnSO}_4 \cdot 7\text{H}_2\text{O}$  0.05% ხსნარი აცეტონიტრილი/მეთანოლში (40:60). ქრომატოგრაფიული დაყოფა ხდებოდა სვეტზე - BEH C18, მოძრავი ფაზის გრადიენტული მიწოდებით. მოძრავი ფაზა A (2 მმოლ/ლ ამონიუმის აცეტატი, 0.1% ჭიანჭველმჟავა 5%-იან აცეტონიტრილში), მოძრავი ფაზა B (2 მმოლ/ლ ამონიუმის აცეტატი, 0.1% ჭიანჭველმჟავა 95 %-იან აცეტონიტრილში). დეტექტირება ხდებოდა სამმაგი კვადროპოლიო ტანდემური მას-სპექტრომეტრით. ანალიზის ხანგრძლივობა – 5 წუთი [203].

უჩანის და თანააგზორების მიერ ადამიანის პლაზმაში ოლანზაპინის რაოდენობრივი განსაზღვრისათვის შემუშავებული იყო სითხური ქრომატოგრაფია-მასსპექტრომეტრული მეთოდი (LC-ID/MS). პლაზმის ნიმუშების ექსტრაგირებისათვის გამოიყენებოდა ტერტ-ბუთილ მეთილის ეთერი. ქრომატოგრაფიული დაყოფა ხდებოდა სვეტზე XBridge Shield RP 18 (100მმ x 2.1მმ, 3.5მგ, Waters). მოძრავი ფაზა-აცეტონიტრილი და ამონიუმის ბუფერი ( $\text{pH } 8.0$ ), მიწოდება იზოკრატული, ნაკადის სიჩქარეზე 0.4 მლ/წთ. იონიზაცია მიიღწეოდა დადებითი ელექტროგაფრენევით ( $\text{ESI}^+$ ). სკანირება მიმდინარეობდა მრავალჯერადი რეაქციის მონიტორინგით (MRM) [224].

ადამიანის სისხლში ოლანზაპინის განსაზღვრისათვის სპინას და თანავატორების მიერ შემუშავებული იყო სითხური ქრომატოგრაფიული მეთოდი UV დეტექტირებით. შიდა სტანდარტის სახით გამოიყენებული იყო კლოზაპინი. საკვლევი ნივთიერების იზოლირება ბიოლოგიური ობიექტიდან ხდებოდა სითხე სითხე ექსტრაქციით, გამოიყენებოდა ორგანულ გამხსნელთა სისტემა ნ-ჰექსანი-იზომილის სპირტი (90:10). ორგანული ფაზის ექსტრაქცია ხდებოდა ფოსფატური

ბუფერით 0.1 მოლი/ლ, pH 2.2. ქრომატოგრაფირებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი პირობები: სტაციონარული ფაზა Water Spherisorb S5 C6 (250mm X 4.6 mm ID), მოძრავი ფაზა წყალი-აცეტონიტრილი 55:45 (0009მოლ/ლ ეპტანსულფონ მჟავის ნატრიუმის მარილის და 0.006მოლ/ლ ორფუმიანი კალციუმის ფოსფატის შემცველობით pH 2.7), ფაზის დინების სიჩქარე 1.0მლ/წთ. დეტექტირება ხდებოდა 254 ნმ სიგრძის ტალღაზე. საკალიბრო კონცენტრაციებისთვის გამოიყენებოდა საანალიზო ხსნარები 50 – 500 ნგ/მლ კონცენტრაციის ფარგლებში, ქრომატოგრაფირების დრო იყო 6 წთ. მეთოდი გამოიყენებოდა ფარმაკოკინეტიკური მაჩვენებლების კვლევისათვის [173].

ადამიანის შრატში და ცერებროსპინალურ სითხეში ოლანზაპინის და N-დიმეთილ ოლანზაპინის განსაზღვრისათვის იოსეფზონის და თანააგზორუების მერჩატარდა კვლევა სითხურ ქრომატოგრაფიული/ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის შემუშავებისათვის. შრატის ან ცერებროსპინალური სითხის ნიმუშებიდან ოლანზაპინის და დესმეთილოლანზაპინის იზოლირება მოხდა ტერტ-ბუთილმეთილს ეთერით, ხოლო შიდა სტანდარტის სახით გამოიყენებოდა ოლანზაპინი-D3. საკვლევი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის გამოიყენებოდა LC-MS/MS მეთოდი. იონიზაცია მიიღწეოდა დადებითი ელექტროგაფრქვევით (ESI<sup>+</sup>). სკანირება მიმდინარეობდა მრავალჯერადი რეაქციების მონიტორინგით (MRM). საკალიბრო სტანდარტული ხსნარების კონცენტრაცია 25-100 ნგ/მლ. [102].

დე მეულდერის და თანაგატორების მიერ შემუშავებული იყო ორი სითხურ ქრომატოგრაფიული ტანდემური მასსპექტრომეტრული(LC-MS/MS) მეთოდი, ერთი რისპერიდონის და მისი აქტიური მეტაბოლიტის 9-ჰიდროქსირისპერიდონის (პალიპერიდონი) ენანტიომერების რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ადამიანის პლაზმაში და მეორე - ადამიანის შარდში. პლაზმის და შარდის ნიმუშიდან იზოლირებისათვის გამოიყენებოდა მყარფაზური ექსტრაქცია შერეული ტიპის სორბენტზე. სორბენტის ჩარეცხვა ხდებოდა წყლის, მმარმავა მეთანოლის სისტემით, ხოლო ელურებისათვის გამოიყენებოდა მეთანოლის და ამონიუმის ჰიდროქსიდი ნარევი, აორთქლება აზოტით 65°C ტემპერატურაზე. ელუატის გამხსნელად გამოიყენებოდა 200 მკლ ჰეპტანის, ეთანოლის და 0.1 M ამონიუმის აცეტატის ნარევით. დაყოფა ხდებოდა სითხური ქრომატოგრაფის ქირალურ სვეტზე (50მმ X 4.6მმ, 10 მკმ ნაწილაკების ზომა), მოძრავი ფაზა - ჰექსანი, იზოპროპანოლის და ეთანოლის ნარევი გრადიენტული მიწოდებით, დეტექტირებისათვის გამოიყენებოდა ტანდემური მას-სპექტრომეტრია დადებითი

ელექტროგაფრქვევით. საკალიბრო ხსნარების კონცენტრაცია იყო პლაზმის შეთხვევაში 20-100ნგ/მლ ფარგლებში, ხოლო შარდისთვის 10-2000ნგ/მლ ფარგლებში [136].


ადამიანის შარდიდან და სისხლის შრატიდან სითხე-სითხე ექსტრაქციით იზოლირებული კლოზაპინის და მისი მთავარი მეტაბოლიტების ნორკლოზაპინის და კლოზაპინ-N-ოქსიდის ანალიზის მიზნით ავტორების (კომფარტი და თანავეტორები) მიერ შემოთავაზებული იყო სითხეური ქრომატოგრაფიული მას-სპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდი. სითხე-სითხე ექსტრაქცია ტარდებოდა ტუტე პირობებში, გამსხველის სახით გამოიყენებოდა ეთილაცეტატი. დაუოფისთვის გამოიყენებოდა SynergiPolar RP სვეტი, მოძრავი ფაზა 1 მმოლი ამონიუმის ფორმიატის და მეთანოლის ნარევი, მიწოდება – გრადიენტული, შიდა სტანდარტი d4-კლოზაპინი. დეტექტირებისათვის გამოიყენებოდა QTrap 2000 ტანდემური მას-სპექტრომეტრი, იონიზაცია დადებითი ელექტროგაფრქვევით, სკანირება მრავალჯერადი რეაქციების მონიტორინგით (MRM) [219].

კარდაკოუს და თანავეტორების მიერ მიწოდებულია ადამიანის პლაზმაში კლოზაპინის და ნორკლოზაპინის ერთდროული განსაზღვრისათვის გაზურ ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული (GC/MS) მეთოდი. ნიმუშის მომზადება მოიცავდა საკვლევი მასალის მყარფაზურ ექსტრაქციას Bond-Elut Certify კარტრიჯის გამოყენებით და შემდგომ დერივატიზაციას TFAA-ს საშუალებით. კლოზაპინის და ნორკლოზაპინის განსაზღვრისათვის შიდა სტანდარტის სახით გამოიყენებოდა კლოზაპინ-d8. საკალიბრო ნიმუშები მზადდებოდა საკვლევი კლოზაპინის კონცენტრაციით 3-600ნგ/მლ-ის და ნორკლოზაპინის 5-600ნგ/მლ-ის ფარგლებში. ანალიზისათვის გამოიყენებოდა გაზური ქრომატოგრაფი Hewlett Packard 5890 დეტექტორი HP 5970 MSD, სვეტი HP-5MS (30 მ × 0.25 მმ), აირმატარებელი ჰელიუმი, აირის დინების სიჩქარე 1.0 მლ/წთ. კლოზაპინის და ნორკლოზაპინის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის მასსპექტრომეტრში იონიზაცია მიიღწეოდა ელექტრონული დარტყმით (EI), სკანირება მიმდინარეობდა იონების სელექციური მონიტორინგით (SIM) [206].

### თავი III

#### პკლევის დიზაინი, ობიექტები, მასალები და მეთოდები

##### 3.1 პკლევის დიზაინი



სურათი 19: პკლევის დიზაინი

## 3.2 კვლევის ობიექტები და მასალები

### კვლევის ობიექტები

*in vitro* მოდელური ნიმუშების მოსამზადებლად გამოიყენებოდა:

- გარდაცვლილი და ცოცხალი ადამიანის სისხლი
- ადამიანის პლაზმა
- გარდაცვლილი და ცოცხალი ადამიანის შარდი

საგანმატარებლებზე სამიზნე ნივთიერებების ანალიზისათვის გამოიყენებოდა: ტაბლეტებისგან განთავისუფლებული ბლისტერი და ფლაკონი; დასუფთავების სინჯი საწარმოო აპარატურიდან;

### კვლევაში გამოყენებული იყო შემდეგი მასალები:

სამიზნე ნივთიერებების საანალიზო *in vitro* მოდელური ნიმუშების მოსამზადებლად გამოიყენებოდა SIGMA-ALDRICH -ის კატალოგით შემდენილი შემდეგი რეფერენსს სტანდარტები:

- ოლანზაპინი (EP) ევროპის ფარმაკოპეის რეფერენსს სტანდარტი (ქიმიური ნივთიერების ნომერი 132539-06-1, კატალოგის ნომერი Y0001370);
- რისპერიდონი (EP) ევროპის ფარმაკოპეის რეფერენსს სტანდარტი (ქიმიური ნივთიერების ნომერი 106266-06-2, კატალოგის ნომერი R1000600)
- ქვეტიაპინის ფუმარატი (EP) ევროპის ფარმაკოპეის რეფერენსს სტანდარტი (ქიმიური ნივთიერების ნომერი 111974-72-2, კატალოგის ნომერი Y0001657);  
კლოზაპინი (EP) ევროპის ფარმაკოპეის რეფერენსს სტანდარტი (ქიმიური ნივთიერების ნომერი 5786-21-0, კატალოგის ნომერი C2460000).

### პრეპარატები:

სედარექსი (რისპერიდონი) 1მგ №10 ტაბლეტი ბლისტერში (მწარმოებელი: „GM Pharmaceuticals”, საქართველო.)

ოლზაპი (ოლანზაპინი) 10მგ №10 ტაბლეტი ბლისტერში (მწარმოებელი: „GM Pharmaceuticals”, საქართველო.)

აზალეპტინი (კლოზაპინი) 100მგ №10 ტაბლეტი ბლისტერში (მწარმოებელი: „ARPIMED”, სომხეთი.)

ქვეტიაპინი ფუმარატის ტაბლეტები 100მგ №100 ტაბლეტი ფლაკონში (მწარმოებელი: „Apotex”, კანადა.)

გამოიყენებოდა შემდეგი ექსპერიმენტებისთვის:

1. სამიზნე ნივთიერებების გაზური ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული მეთოდის შემუშავებისას *in vitro* მოდელური ნიმუშების მოსამზადებლად.
2. საგანმატარებლებზე სამიზნე ნივთიერებების ანალიზისათვის.
3. საწარმოო პროცესში გამოყენებულ დანადგარებზე აქტიური ნივთიერების ნარჩენი კონტამინაციის განსაზღვრისას საკონტროლო ხსნარის მოსამზადებლად.

### **ორგანული გამხსნელები და რეაქტივები**

- მეთანოლი – Scharlab, ესპანეთი
- ეთანოლი – Scharlab, ესპანეთი
- N-ჰექსანი – Rotth, გერმანია
- აცეტონიტრილი - Merck, გერმანია
- ჭიანჭველმჸავა – Rotth, გერმანია
- 3,3',5,5'-Tetramethylbenzidine (TMB) Liquid Substrate System for ELISA - SIGMA-ALDRICH, აშშ
- ამონიუმის ჰიდროქსიდი – Scharlab, ესპანეთი

### **გამხსნელთა სისტემები:**

ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ქრომატოგრაფირებისათვის მოძრავ ფაზად გამოიყენებოდა შემდეგი გამხსნელთა სისტემები:

- 0.1% ჭიანჭველმჸავას წყლისნარი (B ხსნარი) : 0.1% ჭიანჭველმჸავას აცეტონიტრილის ხსნარი (A ხსნარი) - 60:40

### **სითხე – სითხე ექსტრაქციისათვის გამოიყენებოდა შემდეგი გამხსნელთა სისტემები:**

იზოლირებისათვის ოპტიმალური პირობების შერჩევის მიზნით გამოვიყენეთ გამხსნელთა სხვადასხვა სისტემები:

- ჰეპტანი - დიქლორმეთანი (90:10)
- ეთილაცეტატი - ჰეპტანი - დიქლორმეთანი - იზოპროპანოლი (60:20:15:5)
- ქლოროფორმი - ჰექსანი - N ბუთანოლი (40:40:20)
- ჰექსანი - ეთილაცეტატი (80:20)
- ქლოროფორმი - ბუთილაცეტატი - მეთანოლი (60:30:10)

## მყარფაზური ექსტრაქციისათვის გამოიყენებოდა:

სორბენტის კონდეცირება

- მეთანოლი
- დეიონიზირებული წყლი
- 100 მმოლი ფოსფატური ბუფერი (pH 6.0)

ნიმუშის წინასწარი დამუშავებისათვის

- 4 მლ დეიონიზირებული წყალი
- 100 მმოლი ფოსფატის ბუფერი (pH 6.0).

სორბენტის ჩარეცხვისათვის

- დეიონიზირებული წყლი
- 100 მმოლიმარმჟავა
- მეთანოლი

ელუატის მიღებისათვის

- მეთილენქლორიდი ( $\text{CH}_2\text{Cl}_2$ ) /იზოპროპილის სპირტი (IPA) / ამონიუმის ჰიდროქსიდი ( $\text{NH}_4\text{OH}$ ), 78:20:2 თანაფარდობით.

### 3.3 გვლევის მეთოდები

➤ სისხლის, პლაზმის, შარდის შემოწმება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არსებობაზე წარმოებდა იმუნოფერმენტული მეთოდით, ანალიზატორის საშუალებით, Human Reader Plus, Human Combiwash, გერმანია.

იმუნოფერმენტული ანალიზისათვის გამოიყენებოდა შემდეგი მასალები: ანტისხეულით მოფენილი პლანშეტი.

ფერმენტი (ნივთიერებასთან კონიუგირებული ფერმენტის შემცველობით) ფოსფატური ბუფერი, ხარის შრატი და კონსერვანტი.

Tween-20 განზავებული დეიონიზირებული წყლით 1 : 10 თანაფარდობით.

სუბსტრატი (3,3',5,5'-ტეტრამეთილბენზიდინს (TMB)),

სტრანგული - 1 N გოგირდმჟავა.

➤ სითხე-სითხე ექსტრაქციისათვის, საანალიზო ობიექტების სტანდარტული და საკვლევი ხსნარების მოსამზადებლად ერთგვაროვანი სითხეების მისაღებად, გამოიყენებოდა როტორული შემრევი Stuart®Rotator SB3 - Bibby Scientific Ltd., (გაერთიანებული სამეცნ).

- სითხე-სითხე ექსტრაქციის დროს ფაზათა დაყოფისათვის გამოიყენებოდა ცენტრიფუგა Hettich® MICRO 200 - Andreas Hettich GmbH & Co.KG (გერმანია).
- ნიმუშების ულტრაბგერითი დამუშავება მიმდინარეობდა ულტრაბგერით აბაზანაზე MRC Ultrasonic - MRC ltd. (ისრაელი).
- სისხლის, შარდის, პლაზმის ინ ვიტრო ნიმუშებიდან საკვლევი ნივთიერებების იზოლირება ხდებოდა მყარფაზური ექსტრაქციის მეთოდით, გამოიყენებოდა სისტემა Gilson GX-271 ASPEC, აშშ. მყარფაზური ექსტრაქციის კარტიჯები - Supelclean LC-18 SPE 500მგ(SIGMA-ALDRICH);
- საანალიზო ნიმუშების, გამხსნელთა სისტემების, მყარფაზური ექსტრაქციისას მომზადებისას გამოიყენებოდა დემინერალიზირებული წყალი, რომელიც მიიღებოდა მილიპორის აპარატის საშუალებით.
- საანალიზო ნიმუშის კონცენტრირებისათვის ვიყენებდით აზოტის ნაკადის მოწყობილობას.
- ბუფერული ხსნარების მოსამზადებლად, ექსტრაგირების პროცედურის დროს გამოიყენებოდა pH მეტრი.
- ბიოლოგიური ობიექტების, სტანდარტული და საანალიზო ნიმუშების შესანახად, სტაბილურობის შესასწავლად ვიყენებდით კომპანია Thermo-ს მიერ წარმოებულ მაცივარს.
- საანალიზო ნიმუშების გასაფილტრად ვიყენებდით ფილტრს ზომით 0.45მკმ
- საანალიზო ობიექტში საკვლევი ნივთიერების რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოებდა სითხური ქრომატოგრაფი - ტანდემური მასსპექტრომეტრით (LC-MS/MS) - AGILENT TECHNOLOGIES 1290 Infinity AGILENT TECHNOLOGIES 6460Triple quad LC/MS/MS. სვეტი - Zorbax Eclipse C18(100×2.1mm, 1.8 μm), წინასვეტი - UHPLC GUARD Zorbax Eclipse C18(5×2.1mm,1.8μm). იონიზაცია მიიღწეოდა დადებითი ელექტროგაფრქვევით (ESI<sup>+</sup>). სკანირება მიმდინარეობდა მრავალჯერადი რეაქციის მონიტორინგის რეჟიმში (MRM).
- საანალიზო ობიექტში საკვლევი ნივთიერებების თვისობრივის ანალიზისათვის გამოიყენებოდა გაზური ქრომატოგრაფია მასსპექტრომეტრული დეტექტირებით (GC-MS), აპარატი - Agilent 7000A Quadrupole GC-MS. იონიზაცია მიმდინარეობდა დადებითი ელექტრონული იმპულსის რეჟიმით (EI<sup>+</sup>). სკანირება მიმდინარეობდა ჯამური იონური ნაკადით (TIC).

## თავი IV

### მიღებული შედეგები და მათი განხილვა

#### 4.1 ბიოლოგიური ობიექტების სკრინინგი ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არსებობაზე ჰეტეროგენული იმუნოფერმენტული ანალიზის (ELISA) მეთოდით

ექსპერიმენტებში *in vitro* მოდელის მოსამზადებლად გამოიყენებოდა სხვადასხვა ბიოლოგიური ობიექტები, ადამიანის სისხლი, შარდი, პლაზმა. მოცემული საანალიზო მატრიცები ნიმუშების მომზადებამდე უნდა შემოწმდეს ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე და გამოირიცხოს მათი არსებობა, რათა გავლენა არ იქნიოს ექსპერიმენტის შედეგებზე. საანალიზო ობიექტების შემოწმებას გახდენდით იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით (ELISA) შედეგ ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე: ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კოკაინი, მეტადონი, ამფუტამინები, მეტამფეტამინები, ოპიატები, ბუპრენორფინი, ბენზოდიაზეპინები, ბარბიტურატები და ტრიციკლური ანტიდეპრესანტები.

ELISA მყარ-ფაზური იმუნოანალიზის მეთოდია, რომელიც შემუშავებულია ნარკოტიკულ საშუალებათა აღმოსაჩენად. ანალიზი სრულდება პლანშეტზე, რომლის ფსკერზეც იმობილიზირებულია ანტისხეულები, რომელთაც ახასიათებთ მაღალი აფინურობა საკვლევ ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებთან. უჯრედის ფსკერზე პირველ რიგში უნდა მოხდეს სტანდარტის და ნიმუშის შეტანა, ხოლო შემდეგ ემატება ენზიმი (ფერმენტული კონიუგატი). საინკუბაციო პერიოდში ანტისხეულთან ბმის დასამყარებლად მიმდინარეობს კონკურენცია ნარკოტიკსა და ფერმენტულ კონიუგატს შორის. რეცეპტორის ეტაპზე ხდება შეუკავშირებელი ნაწილი მოშორება და შემდეგ ეტაპზე ემატება სუბსტრატი ფერის წარმოსაქმნელად. ენზიმ-სუბსტრატის რეაქციის შესაჩერებლად პროცესში უნდა მოხდეს სტოპ-სინარის დამატება. ფერის ინტენსივობა ნიმუშში ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შემცველობის უკუპროპორციულია, შესაბამისად ის ნიმუშები, რომლებიც შეიცავენ ნარკოტიკულ ნივთიერებას, ახასიათებთ უფრო ნაკლები ფერის ინტენსივობა.

#### ანალიზის პროცედურა


იმუნოფერმენტული ანალიზის დაწყებამდე რეაქტივები და ნიმუშები დაგაყოვნეთ ოთახის ტემპერატურაზე 60 წთ-ის განმავლობაში. პლანშეტის სამ-სამი უჯრედის

ფსკერზე მოვათავსეთ 20 მკლ უარყოფითი კონტროლი (0 ნგ/მლ), დადებითი კონტროლი კონცენტრაციით 10, 25, 50 ნგ/მლ და 20 მკლ საანალიზო ნიმუში.

სტანდარტებისა და ნიმუშების დატანის შემდეგ, თითოეულ უჯრედს დაუყოვნებლივ დავამატეთ 100 მკლ ენზიმის დამატების შემდეგ, პლასტიკური შევანედრიეთ სანჯღრეველაზე და დავაყოვნეთ 30 წთ-ის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე.

ინკუბაციის პროცესის დასრულების შემდეგ პლასტიკური გავრეცხეთ სპეციალური ხსნარით ავტომატური გამრეცხის საშუალებით. თითოეული უჯრედის გარეცხვისთვის გამოვიყენეთ გამრეცხი ხსნარი 300 მკლ ოდენობით.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე ყოველ უჯრას დავამატეთ 100-100 მკლ სუბსტრატი და შევანედრიეთ. სუბსტრატთან რეაქციას დავაყოვნეთ 45 წთ-ის განმავლობაში. რეაქციის შეწყვეტისათვის დავამატეთ 100-100 მკლ სტოპ ხსნარი (სურათი 20).



სურათი 20: იმუნოფერმენტული ანალიზის შედეგები

ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობების განსაზღვრა მოვახდინეთ 450 ნმ-ზე, რის შედეგადაც დავადგინეთ, რომ ყველა საანალიზო ნიმუშის ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა იყო მეტი ვიდრე დადებითი კონტროლის ოპტიკური სიმკვრივე, რაც მიუთითებს საანალიზო ბიოლოგიურ ობიექტებში სამიზნე ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არარსებობაზე.

სადისარტაციო ნაშრომში მოცემული ყოველი ექსპერიმენტის დაწყებამდე ზემოთ

მითითებული პროცედურა გამოვიყენეთ ყველა ბიოლოგიური ობიექტის ტესტირებისათვის.

შესაბამისად დავადგინეთ, რომ ექსპერიმეტებში გამოყენებული *in vitro* მოდელის მოსამზადებლი შარდი, პლაზმა და სისიხლი გვაძლევდა უარყოფით რეაქციას შემდეგ ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე: ტეტრაჰიდროკანაბინოლი, კოკაინი, მეტადონი, ამფეტამინები, მეტამფეტამინები, ოკიატები, ბუპრენორფინი, ბენზოდიაზეპინები, ბარბიტურატები და ტრიციკლური ანტიდეპრესანტები.

## **4.2 ადამიანის შარდიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სითხე - სითხე ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების შერჩევა**

### **ექსპერიმენტის მიზანი**

ბიოლოგიური ობიექტებიდან ტოქსიური ნივთიერებების იზოლირებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა ორგანულ გამსსნელთა თვისებები, არის pH-ის მნიშვნელობა, ექსტრაქციის დრო და ჯერადობა.

მოცემულის ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა ბიოლოგიური ობიექტიდან (შარდი) ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სითხე – სითხე ექსტრაქციაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და იზოლირების ოპტიმალური პირობების დადგენა.

### **მასალა და მეთოდები**

ექსპერიმენტისთვის გამოყენებული იყო სამიზნე ნივთიერებების რეფერენს სტანდარტები, ორგანული გამსსნელების სხვადასხვა ვარიაცია და თანაფარდობა. *in vitro* ნიმუშების მომზადებამდე შარდი შემოწმებული იყო ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე (იხილეთ ქვეთავი 4.2).

საკვლევი ნივთიერების იზოლირების ოპტიმალური პირობების დასაღენად გამოვიყენეთ ჩვენს მიერ ექსპერიმენტების საფუძველზე შემუშავებული იზოლირების პირობები.

### **ექსპერიმენტი**

კვლევის მიზნით მოვამზადეთ საკვლევი ნივთიერებების 1.00 მგ/მლ კონცენტრაციის სტანდარტული სსნარი მეთანოლში. მიღებული სსნარების შარდში განზავებით მოვამზადეთ საანალიზო ნიმუშები კონცენტრაციით 50 ნგ/მლ. საანალიზო სსნარის ოპტიმალური გადანაწილებისათვის ვიყენებდით ულტრაბგერით აბაზანას 5 წუთის განმავლობაში.

ნიმუშის მომზადების შემდეგ იზოლირებისთვის გამოყენებული იყო სითხე-სითხე ექსტრაქცია. იზოლირებას ვახდენდით ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდის მიხედვით ოთახის ტემპერატურაზე, სხავდასხვა ორგანული გამსსნელებით, pH-ის, ექსტრაქციის ჯერადობის და ხანგრძლივობის დროის განსხვავებულ პირობებში.

ცენტრიფუგირების შემდეგ ორგანული გამსსნელის ფენას ვაქროლებდით 50°C

ტემპერატურაზე, აზოტის ნაკადის გამოყენებით. მიღებულ მშრალი ნაშთს ვხსნიდით 200 მკლ მოძრავ ფაზაში და ვახდენდით ქრომატოგრაფში ინჟექტირება 5 მკლ მოცულობით.

### აპარატურული გაფორმება

კვლევის დროს ვიყენებდით სითხურ ქრომატოგრაფს – ტანდემური მასსპექტრომეტრით (LC–MS/MS), ქრომატორაფირების და დეტექტირების პირობები იხილეთ თავი 4.7.

იზოლირების ხარისხის შეფასებას ვახდენდით საანალიზო ნიმუშების პიკის ფართობების შეფარდებით სამიზნე ნივთიერებების სტანდარტული ხსნარის პიკის ფართობებთან, ექსტრაქციის ხარისხის მაჩვენებელი გამოვთვალეთ ფორმულით:

$$\text{ექსტრაქციის ხარისხი } (\%) = \frac{(R_{SM})}{(R_{ST})} \times 100\%$$

სადაც:

$R_{SM}$  - საანალიზო ნიმუშის ქრომატოგრამაზე სამიზნე ნივთიერების პიკის ფართობი;

$R_{ST}$  - სტანდარტული ხსნარების ქრომატოგრამაზე სამიზნე ნივთიერების პიკის ფართობები;

### შედეგები

ბიოლოგიური ობიექტის და საანალიზო ნივთიერების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით იზოლირებიათვის შევარჩიეთ გამხსნელთა სხვადასხვა სისტემები, იხილეთ ქვეთავი 3.4.

შერჩეული გამხსნელთა სისტემებით მოვახდინეთ სამიზნე ნივთიერებების იზოლირება არის სხვადასხვა pH – ის პირობებში.

N<sup>o</sup>8 ცხრილში მოცემულია საკვლევი ნივთიერებების იზოლირების ხარისხი (%) არის სხვადასხვა pH – ის და გამხსნელთა სისტემების პირობებში.

**ცხრილი 8: ოლინგური რისპექტანტის, კვეტიაპინის და კლოზაპინის  
იზოლირების ხარისხის მონაცემები**

დასახელება	იზოლირების სისტემა				
	ჰეპტანი დიქლორმეთანი 9:10	ეთილაცეტატი ჰეპტანი დიქლორმეთანი იზოპროპანოლი 60:20:15:5	ჰლოროფორმი ჰექსანი ბუთანოლი 40:40:20	ჰექსანი ეთილაცეტატი 80:20	ჰლოროფორმი ბუთილაცეტატი მეთანოლი 60:30:10
<b>იზოლირების ხარისხი, % pH 2.0</b>					
ოლინგური	3	9	3	8	5
რისპექტანტი	5	11	2	4	2
კვეტიაპინი	7	2	4	3	4
კლოზაპინი	2	3	7	4	3
<b>იზოლირების ხარისხი, % pH 6.0</b>					
ოლინგური	14	27	17	6	14
რისპექტანტი	12	29	9	12	19
კვეტიაპინი	17	31	12	19	22
კლოზაპინი	11	28	14	21	11
<b>იზოლირების ხარისხი, % pH 9.0</b>					
ოლინგური	67	85	53	51	77
რისპექტანტი	63	81	79	58	56
კვეტიაპინი	56	84	59	60	48
კლოზაპინი	61	80	68	55	52

ასევე ექსპერიმანტის შედეგად დავადგინეთ ექსტრაქციის ოპტიმალური დრო და ჯერადობა (ცხრილი №9-10). იზოლირებისათვის გამოიყენებოდა გამხსნელთა სისტემა ეთილაცეტატი – ჰეპტანი – დიქლორმეთანი - იზოპროპანოლი (60:20:15:5), ხოლო არის pH იყო 9.0.

ცხრილი 9: ოლნზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის იზოლირების ხარისხის მონაცემები დროის სხვადსხვა ინტერვალში

დასახელება	იზოლირების ხარისხი, %		
	ექსტრაციის დრო 3 წთ	ექსტრაციის დრო 5 წთ	ექსტრაციის დრო 10 წთ
ოლანზაპინი	56	85	85
რისპერიდონი	80	81	81
ქვეტიაპინი	78	84	85
კლოზაპინი	74	80	80

ცხრილი 10: ოლნზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის იზოლირების ხარისხის მონაცემები სხვადსხვა ჯერადობის შემთხვევაში

დასახელება	იზოლირების ხარისხი, %		
	ერთჯერადი	ორჯერადი	სამჯერადი
ოლანზაპინი	72	85	84
რისპერიდონი	63	81	82
ქვეტიაპინი	80	84	84
კლოზაპინი	59	80	81

წარმოდგენილ ცხრილებში მოცემული შედეგების მიხედვით დავადგინეთ, რომ ადამიანის შარდიდან ოლნზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის იზოლირებისათვის ოპტიმალურ პირობებს წარმოადგენს:

გამხსნელთა სისტემა: ეთილაცეტატი – ჰეპტანი – ლიქლორმეთანი – იზოპროპანოლი (60:20:15:5)

ტემპერატურული რეჟიმი: ოთახის ტემპერატურა

pH-ის მნიშვნელობა: 9.00

ექსტრაქციის ჯერადობა: 2

ხანგრძლივობა: 5-5 წთ

**4.3 ადამიანის სისხლიდან და პლაზმიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მყარფაზური ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების შერჩევა**

**ექსპერიმენტის მიზანი**

ბიოლოგიური ობიექტიდან (სისხლი, პლაზმა) ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის მყარფაზური ექსტრაქციის ოპტიმალური პირობების დადგენა.

**ნედლეული და მასალები**

ექსპერიმენტისთვის გამოყენებული იყო სამიზნე ნივთიერებების რეფერენს სტანდარტები, ორგანული გამსხელების სხვადასხვა ვარიაცია და თანაფარდობა. მყარფაზური ექსტრაქციისათვის გამოიყენებოდა სორბენტი - C 18. სისხლის *in vitro* ნიმუშების მომზადებამდე შემოწმებული იყო ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე (იხილეთ ქვეთავი 4.2).

**ექსპერიმენტი**

საანალიზო ხსნარების მომზადება:

საკვლევი ნივთიერებების ძირითადი ხსნარს ვამზადებდით მეთანოლში კონცენტრაციით 1.0 მგ/მლ. მოცემული ხსნარის სისხლში და პლაზმაში განზავებით ხდებოდა ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის საანალიზო ნიმუშების მომზადება კონცენტრაციით 50 ნგ/მლ.

**მყარფაზური ექსტრაქციის პროცედურის შერჩევა**

პლაზმის და სისხლის ნიმუშებიდან ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის იზოლირებისათვის გამოყენებულ იყო გილსონის ავტომატური სისტემა GX-271 ASPEC.

ბიოლოგიური ობიექტის და საანალიზო ნივთიერებების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით იზოლირებიათვის შევარჩიეთ მყარფაზური ექსტრაქციის ორი განსხვავებული პირობა:

**პირობა №1**

- სორბენტის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა (კონდეცირება)
  - ჩარეცხვა 1 x 3 მლ მეთანოლით და გაშრობა
  - ჩარეცხვა 1 x 3 მლ დეიონიზირებული წყლით და გაშრობა

- ჩარეცხვა 1 x 1 მლ 100 მმოლი ფოსფატური ბუფერით (pH 6.0) და გაშრობა
- ნიმუშის წინასწარი დამუშავება და სორბენტზე შექვანა
  - 1 მლ ნიმუში
  - 4 მლ დეიონიზირებული წყალი
  - 2 მლ 100 მმ ფოსფატური ბუფერი (pH 6.0)
- სორბენტის ჩარეცხვა
  - ჩარეცხვა 3 მლ დეიონიზირებული წყლით, გაშრობა
  - ჩარეცხვა 1 მლ 100 მმოლი მმარმჟავით, გაშრობა
  - ჩარეცხვა 3 მლ მეთანოლით, გაშრობა
- ელუატის მიღება
  - მეთილენქლორიდი ( $\text{CH}_2\text{Cl}_2$ )/იზოპროპილის სპირტი (IPA)/ ამონიუმის ჰიდროქსიდი ( $\text{NH}_4\text{OH}$ ), 78:20:2 თანაფარდობით.

## პირობა №2

- სორბენტის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა (კონდეცირება)
  - ჩარეცხვა 1 x 3 მეთილენქლორიდი ( $\text{CH}_2\text{Cl}_2$ ) /იზოპროპილის სპირტი (IPA) / ამონიუმის ჰიდროქსიდი ( $\text{NH}_4\text{OH}$ ), 78:20:2 თანაფარდობით და გაშრობა
  - ჩარეცხვა 1 x 3 მლ მეთანოლით და გაშრობა
  - ჩარეცხვა 1 x 1 მლ 100 მმოლი ფოსფატური ბუფერით (pH 6.0)
- ნიმუშის წინასწარი დამუშავება და სორბენტზე შექვანა
  - 4 მლ ნიმუში
    - 1 მლ დეიონიზირებული წყალი
    - 2 მლ 100 მმოლი ფოსფატური ბუფერი (pH 6.0).
- სორბენტის ჩარეცხვა
  - ჩარეცხვა 1 მლ 100 მმოლი მმარმჟავით, გაშრობა
  - ჩარეცხვა 3 მლ მეთანოლით, გაშრობა
- ელუატის მიღება
  - მიღებული ელუატის შეგროვება და შერევა

## ექსტრაქციის პროცედურა

- სორბენტის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა (კონდეცირება)
  - სორბენტის კონდიცირება მოვახდინეთ №1 და №2 პირობებში მითითებული ხსნარებით. გავაშრეთ არაუმეტეს 76.2 მმვწყ. სკ. წნევაზე.

- ნიმუშის წინასწარი დამუშავება და სორბენტზე შექვანა ნიმუშს დაუმატეთ №1 და №2 პირობებში მითითებული ხსნარები შევურიეთ/შევანჯდრიეთ სტიუარტის როგატორზე და ულტრაბგერით აბაზანაზე პომოგენური სტრუქტურის მისაღებად. მოვახდინეთ ცენტრიფუგირება 10 წუთის განმავლობაში, 5000 ბრ/წთ და მოვაშორეთ ნალექი. მიღებული ნიმუშების pH უნდა იყოს  $6.0 \pm 0.5$ . pH-ის რეგულირება მოვახდინეთ 100 მმოლი ერთფუძიანი ნატრიუმის ფოსფატით.
- პროცედურის დასრულების შემდეგ საანალიზო ნიმუში შევიტანეთ სორბენტზე.
- სორბენტის ჩარცეხვა სორბენტის ჩარცეხვა მოვახდინეთ რამოდენიმე ეტაპად №1 და №2 პირობებში მითითებული თანმიმდევრობით. ყველა ეტაპის შემდეგ გაშრობდით 5 წუთის განმავლობაში არაუმეტეს 254 მმგწ. სკ. წნევაზე.
- ელუატის შეგროვება ელუირება მოვახდენდით №1 და №2 პირობებში მითებული თამნიმდევრობით.
- ელუატის შეგროვება №1 და №2 პირობების შესაბამისად შეგროვებული ელუატისთვის გამსსნელად გამოვიყენეთ ახალად მომზადებული ნარევი. 40 მლ იზოპროპანოლს დავუმატეთ 4 მლ კონცენტრირებული ამონიუმის ჰიდროქსიდი, შეურიეთ და დავუმატეთ 156 მლ მეთილენქლორიდი და განმეორებით შევურიეთ.
- პროცედურის დასრულების შემდეგ მიღებული ელუატი ავაორთქლეთ არაუმეტეს  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე აზოტის ნაკადის ქვეშ მშრალ ნაშთამდე.
- საანალიზო ნიმუშის მომზადება – მიღებული მშრალი ნაშთი გავხსენით ნარევით, რომელიც შეიცავდა 200 მკლ აცეტონტრილის და დეიონიზირებულ წყალს 1:3 თანაფარდობით. კარგად შევურიეთ/შევანჯდრიეთ 30 წამის განმავლობაში და მოვახდინეთ ქრომატოგრაფში ინექცირება 5 მკლ-ის ოდენობით.

### **აპარატურული გაფორმება**

პლასტიკური დროს ვიყენებდით სითხურ ქრომატოგრაფს – ტანდემური მასსპექტრომეტრით (LC–MS/MS), ქრომატორაფირების და დეტექტირების პირობები იხილეთ ქვეთავი 4.7.

## შედეგები

სამიზნე ნივთიერებების იზოლირების ხარისხის შეფასება მოვახდინეთ სისხლის და პლაზმის საანალიზო ნიმუშების პიკის ფართობების შეფარდებით ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სტანდარტული ხსნარების პიკის ფართობებთან, ექსტრაქციის ხარისხის მაჩვენებელი გამოვთვალეთ ფორმულით:

$$\text{ექსტრაქციის ხარისხი } (\%) = (R_{SM}) / (R_{ST}) \times 100\%$$

სადაც:

$R_{SM}$  - საანალიზო ნიმუშის ქრომატოგრამაზე სამიზნე ნივთიერების პიკის ფართობი;

$R_{ST}$  - სტანდარტული ხსნარების ქრომატოგრამაზე სამიზნე ნივთიერების პიკის ფართობები;

ცხრილი 11: ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სისხლიდან და პლაზმიდან იზოლირების ხარისხის მონაცემები

დასახელება	სისხლიდან იზოლირების ხარისხი, %	
	ექსტრაქციის პირობა №1	ექსტრაქციის პირობა №2
ოლანზაპინი	92	78
რისპერიდონი	94	45
ქვეტიაპინი	91	76
კლოზაპინი	93	69
დასახელება	პლაზმიდან იზოლირების ხარისხი, %	
	ექსტრაქციის პირობა №1	ექსტრაქციის პირობა №2
ოლანზაპინი	91	71
რისპერიდონი	93	62
ქვეტიაპინი	92	53
კლოზაპინი	94	67

მოცემული ექსპერიმენტში გამოვიყენეთ მყარფაზური ექსტრაქციის ორი განსხვავებული პირობა. მოვახდინეთ სამიზნე ნივთიერებების სისხლიდან და პლაზმიდან ექსტრაქცია და მიღებულ ნიმუშებში საკლევი ნივთიერების თვისობრივ-რაოდენობრივი განსაზღვრა, რისთვისაც ვიყენებდით სითხურ ქრომატოგრაფს-ტანდემური მასსპექტრომეტრით. მიღებული შედეგებით გამოვთვალეთ სხვადასხვა იზოლირების პირობებში ექსტრაქციის ხარისხი.

ცხრილში მოცემული შედეგების მიხედვით დავადგინეთ, რომ ბიოლოგიური სითხეებიდან (სისხლი, პლაზმა) ოლნზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ოპტიმალური იზოლირებისათვის შემუშავებულია მყარფაზური ექსტრაქციის პირობები. წარმოდგენილი მეთოდით შესაძლებელია ოთხი სამიზნე ნივთიერების ორი სხვადასხვა ბიოლოგიური მატრიციდან ერთდროული, მაქსიმალური იზოლირება.

#### **4.4 ბიოლოგიურ ობიექტებში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივი ანალიზის მასსპექტრომეტრული პარამეტრების შერჩევა**

მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმაოდგენდა ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ბიოლოგიური და არაბიოლოგიური წარმოშობის ობიექტებში ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის მეთოდების სრულყოფა და ახალი უფრო ეფექტური მეთოდების შემუშავება, შესაბამისად ოთხივე სამიზნე ნივთიერების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის ოპტიმალური პირობების შერჩევისათვის ჩავატარეთ შემდეგი ექსპერიმენტები:

- ბიოლოგიურ სითხეებში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის პროდუქტ იონების ექსპერიმენტი სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით განსაზღვრისას ოპტიმალური კოლიზიური ენერგიის დასადგენად.
- ბიოლოგიურ სითხეებში MRM ექსპერიმენტი სამიზნე ნივთიერებების სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით განსაზღვრისას ოპტიმალური პირობების დასადგენად.
- ადამიანის სისხლში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ინდივიდუალური ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის ოპტიმალური პირობების შესარჩევად.
- ადამიანის პლაზმაში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ინდივიდუალური ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის ოპტიმალური პირობების შესარჩევად.
- ადამიანის შარდიში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ინდივიდუალური ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის ოპტიმალური პირობების შესარჩევად.
- მიღებული შედეგების საფუძველზე შევიმუშავეთ ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ინდივიდუალური (აირად და ოხევად ფაზებში) მეთოდების ახალი, ოპტიმალური პირობები.

**4.5 ადამიანის შარდში და სხვადასხვა საგანმატარებლებში ოლანზაპინის,  
რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ერთდროული თვისობრივი  
ანალიზის გაზურ ქრომატოგრაფიული – მასსპექტრომეტრული (GC-MS)  
მეთოდის შემუშავება**

**ექსპერიმენტის მიზანი**

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისას საკვლევი ნივთიერებების იდენტიფიკაციისათვის ხშირად გამოიყენება გაზურ ქრომატოგრაფიული – მასსპექტრომეტრული მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სპეციფიურ, მაღალი მგრძნობელობის ექსპრეს მეთოდს. გაზური ქრომატოგრაფის საშუალებით ხდება ნარევის დაყოფა კომპონენტებად, ხოლო მასსპექტრომეტრით დაყოფილი კომპონენტების დეტაქტირება. აღნიშნული მეთოდით ტოქსიური ნივთიერებების იდენტიფიკაცია გამოირჩევა მაღალი სანდოობით, რადგან ქრომატომასსპექტრალური მეთოდების კომპინირებით შესაძლებელია საკვლევი ნივთიერებისთვის დამახასიათებელი სპეციფიური მასსპექტრების შედარება ბიბლიოთეკის მონაცემებთან. ასევე ანალიზის შედეგად მიღებულ ქრომატოგრამაზე ნივთიერების შეკავების დროის მიხედვით შესაძლებელია შესაბამისი დასკვნის გაკეთება [22].

მოცემული ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა შარდში და საგანმატარებელზე (არამარკირებული ტაბლეტები) ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივი ანალიზის გაზურ ქრომატოგრაფიული – მასსპექტრომეტრული მეთოდის ოპტიმალური პირობების შემუშავება.

**ობიექტი და მასალები**

ექსპერიმენტისთვის გამოყენებული იყო სედარექსის, ოლზაპის, აზალეპტინის, ქვეტიაპინი ფუმარატის ტაბლეტები.

**ექსპერიმენტი**

მედიკამეტების ტაბლეტები მოვსრისეთ როდინში ჰომოგენური მასის მიღებამდე. მიღებული ფხვნილის საშუალებით მოვამზადეთ სედარექსის, ოლზაპის, აზალეპტინის, ქვეტიაპინის 1.0 მგ/მლ კონცენტრაციის ძირითადი ხსნარები მეთანოლში, აქტიურ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით.

ძირითადი ხსნარიდან მოვამზადეთ ორი ტიპის საანალიზო ნიმუში:

- შარდში სამიზნე ნივთიერებების ანალიზისათვის – ძირითადი ხსნარების შარდში განზავებით მოვამზადეთ საანალიზო ნიმუშები კონცენტრაციით 100 ნგ/მლ.
- საგანმატარებლების (არამარკირებული ტაბლეტები) ანალიზისათვის – ძირითადი ხსნარი განვაზავეთ მეთანოლით, რომ მიგვეღო საანალიზო ხსნარი, რომელიც შეიცავდა ოთხივე საკვლევ ნივთიერებას კონცენტრაციით 10 ნგ/მლ.

ნიმუშების მომზადებისას ოპტიმალური გადანაწილებისათვის ვიყენებდით ულტრაბგერით აბაზანას 5 წუთის განმავლობაში.

შარდის საანალიზო ნიმუშებიდან იზოლირებას ვახდენდით სითხე-სითხე ექსტრაქციის მეთოდით შემდეგი თანმიმდევრობით: 5 მლ საანალიზო ნიმუშს დავამატეთ ამონიუმის ჰიდროჟსიდის 9% ხსნარი (არის pH 9.0-ის მისაღებად), შემდეგ დავამატეთ 3 მლ გამსხველთა ნარევი ეთილაცეტატი – ჰეპტანი – დიქლორმეთანი – იზოპროპანოლი, 60 : 20 : 5 თანაფარდობით და შეურიეთ 5-5 წთ-ის განმავლობაში Stuart SB3-ის როტორულ შემრეცხე. შერევის პროცედურის შემდეგ მოვახდინეთ ცენტრიფუგირება 5 წუთის განმავლობაში (3500 ბრ/წთ) და გამოვაცალკევეთ ორგანული გამხსნელის ფენა.

მეთანოლით მომზადებული საანალიზო ნიმუში და შარდიდან მიღებული გამონაწილი მოვათავსეთ კონცენტრატორში და ავაქროლეთ 50°C ტემპერატურაზე აზოტის ნაკადის გამოყენებით. მიღებული მშრალი მასა გავხსნით 100 მკლ ეთილაცეტატით, კარგად შევურიეთ 30 წამის განმავლობაში და მოვახდინეთ ქრომატოგრაფში ინექცირება 1 მკლ-ის ოდენობით.

### აპარატურული გაფორმება


ანალიზი ჩატარდა გაზურ ქრომატოგრაფზე Agilent 7000A Quadrupole GC-MS, რომელიც აღჭურვილი იყო გერსტელის ავტომატური სემპლერით. იონიზაცია მიმდინარეობდა დადებითი ელექტრონული იმპულსის რეჟიმით (EI<sup>+</sup>), სკანირება სრული იონური ნაკადით (TIC).

### მეთოდი


ჩვენს მიერ შერჩეული იყო გაზური ქრომატოგრაფის მუშაობის ოპტიმალური პირობები:

- ინჟექტორის ტემპერატურა:  $250^{\circ}\text{C}$
- დუმელის ტემპერატურა:  $60^{\circ}\text{C}$
- ტემპერატურული გრადიენტი:  $60^{\circ}\text{C}$  1 წთ;  $60^{\circ}\text{C} \rightarrow 250^{\circ}\text{C}$   $15^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ ;  $250^{\circ}\text{C} \rightarrow 300^{\circ}\text{C}$   $10^{\circ}\text{C}/\text{წთ}$
- სვეტი MS-5, 30 ზ X 250 მკმ
- ტრანსფერლაინის ტემპერატურა:  $300^{\circ}\text{C}$
- ინჟექტორის მოცულობა: 1 მკლ
- იონიზაცია: 70 ევ
- აირმატარებელი ჰელიუმი
- აირის დინების სიჩქარე 1 მლ/წთ.
- დეტექტორის: TIC – m/z 45 – 750 Da


მიღებული GC-MS ქრომატოგრამები და მას სპექტრი მოცემულია №21-25 სურათზე.




სურათი 21: საკვლევ ნიმუშში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის GC-MS ქრომატოგრამა




სურათი 22: საგანმატარებელოში ოლანზაპინის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის GC-MS ქრომატოგრამა



სურათი 23: საგანმატარებელიში ქვეტიაპინის და რისპერიდონის GC-MS ქრომატოგრამა



სურათი 24: ოლანზაპინის მასსპექტრები მონაცემთა ბაზასა (NIST) და საკვლევ ტბი



სურათი 25: კლოზაპინის მასსპექტრები მონაცემთა ბაზასა (NIST) და საკვლევ ტბი

ანალიზის შედეგად მიღებულ ქრომატოგრამებზე წარმოდგენილია საკვლევი ნივთიერებების პიკები შემდეგი შეკავების დროით: ოლანზაპინი – 15 წთ, კლოზაპინი 16 წთ, ქვეტიაპინი 20 წთ, რისპერიდონი 22 წთ, ხოლო მასსპექტრების მიხედვით მოვახდინეთ სამიზნე ნივთიერებების იდენტიფიცირება, როგორც შარდის ნიმუშში, ასევე საგანმატარებლებში (ტაბლეტები).

ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე მოწოდებულია ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის, როგორც თვისობრივი ასევე დამადასტურებელი გაზურ ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული მეთოდი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს, როგორც ბიოლოგიური

სითხეების, ასვე ნივთმტკიცებულებების სახით ამოღებული არამარკირებული ტაბლეტების მიზანმიმართული ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის.

შემუშავებული მეთოდი წარმოადგენს სიახლეს, რადგანაც პირველად ჩვენს მიერ ჩატარდა ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ერთდროული გაზურ ქრომატოგრაფიული მასსპექტრომეტრული ანალიზი.

#### 4.6 გარდაცვლილი ადამიანის შარდში კლოზაპინის თვისობრივი ანალიზი გაზურ ქრომატოგრაფიული – მასსპექტრომეტრული (GC-MS) მეთოდით

##### ექსპერიმენტის მიზანი

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა გარდაცვლილი ადამიანის შარდში კლოზაპინის იდენტიფიკაციისათვის, ჩვენს მიერ ექსპერიმენტით შემუშავებული გაზურ ქრომატოგრაფიული – მასსპექტრომეტრული (GC-MS) მეთოდის პრაქტიკული აპრობაცია.

##### ნედლეული და მასალები


კვლევის ობიექტს წარმოადგენდა გარდაცვლილი ადამიანის შარდი.

საანალიზო ობიექტი წარმოდგენილი იყო სსიპ ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში. მოთხოვნილი იყო ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი.


##### ექსპერიმენტი

საანალიზოდ აღებული იყო შარდი 5 მლ-ს ოდენობით. იზოლირების და ანალიზის პროცედურა ჩატარდა ქვეთავი 4.5-ში მოცემული სქემის მიხედვით.


ანალიზის შედეგად მიღებული GC-MS ქრომატოგრამა და მასსპექტრი მოცემულია № 26-28 სურათზე.



სურათი 26: შარდის ნიმუშში კლოზაპინის GC-MS ქრომატოგრამა



სურათი 27: შარდის ნიმუში კლოზაპინის მას სპექტრი



სურათი 28: კლოზაპინის მასსპექტრები მონაცემთა ბაზასა (NIST) და შარდის ნიმუშებში

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი ჩვენს მიერ შემუშავებული გაზურ ქრომატოგრაფიული-მასსპექტრომეტრული მეთოდით.

ანალიზის შედეგად მიღებული მასსპექტრი შევადარეთ ბიბლიოთეკის მინაცემებს. NIST-ის ბაზასთან შედარების საფუძველზე მოვახდინეთ კლოზაპინის იდენტიფიკაცია გარდაცვლილი ადამიანის შარდში.

ქრომატოგრამაზე მოცემულია კლოზაპინის პიკი შეგავების დროით 16.5 წთ. შესაბამისად, წარმოდგენილი შედეგებით დავადასტურეთ ჩვენს მიერ შემუშავებული ანალიზის მეთოდის პრაქტიკული გამოყენების უფექტურობა, როგორც სკრინინგ, ასევე დამადასტურებელი ანალიზისთვის.

**4.7 ადამიანის სისხლში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და  
კლოზაპინის თვისობრივ - რაოდენობრივი ანალიზის სითხურ  
ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის  
შემუშავება**

**ექსპერიმენტის მიზანი**

მოცემული ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზის ოპტიმალური პირობების შემუშავება.

**ობიქეტი და მასალები**

გამოყენებული იყო ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სტანდარტები. ბიოლოგიურ ობიექტს წარმოადგენდა ადამიანის სისხლი.

**აპარატურული გაფორმება**

კვლევის დროს ვიყენებდით სითხურ ქრომატოგრაფს – ტანდემური მასსპექტრომეტრით (LC-MS-MS) - AGILENT TECHNOLOGIES 1290 Infinity AGILENT TECHNOLOGIES 6460Triple quad LC/MS, სვეტი - Zorbax Eclipse, სტაციონარული ფაზა - C18 (100×2.1mm, 1.8µm). ხელსაწყო აგრეთვე აღჭურვილი იყო წინასვეტით - UHPLC GUARD Zorbax Eclipse, სტაციონარული ფაზა - C18 (5×2.1mm, 1.8µm). საანალიზოდ შერჩეული იყო სისტემა: 0.1% ჭიანჭველმჟავას წყალსნარი (B ხსნარი) : 0.1% ჭიანჭველმჟავას ხსნარი აცეტონიტრილში - 60 : 40 (A ხსნარი), რეჟიმი გრადიენტული (იხილეთ ცხრილი №12), მოძრავი ფაზის დინების სიჩქარე 0.45 მლ/წთ, სვეტის ტემპერატურა 40°C. იონიზაცია მიიღწეოდა დადგებითი ელექტროგაფრქვევით ( $ESI^+$ ). ქრომატოგრაფირების დრო 10 წთ. სკანირება მიმდინარეობდა მრავალჯერადი რეაქციის მონიტორინგით (MRM).

ცხრილი 12: მოძრავი ფაზის გრადიენტული მიწოდების პირობები

№	დრო	B%	მოძრავი ფაზის დინების სიჩქარე
1	0.00	90.0	0.45
2	2.00	70.0	0.45
3	4.00	60.0	0.45
4	6.00	50.00	0.45
5	10.0	90.00	0.45

## ექსპერიმენტი

საკვლევი ნივთიერებების ძირითად ხსნარს ვამზადებდით მეთანოლში კონცენტრაციით 1.0 მგ/მლ. შუალედური ხსნარის მოსამზადებლად ძირითადი ხსნარი განვაზავეთ მეთანოლით 500 ნგ/მლ კონცენტრაციის მისაღებად. საკვლევი ნივთიერებების საკალიბრო ხსნარების მოსამზადებლად მოხდა შუალედური ხსნარის სისხლით განზავება შემდეგი კონცენტრაციების მისაღებად: 10.0, 15.0, 20.0, 30.0, 50.0 და 100 ნგ/მლ. საანალიზო ნიმუშები მომზადდა კონცენტრაციით 10.0, 25.0 და 50.0 ნგ/მლ. ყველა ნიმუში ინახებოდა 4°C ტემპერატურაზე შემდგომი ანალიზებისათვის.

იზოლირების პროცედურა მყარფაზური ექსტრაქციის გამოყენებით სისხლის ნიმუშებიდან ოლანზაპინის იზოლირებისათვის გამოყენებულ იყო გილსონის GX-271 ASPEC სისტემა კარტრიჯით Supelclean LC-18 SPE 500მგ. ექსტრაქციის პროცედურა

### ➤ ნიმუშის წინასწარი დამუშავება

1მლ ნიმუშს დაუმატეთ 4მლ დეიონიზირებული წყალი და 2მლ 100მგ ფოსფატის ბუფერი (pH 6.0).

შევურიეთ/შევანჯლიეთ სტიუარტის როტატორზე და ულტრაბგერით აბაზანაზე ჰომოგენური სტრუქტურის მისაღებად.

მოვახდინე ცენტრიფუგირება 10 წუთის განმავლობაში, 500 ბრ/წთ და მოვაშორეთ ნალექი. მიღებული ნიმუშების pH უნდა იყოს  $6.0 \pm 0.5$ . დაგარეგულირეთ pH შესაბამისად 100 მმოლი ერთფუძიანი ნატრიუმის ფოსფატით.

### ➤ სორბენტის (კარტრიჯის) კონდეცირება

გამოვრეცხეთ 1 x 3 მლ მეთანოლით და გამოვაშრეთ ასპირაციის გზით.

გამოვრეცხეთ 1 x 3 მლ დეიონიზირებული წყლით და გამოვაშრეთ ასპირაციის გზით.

გამოვრეცხეთ 1 x 1 მლ 100 მმოლი ფოსფატური ბუფერით (pH 6.0) და გამოავშრეთ ასპირაციის გზით. ასპირაცია უნდა მოხდეს არაუმეტეს 76.2 მმვწყ. სვ. საანალიზო ნიმუშის მოთავსება მოვახდინეთ ნაკადით 1მლ/წთ.

### ➤ სორბენტის ჩარეცხვა

სორბენტის ჩამორცხვა მოვახდინეთ რამდენიმე ეტაპად: I. 3 მლ დეიონიზირებული წყლით, II. 1 მლ 100მმოლი მმარმჟავით, III. 3 მლ

მეთანოლით. ყველა ეტაპის შემდეგ ვაშრობდით ასპირაციის გზით 5 წუთის განმავლობაში არაუმეტეს 254 მმვწყ. სვ.

➤ ელუირება

ელუირებას ვახდენდით 3მლ ნარევით რომელიც შეიცავდა მეთილენქლორიდს ( $\text{CH}_2\text{Cl}_2$ )/იზოპროპილის სპირტს (IPA)/ამონიუმის ჰიდროქსიდს ( $\text{NH}_4\text{OH}$ ), 78:20:2 თანაფარდობით.

შეგროვებული ელუატისთვის გამხსნელად გამოვიყენეთ ახალად მომზადებული ნარევი. 40მლ იზოპროპანოლს დავუმატეთ 4მლ კონცენტრირებული ამონიუმის ჰიდროქსიდი, შეურიეთ და დავუმატეთ 156მლ მეთილენქლორიდი და განმეორებით შევურიეთ.

➤ პროცედურის დასრულების შემდეგ მიღებული ნარევი მოვათავს კონცენტრატორში და ავაორთქლეთ არაუმეტეს  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე გამომშრალ მდგომარეობამდე.


➤ საანალიზო ნიმუშის მომზადება – მიღებული მშრალი მასა გავხსენით 200მკლ ნარევით, რომელიც შეიცავდა აცეტონტრილის და დეიონიზირებულ წყალს 1:3 თანაფარდობით. კარგად შევურიეთ/ შევანჯლიეთ 30 წამის განმავლობაში და მოვახდინეთ ქრომატოგრაფში ინექცირება 5მკლ-ის ოდენობით.

ანალიზის შედეგად მიღებული ქრომატოგრამები იხილეთ №29-38 სურათზე.


ქრომატოგრამების მიხედვით საანალიზო ნივთიერებების თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის ოპტიმალური MRM ტრანზაქცია არის:

- ოლანზაპინი  $m/z 313 \rightarrow 198, m/z 313 \rightarrow 213, m/z 313 \rightarrow 256;$
- რისპერიდონი  $m/z 411 \rightarrow 110, m/z 411 \rightarrow 163, m/z 411 \rightarrow 191;$
- ქვეტიაპინი  $m/z 384 \rightarrow 208, m/z 384 \rightarrow 221; m/z 384 \rightarrow 236, m/z 384 \rightarrow 253, m/z 384 \rightarrow 279;$
- კლოზაპინი  $m/z 327 \rightarrow 192, m/z 327 \rightarrow 227, m/z 327 \rightarrow 243, m/z 327 \rightarrow 256, m/z 327 \rightarrow 270.$


მოვახდინეთ შემუშავებული მეთოდების გალიდაცია, იხილეთ ქვეთავი 4.12.




სურათი 29: ოლანზაპინის, რისკერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის MRM ქრომატოგრამა




სურათი 30: ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის  
MRM ქრომატოგრამები




სურათი 31: ოლანზაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 32: რისკერიდონის MRM ქრომატოგრამები




სურათი 33: ქვეტიაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 34: კლოზაპინის MRM ქრომატოგრამა




სურათი 35: ოლანზაპინის MS/MS მასსპექტრი



სურათი 36: კლოზაპინის MS/MS მასსპექტრი



სურათი 37: ქვემოთ მდგრადი მას-მას მას-სპექტრი



სურათი 38: რისკერიდონის MS/MS მას-სპექტრი

**4.8 ადამიანის პლაზმაში და შარდში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის  
და კლოზაპინის ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური  
მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით**

**ექსპერიმენტის მიზანი**

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა ადამიანის პლაზმაში და შარდში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ანალიზი ექსპერიმენტით შემუშავებული სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით.

**ობიექტი, მასალები და მეთოდები**

ბიოლოგიურ ობიექტებს წარმოადგენდა ადამიანის პლაზმა და შარდი. მყარფაზური ექსტრაქციისათვის გამოიყენებოდა სორბენტი Supelclean LC-18 SPE. პლევის დროს ანალიზისათვის ვიყენებდით სითხურ ქრომატოგრაფს – ტანდემური მასსპექტრომეტრით.

ექსპერიმენტისთვის *in vitro* მოდელური ნიმუშების მოსამზადებლად გამოყენებული იყო სედარექსის, ოლზაპის, აზალეპტინის, ქვეტიაპინი ფუმარატის ტაბლეტები.


**ექსპერიმენტი**

მედიკამნეტების ტაბლეტები მოვსრისეთ როდინში პომოგენური მასის მიღებამდე. მიღებული ფხვნილის საშუალებით მოვამზადეთ სედარექსის, ოლზაპის, აზალეპტინის, ქვეტიაპინის 1.0 მგ/მლ კონცენტრაციის ძირითადი ხსნარები მეთანოლში, აქტიურ ნივთიერებებზე გადაანგარიშებით.


ძირითადი ხსნარების პლაზმაში და შარდში განზავებით მოვამზადეთ საანალიზო ნიმუშები კონცენტრაციით 10 ნგ/მლ.

იზოლირების და ანალიზის პირობები იხილეთ ქვეთავში 4.7.


ანალიზის შედეგად მიღებული ქრომატოგრამები მოცემულია №39-47 სურათზე.




სურათი 39: პლაზმი თლანზაპინის, რისკერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის MRM ქრომატოგრაფიული გრაფიკი




სურათი 40: პლაზმი თლანზაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 41: პლაზმაში რისკერიდონის MRM ქრომატოგრამები




სურათი 42: პლაზმაში კლოზაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 43: პლაზმაში ქვეტიაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 44: პლაზმაში რისპერიდონის MRM ქრომატოგრამები



სურათი 45: შარდში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და ქლოზაპინის MRM ქრომატოგრა



სურათი 46: შარდში ქლოზაპინის MRM ქრომატოგრამები



სურათი 47: შარდში ოლანზაპინის, რისკერიდონის და ქვეტიაპინის MRM ქრომატოგრამები

ქრომატოგრამაზე წარმოდგენილია სამიზნე ნივთიერებები პიკები, რომელთა შეკავების დრო ემთხვევა ჩვენს მიერ შემუშავებული, ვალიდირებული მეთოდით ანალიზისას მიღებული ქრომატოგრამებზე შესაბამისი ნივთიერების შეკავების დროს.

შესაბამისად, წარმოდგენილი შედეგებით დავადასტურეთ, რომ ჩვენს მიერ ექსპერიმენტის შედეგად შემუშავებული ოლანზაპინის, რისკერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ანალიზის სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იყოს პლაზმაში და შარდში მოცემული სამიზნე ნივთიერებების განსაზღვრისათვის.

#### **4.9 გარდაცვლილი ადამიანის სისხლში ოლანზაპინის და კლოზაპინის ერთდროული თვისობრივი ანალიზი სითხური ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით**

##### **ექსპერიმენტის მიზანი**

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა გარდაცვლილი ადამიანის სისხლში ოლანზაპინის და კლოზაპინის ერთდროული ანალიზი ჩვენს მიერ ექსპერიმენტით შემუშავებული სითხურ ქრომატოგრაფიული – ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდით.

##### **ობიექტი და მეთოდები**

პვლევის ობიექტს წარმოადგენდა გარდაცვლილი ადამიანის სისხლი, რომელიც ანალიზისთვის მიღებული იყო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროში. უნდა ჩატარებულიყო მიზანმიმართული ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზი, რადგან შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იყო კლოზაპინის და ოლანზაპინის ცარიელი ბლისტერები. ექსპერტისას უნდა დაედგინა შეიცავდა თუ არა სისხლის ნიმუში სამიზნე ნივთიერებებს.


საკვლევი ნივთიერებების იზოლირება მოხდა მყარფაზური ექსტრაქციის გამოყენებით (სორბენტი Supelclean LC-18 SPE), ხოლო ანალიზი სითხური ქრომატოგრაფია – ტანდემური მასსპექტრომეტრით (LC-MS/MS).

##### **ექსპერიმენტი**


საანალიზოდ აღებული იყო სისხლი 3 მლ ოდენობით.

იზოლირების და ანალიზის პირობები იხილეთ ქვეთავში 4.7.


ანალიზის შედეგად მიღებული ქრომატოგრამები და მასსპექტრები მოცემულია №48-50 სურათზე.



სურათი 48: სისხლში ოლანთაპინის და კლოზაპინის MRM ქრომატოგრამები



სურათი 49: სისხლში ოლანთაპინის MS/MS გასსპექტრი



სურათი 50: სისხლში კლოზაპინის MS/MS მასსპექტრი

ქრომატოგრამაზე წარმოდგენილია ოლანზაპინის და კლოზაპინის პიკები, შეკავების დროით 7.5 წთ და 9.2 წთ, რომლებიც მივიღეთ შემდეგი MRM ტრანზაქციის პირობებში ოლანზაპინი  $m/z$  313 → 198,  $m/z$  313 → 213,  $m/z$  313 → 256; კლოზაპინი  $m/z$  327 → 192,  $m/z$  327 → 227,  $m/z$  327 → 270; მასსპექტრების საშუალებით მოვახდინეთ გარდაცვლილი ადამიანის სისხლში სამიზნე ნივთიერებების იდენტიფიკაცია, ხოლო ქრომატოგრამაზე მოცემულ პიკებზე შეკავების დრო ემთხვევა ჩვენს მიერ შემუშავებული, გალიდირებული მეთოდის ანალიზისას მიღებული ქრომატოგრამებზე შესაბამისი ნივთიერების შეკავების დროს. წარმოდგენილი შედეგებით დავადასტურეთ, რომ ჩვენს მიერ ექსპერიმენტის შედეგად შემუშავებული ანალიზის სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იყოს მიზანმიმართული ანალიზისთვის საკვლევი ნივთიერებების, როგორც ინდივიდუალური ასევე მათი ერთდროული განსაზღვრისთვის და ჩართული იყოს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის სქემაში.

#### **4.10 ფარმაცევტული წარმოების პროცესში გამოყენებულ დანადგარებზე აქტიური ნივთიერების ნარჩენი კონტამინაციის განსაზღვრა სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდით**

##### **ექსპერიმენტის მიზანი**

კარგი საწარმოო პრაქტიკის მოთხოვნების მიხედვით, პროდუქტის წარმოების შემდეგ დანადგარები უნდა შემოწმდეს აქტიური ნივთიერების ნარჩენ რაოდენობაზე, რათა არ მოხდეს კონტამინაცია შემდეგი პროდუქტის დამზადებისას. ნებისმიერი ნარჩენი სამედიცინო თვალსაზრისით უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა ახდენდეს გავლენას პროდუქტის ხარისხზე. წარმოების შემდგომი დასუფთავება ჩაითვლება არასრულფასოვნად, იმ შემთხვეაში თუ დანადგარიდან აღებული სინჯი შეიცავს დასაშვებ ზღვარზე მეტი რაოდენობით ნარჩენებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებობდეს მაღალი მგრძნობელობის სპეციფიური მეთოდი, რომლის საშუალებითაც მოხდება დანადგარზე არსებული მცირე რაოდენობით სამიზნე აქტიური ნივთიერების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზი [149, 218].

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა დასუფთავების შემდეგ აღებულ სინჯში აქტიური ნივთიერების ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ ვალიდირებული სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდის პრაქტიკული აპრობაცია.

##### **ობიექტი და მასალები**

ექსპერიმენტისთვის გამოყენებული იყო სედარექსის ტაბლეტები და საწარმო პროცესის დასრულების შემდეგ დასუფთავებული დანადგარიდან აღებული სინჯი. მომწოდებელი ფრმაცევტული საწარმო „GM Pharmaceuticals”, საქართველო.

##### **აპარატურული გაფორმება**

გამოყენებული აპარატურა, ქრომატოგრაფიული და დეტექტირების პირობები იხილეთ ქვემოთავმა 4.7.

##### **ექსპერიმენტი**

###### **სტანდარტული სსნარის მომზადება**

გავხსენით სედარექსი 1მგ №10 ტაბლეტის ბლისტერი და ამოვილეთ ტაბლეტები, რომელიც მოვსრისეთ როდინში ჰომოგენური მასის მიღებამდე. ფხვნილის საშუალებით მოვამზადეთ 1.0 მგ/მლ კონცენტრაციის ძირითადი სსნარი

მეთანოლში, სუფთა რისპერიდონზე გადაანგარიშებით. ძირითადი ხსნარი განვაზავეთ მეთანოლით, რომ მიგვედო აპარატურაზე ნარჩენი რისპერიდონის დასაშვები ზღვარის შესაბამისი კონცენტრაციის საკონტროლო ხსნარი.

დანადგარის ზედაპირებზე საკვლევი ნივთიერების დასაშვები ზღვრების დადგენისათვის გამოიყენება მაქსიმალური დასაშვები გადატანა (MACO) და ნარჩენების დასაშვები კონცენტრაცია - CRS (მგ/ლ).

მაქსიმალური დასაშვები გადატანა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$MACO = \frac{TDD_p \times MBS}{SF \times TDD_{nx}}$$

სადაც:

TDD<sub>p</sub> – საკვლევი ნივთიერების სადღედამისო თერაპიული დოზა

MBS – სერიის მინიმალური მოცულობა პროდუქტისა, რომელიც უნდა დამზადდეს საწარმოში დასუფთავების შემდეგ.

SF – უსაფრთხოების ფაქტორი (= 1000 ორალური წამლის ფორმებისთვის)

TDD<sub>nx</sub> – სადღედამისო თერაპიული დოზა პროდუქტისა, რომელიც უნდა დამზადდეს საწარმოში დასუფთავების შემდეგ

ნარჩენების დასაშვები კონცენტრაცია (მგ/ლ) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$C_{rs} = \frac{\left(\frac{MACO}{Es}\right) \times E_a \times R}{V}$$

სადაც:

MACO - მაქსიმალური დასაშვები გადატანა (მგ)

Es - დასუფთავებული აპარატის საერთო ფართობი

Ea - დანადგარის ფართობი, საიდანაც აიღება სინჯი

R - ექსტრაქციის ხარისხი

V - ექსტრაგირებისას გამოყენებული გამხსნელის მოცულობა

წარმოდგენილი ფორმულების საშუალებით დავადგინეთ რისპერიდონის ნარჩენი დასაშვები კონცენტრაცია, რომელიც მოცემული ექსპერიმენტის შემთხვევაში არის  $C_{rs} \leq 0.003 \text{ მგ/მლ}$


### საკონტროლო ნიმუშის მომზადება

დანადგარის მასალისგან დამზადებულ დასუფთავებულ, მშრალ ფირფიტაზე დავიტანეთ ცნობილი კონცენტრაციის საკონტროლო ხსნარი სამიზნე ნივთიერების შემცველობით. დაველოდეთ გაშრობას და ავიღეთ სინჯი ნინასწარ თარგით მონიშნული ადგილიდან ეთანოლით გაუდენტილი ტამპონით. სინჯის აღება მოვახდინეთ საწარმოს მიერ მოწოდებული წინასწარ დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ტამპონი მოვათავსეთ 5 მლ მოცულობის ვიალაში და შევავსეთ ეთანოლით. დავაყოვნეთ 1 საათი და ექსტრაგირებისათვის ტამპონიანი ვიალა მოვათავსეთ ულტრაბგერით აბაზანაში 5 წუთის განმავლობაში.


### საკვლევი ნიმუშის მომზადება

საანალიზო ობიექტი, რომელსაც წარმოადგენდა დასუფთავებული დანადგარიდან ტამპონით აღებული სინჯი, მოთავსებული იყო 5 მლ მოცულობის ვიალაში, რომელიც შევსებული იყო მეთანოლით. საანალიზო ნივთიერების სრული ექსტრაგირებისათვის ტამპონიანი ვიალა მოვათავსეთ ულტრაბგერით აბაზანაში 5 წუთის განმავლობაში.


საკვლევი და საკონტროლო ნიმუშებიდან მიღებული გამონაწელილი მოვათავსეთ კონცენტრატორში და ავაორთქლეთ არაუმეტეს  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე გამომშრალ მდგომარეობამდე. მიღებული მშრალი ნაშთი გავხსენით 200 მკლ მოძრავ ფაზაში. მიღებული ხსნარები გავფილტრეთ, გადავიტანეთ ქრომატოგრაფირების მინის ვიალაში და მოვახდინეთ 5 მკლ ნიმუშის ინჟექტირება ხელსაწყოში. საკვლევი და საკონტროლო ნიმუშების ანალიზის შედეგები მოცემულია ქრომატოგრამების და მასსპექტრების სახით (სურათი 51-53).



სურათი 51: საკვლევი ნიმუშის MRM ქრომატოგრამა



სურათი 52: საკონტროლო ნიმუშის MRM ქრომატოგრამა



სურათი 53: საკონტროლო ნიმუშში რისპერიდონის MS/MS მასსპექტრი

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად საკონტროლო ხსნარის ქრომატოგრამაზე მივიღეთ რისპერიდონის სიმეტრიული პიკი, შეკავების დროით 8.95 წთ, ხოლო საკვლევი ხსნარის ქრომატოგრამაზე იმავე დროს აღნიშნული სიგნალი არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს საანალიზო ნიმუშში რისპერიდონის ნარჩენის არარსებობაზე.

ექსპერიმენტით მიღებული შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული ანალიზის სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იყოს, საწარმოო დანადგარებზე რისპერიდონის ნარჩენი კონტამინაციის განსაზღვრისათვის, რაც წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას კარგი საწარმოო პრაქტიკის რეკომენდაციების მიხედვით.

#### **4.11 საგანმატარებლებში ოლანზაპინის, რისპერდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ანალიზი სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდით**

##### **ექსპერიმენტის მიზანი**

სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის დროს საკვლევ მასალას შესაძლოა წარმოადგენდეს, როგორც ბიოლოგიური ობიექტები, ასევე სხვადასხვა საგანმატარებლები (მედიკამენტის ბლისტერი, ფლაკონი, კუჭის შიგთავსიდან ამოღებული დაუშლებული ტაბლეტები, ანაწმენდი). ნივთმტკიცებები შესაძლოა ნაპოვნი იყოს გარდაცვლილი ადამიანის პირად ნივთებში ან დანაშაულის ადგილას. ასეთ შემთხვევაში ხშირად საგანმატარებელი არ არის მარკირებული. აღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტიზის სრულფასოვანი ჩატარებისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს მეთოდი, რომლის საშუალებითაც ერთი და იგივე პირობებში მოხდება, როგორც ბიოლოგიური ობიექტების შესწავლა ასევე თანმხლები საგანმატარებლების ანალიზი [2, 20, 54].

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა საგანმატარებელზე ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ანალიზი ჩვენს მიერ ექსპერიმენტით შემუშავებული სითხურ ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდით.

##### **აპარატურული გაფორმება**

გამოყენებული აპარატურა, ქრომატოგრაფირების და დეტექტირების პირობები იხილეთ ქვეეთავაზი 4.7.

##### **ექსპერიმენტი**


საკვლევი ნიმუშის მომზადება.

ტაბლეტებისგან გავანთავისუფლეთ სედარექსის, ოლზაპის, აზალპეტინის ბლისტერები და ქვეტიაპინის ფუმარატის ფლაკონი. მოვახდინეთ შესაფუთი მასალის შიდა ზედაპირებიდან ბამბის ეთანოლიანი ტამპონით სინჯის აღება. ტამპონი მოვათავსეთ 10 მლ მოცულობის ვიალაში და ექსტრაქცია მოვახდინეთ მეთანოლით. ექსტრაქციას ვაწარმოებდით ულტრაბგერით აბაზანაში 5 წუთის განმავლობაში.


ვიალიდან სითხე გადავიტენეთ კონცენტრატორში და ავაორთქლეთ არაუმეტეს  $40^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე მშრალ მდგომარეობამდე. მიღებული მშრალი ნაშთი

გავხსენით 200 მკლ მოძრავ ფაზაში. მიღებული ხსნარები გავფილტრეთ, გადავიტანეთ ქრომატოგრაფირების მინის ვიალაში და მოვახდინეთ 5 მკლ ნიმუშის ინჟექტირება ხელსაწყოში.


სურათზე №54-61 მოცემულია ანალიზის შედეგად მიღებული ქრომატოგრამები და მასსპექტრები.




სურათი 54: საგანმატარებელებში ოლანზაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 55: საგანმატარებელებში რისპერიდონის MRM ქრომატოგრამები




სურათი 56: საგანმატარებელებში ქვეტიაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 57: საგანმატარებელებში კლოზაპინის MRM ქრომატოგრამები




სურათი 58: საგანმატარებელებში ოლანზაპინის MS/MS მასსპექტრი



სურათი 59: საგანმატარებელებში რისკერიდონის MS/MS მასსპექტრი



სურათი 60: საგანმატარებელებში ქვეტიაპინის MS/MS მასსპექტრი



სურათი 61: საგანმატარებელებში კლოზაპინის MS/MS მასსპექტრი

ბლისტერის და ფლაკონის ანაწმენდის ანალიზის შედეგად მიღებულ მასსპექტრებზე წარმოდგენილია სამიზნე ნივთიერებების მოლეკულური იონების ფრაგმენტაცია, რითაც დადასტურდა მათი იდენტიფიკაცია საკვლევ ობიექტში. ქრომატოგრამებზე მოცემული სიმეტრიული პიკები იძლევა საკვლევი ნივთიერებების როდენობრივი ანალიზის საშუალებას.

ექსპერიმენტით მიღებული შედეგების საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებული ანალიზის სითხე ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული მეთოდი შესაძლებელია გამოყენებული იყოს, ოლანზაპინის, რისპერდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის. მოცემულ პირობებში შესაძლებელია ჩატარდეს საგანმატარებლებში საკვლევი ნივთიერებების თვისობრივი-რაოდენობრივი განსაზღვრა. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანი ნაწილია კრიმინალისტიკისათვის და საგამოძიებო პროცედურების სრულფასოვანი წარმართვისათვის.

**4.12 ადამიანის სისხლში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და  
კლოზაპინის თვისობრივი - რაოდენობრივი განსაზღვრის სითხურ  
ქრომატოგრაფიული - ტანდემური მასსპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის  
გალიდაცია**

მეთოდი, რომელიც გამოყენებული იქნება სასამართლო ქიმიური ექსპერტიზისთვის უნდა იყოს ვალიდირებული, რათა დამტკიცდეს მისი მაღალი სანდოობა და მიღებული შედეგების რელევანტურობა. მეთოდის ვალიდაცია უზრულევლყოფს მაღალ სარწმუნოობას და წარმოადგენს მეთოდის ეფექტურობის დოკუმენტაციურ მტკიცებულებას [189].

არსებობს სხვადასხვა მარეგულირებლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც განსაზღვრავს ვალიდაციის პარამეტრებს და მისი ჩატარების წესებს, მათ შორის არის:

- აშშ-ს კვების პროდუქტების და მედიკამენტების ადმინისტრაციის (FDA) რეკომენდაცია „ბიოანალიზური მეთოდის ვალიდაცია“
- აშშ-ს ფარმაკოპეა
- ევროპის მედიკამენტების სააგენტოს (EMEA) და პარმონიზაციის საერთაშორისო კონფერენციის (ICH) მეთოდოლოგია ვალიდაციის ჩატარების პროცედურის შესახებ.
- სასამართლო ექსპერტიზის ტოქსიკოლოგთა ასოციაციის (SOFT) და ამერიკის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო აკადემიის (AAFS) მიერ შემუშავებული გაიდლაინი (SOFT/AAFS 2006) სასამრთლო ქიმიური ექსპერტიზის ლაბორატორიებისთვის. ვალიდაციის პარამეტრების შერჩევისას გასათვალისწინებელია იმ ანალიზის მეთოდის დანიშნულება, რომლის ვალიდაციაც არის დაგეგმილი, მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ანალიზის მეთოდი განკუთვნილია თვისობრივი თუ რაოდენობრივი ანალიზისათვის, მედიკამენტების კონტროლის თუ სასამართლო ქიმიური ექსპერტიზისათვის [134, 187, 205].

მოცემული რეკომენდაციების საფუძვლზე განხორციელდა ადამიანის სისხლში ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრის სითხური ქრომატოგრაფიული – მას სპექტრომეტრული (LC-MS/MS) მეთოდის ვალიდაცია.

ანალიზის მეთოდის ვალიდაცია ჩავატარეთ შემდეგ ძირითად პარამეტრებზე:

1. სწორხაზოვნება (Linearity)
2. სელექციურობა (Selectivity)
3. სისწორე (Accuracy)
4. სიზუსტე (Precision)
5. ადმოსაჩენი მინიმუმი (LOQ)
6. განსასაზღვრავი მინიმუმი (LOD)
7. ექსტრაქციის ხარისხი (Recovery)
8. მატრიცის ეფექტი (Matrix Effect)
9. სტაბილურობა (Stability)

### **სწორხაზოვნება**


სწორხაზოვნება გულისხმობს რაოდენობრივი ანალიზის შედეგების და კონცენტრაციის სწორხაზოვან დამოკიდებულებას. მიღებული შედეგების სწორხაზოვნება შესაძლოა წარმიდგენილი იყოს გრაფიკის სახით და სათანადაო სტატისტიკური მეთოდით, რეგრესის წრფის მიხედვით დადგინდეს კორელაციის კოეფიციენტი  $R^2$ , რომელიც არ უნდა იყოს 0.995 ზე ნაკლები. სწორხაზოვნების დადგენისათვის უნდა მოხდეს არანაკლებ 5 სხვადასხვა კონცენტრაციის ნიმუშის რაოდენობრივი განსაზღვრის შედეგების სტატისტიკური დამუშავება [29].

სწორხაზოვნების დასადგენად ანალიზის პროცედურის დროს გამოყენებული იყო საკვლევი ნივთიერებების შედეგი კონცენტრაციის საკალიბრო ხსნარები 10, 15, 20, 30, 50 და 100 ნგ/მლ. ანალიზის შედეგად მიღებული პიკის ფართობის და კონცენტრაციის დამოკიდებულება მოცემულია №13-16 ცხრილში. მონაცემები დავამუშავეთ სტატისტიკური სწორხაზოვანი რეგრესის მეთოდით, გამოვიყენეთ Graph Pad Prism პროგრამული უზრუნველყოფა და დავდგინდო კორელაციის კოეფიციენტი. მონაცემების დადასტურება მოვახდინეთ Microsoft Excel-ის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების პროგრამით. შედეგად დავადგინეთ, რომ წარმოდგენილი ანალიზის მეთოდის პირობებში ოლანზაპინის კორელაციის კოეფიციენტი  $R^2=0.9991$ , რისპერიდონის  $R^2=0.9980$ , ქვეტიაპინის  $R^2=0.9989$ , კლოზაპინის  $R^2=0.9986$ , მონაცემები შესაბამისობაშია დადგენილ ნორმებთან. წარმოდგენილი საკალიბრო გრაფიკების ანალიზის მიხედვით შეგვიძლია

დავასკვნათ ომ, მეთოდმა აჩვენა სწორხაზოვნება 10-100გ/მლ კონცენტრაციის ფარგლებში, საკალიბრო გრაფიკი იხილეთ სურათი 62-65.

ცხრილი №13: ოლანზაპინის პიკის ფართობის და კონცენტრაციის დამოკიდებულება


Nº	ოლანზაპინის საკალიბრო ხსნარების კონცენტრაცია გგ/მლ	ოლანზაპინის საკალიბრო ხსნარების პიკის ფართობების საშუალო მნიშვნელობა (n=6)
1	10	309521
2	15	641751
3	20	908518
4	30	1346099
5	50	2417018
6	100	5231139



სურათი 62: ოლანზაპინის საკალიბრო გრაფიკი

ცხრილი №14: რისპერიდონის პიკის ფართობის და კონცენტრაციის დამოკიდებულება


Nº	რისპერიდონის საგალიბრო ხსნარების კონცენტრაცია ნგ/მლ	რისპერიდონის საგალიბრო ხსნარების პიკის ფართობების საშუალო მნიშვნელობა (n=6)
1	10	176510
2	15	427842
3	20	555861
4	30	796990
5	50	1565306
6	100	3367828



სურათი 63: რისპერიდონის საგალიბრო გრაფიკი

ცხრილი №15: ქვეტიაპინის პიკის ფართობის და გონიერებულება


Nº	ქვეტიაპინის საკალიბრო ხსნარების გონიერებულება ნგ/მლ	ქვეტიაპინის საკალიბრო ხსნარების პიკის ფართობების საშუალო მნიშვნელობა (n=6)
1	10	326580
2	15	740128
3	20	1000165
4	30	1601320
5	50	2856477
6	100	5644000



სურათი 64: ქვეტიაპინის საკალიბრო გრაფიკი

ცხრილი №16: კლოზაპინის პიკის ფართობის და კონცენტრაციის დამოკიდებულება

Nº	კლოზაპინის საკალიბრო ხსნარების კონცენტრაცია ნგ/მლ	კლოზაპინის საკალიბრო ხსნარების პიკის ფართობის საშუალო მნიშვნელობა (n=6)
1	10	357139
2	15	822334
3	20	1122469
4	30	1794799
5	50	3173802
6	100	6223809



სურათი 65: კლოზაპინის საკალიბრო გრაფიკი

## სისწორე და სიზუსტე

ანალიზის მეთოდის სიზუსტე გამოხატავს ერთი და იგივე პირობებში ჩატარებული, სერიული ანალიზის შედეგების თანხვედრის ხარისხს. სიზუსტე გამოიხატება ვარიაციის კოეფიციენტით (CV %), რომელიც უნდა იყოს  $\leq 15\%$ , განსასაზღვრი მინიმუმის შემთხვევაში  $\leq 20\%$ .

სისწორე არის ანალიზის შედეგების სიახლოების ხარისხი ნომინალურ ან დადგენილ, ჰეშმარიტ მაჩვენებელთან. ანალიზის მეთოდის სისწორის შეფასება ხდება მინიმუმ სამი სახვადასხვა კონცენტრაციის ნუმუშის ხუთჯერადი განსაზღვრით. სისწორის დასადგენად ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები უნდა შევადაროთ ნომინალურ კონცენტრაციას. გადახრა ნომინალური კონცენტრაციიდან უნდა იყოს  $\pm 15\%$  - ის, ხოლო განსასაზღვრი მინიმუმის შემთხვევაში  $\pm 20\%$  - ის ფარგლებში [106].

სიზუსტის და სისწორის დადგენის მიზნით მოვამზადეთ 3 სხვადასხვა კონცენტრაციის საანალიზო ნიმუში (10, 25, 50.0 ნგ/მლ) სისხლში განზავებით. მოცემული პარამეტრების დასადგენად მოვახდინეთ თითოეული ნიმუშის ხუთჯერად განსაზღვრა (n=5) სამი დღის პერიოდში.

ვალიდაციის ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია № 17-24 ცხრილში.

**ცხრილი 17. ოლანზაპინის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სიზუსტე (n=5)**

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია ნგ/მლ					საშუალო	SD	CV%
	დღის განმავლობაში							
10	9.71	9.3	10.8	10.7	9.1	9.92	0.70	7.1
25	23.19	23.98	26.9	25.7	22.5	24.55	1.62	6.6
50	46.2	51.74	52.9	46.1	53.1	50.01	3.18	6.4
<b>დღეთაშორისი</b>								
10	9.1	9.06	10.9	10.78	9.05	9.82	0.87	8.8
25	23.19	22.98	26.8	26.7	22.9	24.60	1.83	7.4
50	45.2	52.74	52.8	46.1	53.29	50.02	3.59	7.2

C n – ოლანზაპინის ნომინალური კონცენტრაცია;

CV % – ვარიაციის კოეფიციენტი;

SD – სტანდარტული გადახრა

ცხრილი 18: რისპერიდონის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი  
რაოდენობრივი განსაზღვრის სიზუსტე (n=5)

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია ნგ/მლ					საშუალო	SD	CV%
დღის განმავლობაში								
10	9.25	9.41	10.95	10.7	9.11	9.88	0.78	7.9
25	22.52	23.52	26.8	25.91	22.45	24.24	1.79	7.4
50	52.2	45.9	53.6	46	53.7	50.28	3.58	7.1
დღეთაშორისი								
10	8.7	9.06	10.9	10.95	9.05	9.73	0.98	10.1
25	22.8	22.98	27.8	27.7	22.8	24.82	2.40	9.7
50	45.15	45.2	54.93	46.15	54.9	49.27	4.63	9.4

C n – რისპერიდონის ნომინალური კონცენტრაცია;

CV % – ვარიაციის კოეფიციენტი;

SD – სტანდარტული გადახრა

ცხრილი 19: ქვეტიაპინის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სიზუსტე (n=5)

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია ნგ/მლ					საშუალო	SD	CV%
დღის განმავლობაში								
10.00	9.73	9.22	10.85	10.85	9.25	9.98	0.73	7.3
25.00	23.15	24.00	26.90	25.91	22.45	24.48	1.67	6.8
50.00	52.20	45.90	53.60	46.00	53.70	50.28	3.58	7.1
დღეთაშორისი								
10.00	8.90	9.00	10.95	10.95	9.05	9.77	0.96	9.8
25.00	23.00	22.55	26.80	27.95	22.50	24.56	2.33	9.5
50.00	46.25	45.90	54.90	45.00	54.80	49.37	4.49	9.1

C n – ქვეტიაპინის ნომინალური კონცენტრაცია;

CV % – ვარიაციის კოეფიციენტი;

SD – სტანდარტული გადახრა

ცხრილი 20: კლოზაპინის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სიზუსტე (n=5)

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია ნგ/მლ					საშუალო	SD	CV%
დღის განმავლობაში								
10.00	9.40	9.50	10.65	10.60	9.30	9.89	0.60	6.1
25.00	24.15	23.10	26.82	25.80	23.30	24.63	1.45	5.9
50.00	52.30	47.90	53.25	46.96	53.80	50.84	2.84	5.6
დღეთაშორისი								
10.00	8.89	9.10	10.65	10.89	9.15	9.74	0.85	8.8
25.00	23.18	23.01	26.92	26.88	22.19	24.44	2.04	8.3
50.00	46.30	46.10	54.84	46.89	53.60	49.55	3.85	7.8

C n – კლოზაპინის ნომინალური კონცენტრაცია;

CV % – გარიაციის კოეფიციენტი;

SD – სტანდარტული გადახრა

ცხრილი 21: ოლანზაპინის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სისწორე (n=5)

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია % ნომინალურთან შედარებით					საშუალო %	SD
დღის განმავლობაში							
10.00	91.80	91.50	92.90	92.90	92.60	92.34	0.58
25.00	95.80	96.10	93.90	98.10	97.50	96.28	1.46
50.00	99.40	99.60	102.99	102.80	99.80	100.92	1.62
დღეთაშორისი							
10.00	89.50	88.60	88.30	89.90	91.20	89.50	1.03
25.00	90.50	91.30	91.10	92.50	93.80	91.84	1.18
50.00	92.80	91.10	91.10	92.50	92.10	91.92	0.71

C n – ქვეტიაპინის ნომინალური კონცენტრაცია;

SD – სტანდარტული გადახრა

ცხრილი 22: რისპერიდონის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სისწორე (n=5)

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია % ნომინალურთან შედარებით						საშუალო %	SD
<b>დღის განმავლობაში</b>								
10.00	92.50	93.60	92.10	94.50	95.80	93.70	1.35	
25.00	95.30	95.40	94.90	98.50	97.50	96.32	1.42	
50.00	102.50	102.50	102.80	102.80	102.70	102.66	0.14	
<b>დღეთაშორისი</b>								
10.00	89.70	91.30	90.20	92.90	90.80	90.98	1.10	
25.00	92.80	94.20	94.10	95.00	96.50	94.52	1.22	
50.00	98.90	102.70	100.90	94.50	99.60	99.32	2.74	

C n – რისპერიდონის ნომინალური კონცენტრაცია;

SD – სტანდარტული გადახრა

ცხრილი 23: ქვეტიაპინის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სისწორე (n=5)

C n ნგ/მლ	დათვლილი კონცენტრაცია % ნომინალურთან შედარებით						საშუალო %	SD
<b>დღის განმავლობაში</b>								
10.00	92.00	91.10	93.70	91.80	93.90	92.50	1.10	
25.00	96.73	97.17	93.50	96.50	95.90	95.96	1.30	
50.00	103.50	99.80	98.22	102.30	102.90	101.34	2.01	
<b>დღეთაშორისი</b>								
10.00	88.10	89.95	88.70	90.65	91.03	89.69	1.12	
25.00	92.74	91.02	90.21	94.10	99.32	93.48	3.22	
50.00	98.96	100.01	99.95	98.73	99.80	99.49	0.54	

C n – ქვეტიაპინის ნომინალური კონცენტრაცია;

SD – სტანდარტული გადახრა

**ცხრილი 24: კლოზაპინის დღის განმავლობაში და დღეთაშორისი რაოდენობრივი განსაზღვრის სისტორე (n=5)**

C n ნგ/მდ	საშუალო დათვლილი კონცენტრაცია % ნომინალურთან შედარებით						საშუალო %	SD
<b>დღის განმავლობაში</b>								
10.00	92.30	92.70	92.98	91.02	91.80	92.16	0.69	
25.00	95.80	97.39	98.50	97.19	98.14	97.40	0.93	
50.00	99.27	98.35	101.87	100.90	102.64	100.61	1.59	
<b>დღეთაშორისი</b>								
10.00	88.23	89.34	89.14	90.25	90.22	89.44	0.75	
25.00	90.45	90.64	91.77	90.31	91.01	90.84	0.52	
50.00	93.66	94.01	95.23	95.56	93.64	94.42	0.81	

C n – კლოზაპინის ნომინალური კონცენტრაცია;

SD – სტანდარტული გადახრა

სიზუსტის და სისტორის შეფასება მოვახდინეთ სტანდარტული გადახრის და საშუალო დათვლილი კონცენტრაციის ფარდობით.

ცხრილში მოცემული შედეგების მიხედვით, მეთოდის სიზუსტე შეადგენდა: ოლანზაპინი - დღის განმავლობაში CV % 6.4% - 7.1%, დღეთაშორისი CV % 7.2% - 8.8%; რისპერიდონი - დღის განმავლობაში CV % 7.1% - 7.9%, დღეთაშორისი CV % 9.4%-10.1%; ქვეტიაპინი - დღის განმავლობაში CV % 7.2% - 7.3%, დღეთაშორისი CV % 9.9% - 9.1%; კლოზაპინი - დღის განმავლობაში CV % 5.6% - 6.1%, დღეთაშორისი CV % 7.8% - 8.8%.

დღის განმავლობაში სისტორე ოლანზაპინისთვის იყო 92.34% - 100.92% და დღეთაშორისი სისტორე იყო 89.50% - 91.92%; დღის განმავლობაში სისტორე რისპერიდონისთვის იყო 93.70% - 102.66% და დღეთაშორისი სისტორე იყო 90.98% - 99.32%. დღის განმავლობაში სისტორე ქვეტიაპინისთვის იყო 92.50% - 101.34% და დღეთაშორისი სისტორე იყო 89.69% - 99.49%. დღის განმავლობაში სისტორე კლოზაპინისთვის იყო 92.16% - 100.61% და დღეთაშორისი სისტორე იყო 89.44% - 94.42%.

მოცემული შედეგით დასტურდება, რომ ანალიზის მეთოდი სრულად აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

## აღმოსაჩენი მინიმუმი (LOD) და რაოდენობრივად განსასაზღვრავი მინიმუმი (LOQ)

აღმოსაჩენი მინიმუმი არის საკვლევ ნიმუშში არსებული ნივთიერების ის მინიმალური რაოდენობა, რომლის აღმოჩენაც შესაძლებელია ხელსაწყოს მიერ, ხოლო რაოდენობრივად განსასაზღვრავი მინიმუმი არის საკვლევ ნიმუშში არსებული ნივთიერების ის მინიმალური რაოდენობა, რომლის განსაზღვრა შესაძლებელია დადგენილი სისწორით და სიზუსტი. მოცემული პარამეტრით ხასიათდება ანალიზის მეთოდი, რომელიც განკუთვნილია საანალიზო ობიექტზე მცირე რაოდენობის ნივთიერებების აღმოსაჩენად.

არსებობს აღმოსაჩენი და განსასაზღვრავი მინიმუმის დადგენის სხვადასხვა მიღვომა, რომელიც დამოკიდებულია მეთოდის სახეობაზე [80].

აღმოსაჩენი მინიმუმის დასადგენად შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები:

- განსასაზღვრი და აღმოჩენი მინიმუმის გამოთვლა ხდება ცნობილი კონცენტრაციის ნიუშის ანალიზით. დგინდება საკვლევი ნივთიერების ის მინიმალური რადენობა, რომლის აღმოჩენა და რაოდენობრივი განსაზღვრა სარწმუნოა მოცემული მეთოდის პირობებში.
- სიგნალის და ხმაურის თანაფარდობა - გამოიყენება იმ ანალიზის მეთოდის შემთხვევაში, რომელიც ავლენს საბაზისო ხმაურს. სიგნალის და ხმაურის თანაფარდობით აღმოსაჩენი მინიმუმის დადგენა ხდება დაბალი, ცნობილი კონცენტრაციის ნიმუშის ანალიზისას მიღებული სიგნალის შედარებით სუფთა ნიმუშის სიგნალთან. სიგნალის და ხმაურის თანაფარდობა არის განსასაზღვრი მინიმუმის შემთხვევაში 10:1, ხოლო აღმოსაჩენი მინიმუმის შემთხვევაში 3:1 თანაფარდობით [81].
- განსასაზღვრი და აღმოსაჩენი მინიმუმის დადგენა, დაფუძნებულია ხელსაწყოზე მიღებული სიგნალის და საკალიბრო მრუდის სტანდარტულ გადახრაზე, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

განსასაზღვრი მინიმუმი

$$QL = \frac{10 \times \delta}{S}$$

## აღმოსაჩენი მინიმუმი

$$DL = \frac{3.3 \times \delta}{S}$$

სადაც:

$\delta$  - ხელსაწყობის მიღებული სიგნალის სტანდარტული გადახრა

$S$  - საკალიბრო მრუდის დახრილობის კუთხის მნიშვნელობა

ჩამოთვლილი მეთოდებიდან დასადგენად გამოვიყენეთ მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია პიკის (ხელსაწყოს სიგნალი) და საკალიბრო მრუდის დახრილობის კუთხის დამოკიდებულებაზე.

ხელსაწყოს სიგნალის სტანდარტული გადახრის გამოანგარიშების მიზნით მოვახდინეთ სუფთა სისხლის 20 ჯერადი ქრომატოგრაფირება და მიღებული შედეგებიდან გამოვთვალეთ სტანდარტული გადახრა ბ. საკალიბრო მრუდის დახრილობის კუთხის მნიშვნელობის გამოსათვლელად გამოვიყენეთ Microsoft Excel-ის პროგრამა, დახრილობის კუთხე დავადგინეთ ექსი სხვადასხვა კონცენტრაციის ნიმუშის საკალიბრო გრაფიკის მიხედვით. მიღებული შედეგები მოცემულია №25 ცხრილში.


ცხრილი 25: საკვლევი ნივთიერებების განსასაზღვრი და აღმოსაჩენი მინიმუმის გამოთვლის შედეგები

ნივთიერების დასახელება	N*	აღმოსაჩენი მინიმუმი ნგ/მლ	განსასაზღვრი მინიმუმი ნგ/მლ
ოლანზაპინი	6	3.02	9.12
რისპერიდონი	6	2.45	7.43
ქვეტიაპინი	6	2.87	8.70
ქლოზაპინი	6	2.12	6.31


N\* - ჩატარებული ანალიზის რაოდენობა

ცხრილში მოცემული შედეგების თანახმად წარმოდგენილი ანალიზის მქონდით შესაძლებელია საკვლევ მიმღები მცირე რაოდენობის თლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის, კლოზაპინის აღმოჩენა (2.12-3.02 ნგ/მლ ფარგლებში). და რაოდენობრივი განსაზღვრა (6.31-9.12 ნგ/მლ ფარგლებში).


მოცემულ პირობებში ასევე დავადგინეთ სიგნალის და ხმაურის თანაფარდობა, რომელიც იყო განსასაზღვრი მინიმუმის შემთხვევაში  $\leq 10:1$ , ხოლო აღმოსაჩენი მინიმუმის შემთხვევაში -  $\leq 3:1$ . შედეგები მოცემულია ქრომატოგრამების სახით, სურათი 66-69.




სურათი 66: რისკერიდონის MRM ქრომატოგრამა (S/N)



სურათი 67: ქვეტიანის MRM ქრომატოგრამა (S/N)



სურათი 68: კლოზიანის MRM ქრომატოგრამა (S/N)



სურათი 69: ოლანზაპინის MRM ქრომატოგრამა (S/N)

## სელექციურობა

სელექციურობა არის ანალიზის მეთოდის შესაძლებლობა მოახდინოს საკვლევი ნივთიერების დიფერენცირება მატრიცაში არსებული ენდოგენური ნივთიერებებისაგან და საანალიზო ნიმუშში არსებული სხვა სავარაუდოდ თანმხლები კომპონენტებისაგან. ეს შეიძლება იყოს დაშლის და სინთეზის პრდუქტები, მინარევები, მატრიცა და ასე შემდეგ. ანალიზის მეთოდის სელექციურობა შესაბამისად გულისხმობს შემდეგ შედეგებს:

- თვისობრივი ანალიზი - უზრუნველყოფს საკვლევი ნივთიერების იდენტიფიკაციას. უნდა დადასტურდეს მჭიდროდ დაკავშირებული

სტრუქტურულ ნაერთებს შორის სამიზნე ნივთიერების იდენტიფიკაციის შესაძლებლობა.


- ტესტი მინარევებზე, უზრუნველყოფს ყველა არსებული მინარევის შემცველობის დადგენას.
- რაოდენობრივი ანალიზი - უნდა დადასტურდეს რომ ანალიზის მეთოდის გამოყენებისას შედეგებზე გავლენას არ მოახდენს ობიექტი არსებული მინარევები, შემავსებლები ან სხვა კომპონენტები [87, 134].

სელექციურობის დასადგენად მოვამზადეთ საანალიზო სისხლის 6-6 ნიმუში. საანალიზო ობიექტების ერთი სერია არ შეიცავდა სამიზნე ნივთიერებებს, ხოლო მეორე სერია კი – შეიცავდა ოთხივე სამიზნე ნივთიერებას. მოვახდინეთ ექსტრაქცია და ქრომატოგრაფირება ანალიზის მეთოდში მითითებული პირობებით (ქვეთავი 4.7). შედეგები მოცემულია № 26 ცხრილში.


ცხრილი 26: სამიზნე ნივთიერებების და სუფთა ნიმუშის ქრომატოგრამირების შედეგები

საკლევი ობიექტი	ანალიზის რაოდენობა	შეკავების დრო/წთ
ოლანზაპინი	6	7.5
რისპერიდონი	6	8.9
ქვეტიაპინი	6	9.6
კლოზაპინი	6	9.1
ბიოლოგიური ობიექტის ნულოვანი ნიმუში	6	0


ქრომატოგრამების ანალიზით დავადგინეთ, რომ მეთოდი სელექციურია, რადგან ენდოგენურმა ნივთიერებებმა არ მოახდინეს გავლენა ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის, კლოზაპინის შეკავების დროზე და ნულოვანი სისხლის ნიმუშის ქრომატოგრამაზე არ აღინიშნება საკვლევი ნივთიერების პიკები. (სურათი 70-73).




სურათი 70: ოლანზაპინის MRM ქრომატოგრამა




სურათი 71: რისპერიდონის MRM ქრომატოგრამა



სურათი 72: ქვეტიაპინის MRM ქრომატოგრამა



სურათი 73: კლოზაპინის MRM ქრომატოგრამა



სურათი 73: ნულოვანი სისხლის ნიმუშის MRM ქრომატოგრამა

### ექსტრაქციის ხარისხი

ექსტრაქციის ხარისხი წარმოადგენს იზოლირების ეფექტურობას მოცემული ანალიზის მეთოდის პირობებში. ექსტრაქციის ხარისხი განისაზღვრება ექსტრაგირებული და არაექსტრაგირებული ნიმუშების ანალიზისას მიღებული სიგნალის შედარებით.

მოცემულ პარამეტრზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იზოლირების მეთოდის ეფექტურობა. არ არის სავალდებულო რომ ანალიზის მეთოდის ექსტრაქციის ხარისხი იყოს 100%. იზოლირების ხარისხი უნდა შემოწმდეს სამ კონცენტრაციაზე (დაბალი, საშუალო, მაღალი) არაექსტრაგირებულ ნიმუშთან შედარებით, რომელიც შეესაბამება 100% ექსტრაქციის ხარისხს [87, 79].

ექსტრაქციის ხარისხის დადგენის მიზნით მოვამზადეთ ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის სამი სხვადასხვა კონცენტრაციის სტანდარტული ხსნარი, რომლის ექსტრაქციის ხარისხი შეესაბამებოდა 100%. ასევე ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის და კლოზაპინის საანალიზო ნიმუშები (10, 25, 50 ნგ/მლ), საანალიზო სისხლში განზავებით. საანალიზო ნიმუშები ექსტრაგირება მოვახდინეთ ანალიზის მეთოდში მითითებული მყარფაზერთი ექსტრაქციის პირობების შესაბამისად. მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში 27.

ექსტრაქციის ხარისხი გამოვთვალეთ შემდეგი ფორმულით:

$$\text{ექსტრაჟციის ხარისხი \% = } \frac{PA_{SM} \times 100}{PA_{ST}}$$

ცხრილი 27: ექსტრაჟციის ხარისხის მნიშვნელობა

ნივთიერების დასახელება	N*	C** ნგ/მლ	PA <sub>ST</sub> ***	PA <sub>SM</sub> ****	ექსტრაჟციის ხარისხი %
ოლანზაპინი	6	10	308952	281500	91.1
	6	25	986325	912656	92.5
	6	50	2436870	2232640	91.6
რისპერიდონი	6	10	175997	164832	93.7
	6	25	602453	565995	93.9
	6	50	1497820	1412294	94.3
ქვეტიაპინი	6	10	335680	305524	91.0
	6	25	1123540	1025654	91.3
	6	50	2765486	2535214	91.7
კლოზაპინი	6	10	358898	332970	92.8
	6	25	1468700	1366040	93.0
	6	50	3235470	3033840	93.8

**N\*** - საანალიზო ნიმუშების რაოდენობა

**C\*\*** - საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია

**PAsT\*\*\*** - სტანდარტული ხსნარების ქრომატოგრამებზე ნივთიერების პიკის ფართობი

**PAsM\*\*\*\*** - ექსტრაგირებული ნიმუშების ქრომატოგრამებზე ნივთიერების პიკის ფართობი

წარმოდგენილი ცხრილის მხედვით დავადგინეთ, რომ მოცემული ანალიზის მეთოდის პირობებში ექსტრაქციის ხარისხი აქმაყოფილებს დადგენილ ნორმებს, რომელიც უნდა იყოს  $>80\%$ , შესაბმისად ყველა მიღებული შედეგი მეტია დადგენილ ნორმაზე.

### მატრიცის გვექტი

მატრიცის გვექტი არის ანალიზის შედეგებზე პირდაპირი ან ირიბი გავლენა, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს ნიმუშში არსებულმა სხვადასხვა ნივთიერებებმა.

მატრიცის გვექტის დადგენა აუცილებელია მასსპექტრომეტრული დეტექტირების შემთხვევაში. სითხეური ქრომატოგრაფი - ტანდემური მასსპექტრომეტრით წარმოადგენს მაღალი მგბნობელობის აპარატს, შესაბამისად მინიშვნელოვანია შედეგებზე ენდოგენური ნივთიერებების გავლენის გამორიცხვა. ენდოგენურმა კომპონენტებმა შესაძლოა გავლენა მოახდინონ საანალიზო ნივთიერებების იონიზაციაზე.

ელექტროგაფრქვევითი იონიზაციის დროს მატრიცის გვექტს იწვევს მატრიცის კომპონენტების (არააქროლადი ხსნარები) და საანალიზო ნივთიერების მოლეკულებს შორის კონკურენტული ურთიერთქმედება წვეთის ზედაპირზე მოხვედრისას. მატრიცის გვექტის დასადგენად მოწოდებულია სხავდასხვა მეთოდი, მათ შორის ხდება სისტემაში საანალიზო ნიმუშის და შემდეგ საკვლევი ნივთიერების ნულოვანი ექსტრაგირებული ნიმუშის შეყვანა. ნებისიერი ინეტერფერენცია, რომელიც ელექტროდება სვეტიდან შესაძლოა განვიხილოთ იონიზაციაზე ზემოქმედებად.

ასევე მატრიცის გვექტის დასადგენად ბიოლოგიური ობიექტის საკალიბრო გრაფიკი უნდა შევადაროთ სუფთა მატრიცის ანალიზის შედეგად მიღებულ საკალიბრო გრაფიკებს.

ასევე შემოთავაზებულია ნიმუშების ნაკრების ტესტირების მეთოდი.

ნაკრებში წარმოდგენილია სხვადსხვა ტიპის ნიმუშები, 1 - სუფთა ხსნარი, რომელიც მომზადებულია მოძრავი ფაზისგან, 2 - ბიოლოგიური ობიექტის სუფთა ნიმუშიდან მიღებული ექსტრაქტი, რომელსაც საკვლევი ნივთიერება დამატებული აქვს ესტრაქციის შემდეგ.

აბსოლიტური მატრიცის ეფექტის დადგენა ხდება პიკის ფართობის შედარებით, რომელიც მიღებულია ორი სხვადასხვა ტიპის ნიმუშიდან:

1. სუფთა სტანდარტის ნიმუში
2. ნიმუში რომელსაც სამიზნე ნივთიერება დამატებული აქვს ექსტრაქციის შემდეგ.

აბსოლიტური მატრიცის ეფექტი გამოითვლება ფორმულით:

$$ME \% = \frac{B \times 100}{A}$$

სადაც:

A - სუფთა ნიმუშში სტანდარტის პიკის ფართობი

B - საანალიზო ნიმუშში სტანდარტის პიკის ფართობი, რომელშიც სტანდარტი დამატებულია ესტრაქციის შემდეგ.

თუ მიღებულ შედეგებში მატრიცის ეფექტი 100%-ზე მეტია ეს მიუთითებს იონების მატებაზე, ხოლო თუ 100%-ზე ნაკლებია მიუთითებს იონების შემცირებაზე.

ფარდობითი მატრიცის ეფექტის მნიშვნელობა შესაძლებელია დადგინდეს რამოდენიმე სერიის ნიმუშების მატრიცის ეფექტის მაჩვენებლის განსაზღვრით და ვარიაციის კოეფიციენტის (CV%) დადგენით.

მატრიცის ეფექტი ზეგავლენა ანალიზის შედეგებზე არ მიიჩნევა მნიშვნელოვნად 85%-115% ფარგლებში და ვარიაციის კოეფიციენტი უნდა იყოს  $\leq 15\%$ .

მატრიცის ეფექტის პარამატრის გალიდაციისას უარყოფითი შედეგი მიუთითებს, რომ შესაცვლელია იზოლირების მეთოდი ან ქრომატოგრაფირების და იონიზაციის პირობები [81, 187].

მატრიცის ეფექტის დასადგენად ავიდეთ სისხლი რომელიც არ შეიცავდა საკვლევ ნივთიერებას და მოვახდინეთ ექსტრაგირება ანალიზის მეთოდში მითითებული პირობებით (ქვეთავი 4.7).

მიღებულ ექსტრაქტს დავამატეთ საკვლევი ნივთიერება, რომ მიგვაღო 6 საანალიზო სენარი კონცენტრაციით 10, 25, 50 ნგ/მლ. ასევე მოვამზადეთ მსგავსი კონცენტრაციის სენარი გამსხველში – აცეტონტრილი/დეიონიზირებული წყლით (1:3).

ნიმუშების მომზადების შემდეგ მოვახდინეთ ქრომატოგრაფირება. მიღებული შედეგები მოცემულია №28-31 ცხრილში.

**ცხრილი 28:** აბსოლიტური მატრიცის ეფექტის მონაცემები ოლანზაპინის განსაზღვრისას ( $n=5$ )

საანალიზო სენარის კონცენტრაცია ნგ/მლ	აბსოლიტური მატრიცის ეფექტი %	გარიაციის კოეფიციენტი % (CV)
10.00	97.60	1.00
25.00	97.30	0.80
50.00	98.20	0.90

**ცხრილი 29:** აბსოლიტური მატრიცის ეფექტის მონაცემები რისპერიდონის განსაზღვრისას ( $n=5$ )

საანალიზო სენარის კონცენტრაცია ნგ/მლ	აბსოლიტური მატრიცის ეფექტი %	გარიაციის კოეფიციენტი % (CV)
10.00	92.98	1.20
25.00	94.40	1.10
50.00	94.76	0.40

**ცხრილი 30:** აბსოლიტური მატრიცის ეფექტის მონაცემები ქვეტიაპინი განსაზღვრისას ( $n=5$ )

საანალიზო სენარის კონცენტრაცია ნგ/მლ	აბსოლიტური მატრიცის ეფექტი %	გარიაციის კოეფიციენტი % (CV)
10.00	93.36	2.20
25.00	93.57	0.60
50.00	94.00	0.70

ცხრილი 31: აბსოლიტური მატრიცის ეფექტის მონაცემები კლოზაპინის განსაზღვრისას ( $n=5$ )

საანალიზო ხსნარის კონცენტრაცია ნგ/მლ	აბსოლიტური მატრიცის ეფექტი %	გარიაციის კოეფიციენტი % (CV)
10.00	93.80	2.60
25.00	94.08	0.40
50.00	95.00	0.50

მიღებული შედეგების მიხედვით მატრიცის ეფექტი იყო 92%-97% ის ფარგლებში (ვარიაციის კოეფიციენტი  $CV < 15\%$ ) რაც მიუთითებს, რომ მოცემული ანალიზის მეთოდის პირობებში არ გამოვლინდა მატრიცის ეფექტი.

### სტაბილურობა

სტაბილურობა არის საანალიზო ნივთიერების მატრიცაში ქიმიური მდგრადობის შენარჩუნება განსაზღვრულ პირობებში და დროის ინტერვალში. სტაბილურობა მნიშვნელოვანი კომპონენტია, განსაკუთრებით სასამართლო ქიმიური ექსპერტიზის დროს, როდესაც არსებობს ბიოლოგიური ობიექტის ხანგრძლივი შენახვის საჭიროება. შესწავალამ უნდა უზრუნველყოს იმის დადგენა თუ რამდენად სტაბილურია საანალიზო ნიმუში მისი აღებისას, შენახვისას (გაყინულ მდგომარეობაში თუ შენახვის მითითებულ ტემპერატურაზე), ასევე მნიშვნელოვანია სტაბილურობის დადგენა ციკლური გაყინვის შემთხვევაში [134, 200].

სტაბილურობის დადგენის მიზნით ჩავატარეთ ექსპერიმენტი.

საკვლევი ნიმუშების მომზადება:

სტანდარტული ხსნარის მოსამზადებლად გამსხვიდებელი გამოვიყენეთ მეთანოლი და ოლანზაპინის, რისპერიდონის, ქვეტიაპინის, კლოზაპინის სტანდარტები. მოვამზადეთ ხსნარი კონცენტრაციით 1 მგ/მლ და შევურიეთ ულტრაბგერით შემრევზე 20 წთ-ის განმავლობაში. შეალედურ სტანდარტული ხსნარის მოსამზადებლად (500გგ/მლ) მიღებული ძირითად ხსნარი განვაზავეთ მეთანოლით.

ადამიანის სუფთა სისხლი მოვათავსეთ Eppendorf - ის სისხლის შესაგროვებელ ტუბში. მიღებული სისხლის ნიმუში გავყავი ოთხ ნაწილად, ერთი ნაწილი შევინახეთ სუფთა სახით, ხოლო დანარჩენი სამიდან შეაღედური სტანდარტული ხსნარის გამოყენებით მოვამზადეთ ნიმუშები სტაბილურობაზე შესასწავლად კონცენტრაციით 15, 50, 100 ნგ/მლ სამიზნე ნივთიერებების შემცველობით. თითოეულ კონცენტრაციაზე მომზადებული იყო სამი სერიის ხსნარი.

მომზადებული ნიმუშები სტაბილურობის შესწავლისათვის შევინახეთ განსხვავებულ პირობებში:

